აღიარება

საქართველოს პრეზიდენტი — იერუსალიმის წმინდა იოანეს უმაღლესი ორდენის კავალერი

იერუსალიმის წმინდა იოანეს უმაღლესი ორდენის მემკვიდრეობითი მსოფლიო სარაინდო ორდენ-გაერთიანების გადაწყვეტილებით, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს გადაეცემა იერუსალიმის წმინდა იოანეს უმაღლესი ორდენი, უმაღლესი ხარისხის წარჩინების ნიშანი — დიდი ჯვარი. ამის შესახებ ედუარდ შევარდნაძეს წერილობით აუწყა საერთაშორისო მარშალმა, აღმოსავლეთის დიდმა სარდალმა პროფესორმა ოტო ჯოკლიკმა.

„ჩვენი სარაინდო ორდენის უმაღლესმა საბჭომ მალტაში ერთსულოვნად გადაწყვიტა, მოგანიჭოთ უმაღლესი ხარისხის წარჩინების ნიშანი — დიდი ჯვარი იმ დიდი ღვაწლის აღსანიშნავად, რომელიც დასდეთ მაჰმადიანური ფუნდამენტალიზმისაგან ქრისტიანული სამყაროს დაცვასა და გერმანიის გაერთიანებას, აგრეთვე, ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას“, — ნათქვამია მის წერილში.

1048 წელს დაარსებული იერუსალიმის წმინდა იოანეს უმაღლესი ორდენი საერთაშორისო სარაინდო ორდენ-გაერთიანებაა, რომლის მიზანია რაინდული პრინციპების გავრცელება, ღარიბ-ღატაკთა დახმარება. ორდენის მიზნები ასახულია მის ისტორიულ დევიზში „ქველმოქმედება ადამიანის საკეთილდღეოდ“.

უმაღლესი ხარისხის არაეროვნული, არაპოლიტიკური, არაკომერციული, ისტორიულ-ტრადიციული, დამოუკიდებელი, ავტონომიური და არამონასტრული, არარელიგიური და არასაიდუმლო, მსოფლიო მნიშვნელობის იერუსალიმის წმინდა იოანეს უმაღლესი ორდენი, რომლის ეპარქიაც არის მალტაში, იურიდიულად ინდივიდუალური საერთაშორისო კანონის მიხედვით აღიარებულია და რეგისტრირებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდის სამეფოში და სხვა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური-საქინფორმი.

მილოცვა

რისმაგ გორდეზიანის დაბადების სამოცი წლის იუბილეზე

ჩემო რისმაგ, გავიგე სამოცი წლის გამხდარხარ.

ამ მნიშვნელოვანმა (არა მარტო შენთვის) თარიღმა როგორც ვხედავ, შენი ხასიათისა და შენი ცხოვრების სტილში ჩაიარა, უხმაუროდ. თუმცა, შენებურად მაინც აღტინიშნავს და რისმაგ გორდეზიანისთვის შესანიშნავი საჩუქარი გაგიკეთებია — რჩეულ ნაშრომთა კრებული, რომელიც კარგად წარმოაჩენს შენი მეცნიერული ინტერესების მასშტაბს.

დიდ პატივს გცემ როგორც შესანიშნავ მეცნიერსა და გამორჩეულ პიროვნებას, სამაგალითო ოჯახის პატრონსა და უღალატო მეგობარს.

მიყვარხარ, ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრობა და თანამშრომლობა გვაკავშირებს.

რა დამავიწყებს ქართული ენის დასაცავად შენს შემართებას, შენს სიბრძნესა და შენს მამაშვილურ დამოკიდებულებას იმ სტუდენტებისადმი, რომელთაც თავი გადადებული ჰქონდათ.

მაშინ სისხლი რომ არ დაიღვარა, შენი და შენისთანების დამსახურებაცაა.

ამის დავიწყება არ შეიძლება.

მას შემდეგ ასეთი ერთგულებით ბევრი რამ გააკეთე საქართველოსათვის და დარწმუნებული ვარ, უფრო მეტს გააკეთებ შენი ქვეყნის, შენი ხალხისა და შენი ოჯახის სასახელოდ.

სამოცი წელი ჯერ ხომ ძალიან ცოტაა.

გილოცავ. გკოცნი. გეხვევი.

ედუარდ შევარდნაძე.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გვ. 4-5.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №164 (3565) სამშაბათი, 20 ივნისი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

„საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა პრეზიდენტის ღირსების საკითხია, ამიტომ არასდროს შევურიგდები პიროვნების ან ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ხელყოფას, ეს ჩემთვის პრინციპის საკითხია“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 19 ივნისის რადიოინტერვიუ

— რადიოინტერვიუს განვლილი კვირის ძალიან მნიშვნელოვანი თემით დავიწყებთ: პარლამენტმა სახალხო დამცველის პოსტზე დაამტკიცა სოციალისტური პარტიის წევრის ნანა დევდარიანის კანდიდატურა, რომელსაც, როგორც ამბობენ, თქვენ მხარს უჭერდით. განვლილ კვირაშივე თქვენ შეხვდით ეუთოსა და ევროსაბჭოს წარმომადგენლობით დელეგაციებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას ადევნებენ თვალს... — ჟურნალისტის ნატო ონიანის თხოვნით, ამ თემებზე საუბრით დაიწყო თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ:**

— სასიხარულოა, რომ ხანგრძლივი დებატებისა და განსჯის შემდეგ პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. სახალხო დამცველის ინსტიტუტის არსებობა აუცილებელია დემოკრატიული ქვეყნისათვის. ეს პოზიცია ჩვენ ჯერ კიდევ 1992 წელს გამოვხატეთ, როცა სპეციალური ორგანო დავაარსეთ. თუმცა, მაშინ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში მოქმედებდა. დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს შესაბამისი განყოფილება ეროვნული უმშვიდროების საბჭოს სისტემაში ქალბატონ რუსუდან ბერიძის ხელმძღვანელობით, მაგრამ ომბუდსმენი ყველა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს.

იხ. მე-2 გვ.

ავიაცია

ნახტომი ევროპაზე

წერილი მეორე თბილისი-ამსტერდამის პირველი რეისის შესახებ ქართული „ბოინგით“

„ბოინგი-737“ მიიწევა და მინანაობს საჰაერო სივრცეში, როგორც ოცნების ხომალდი და არაფერი არ არის ამ შედარებაში ახალი — სიტუაციის მინიშნებაა.

ძრავები ყრუდ გუგუნებს და ბუმბულივით მსუბუქად მიჰყავს მრავალტონიანი ხომალდი და თუ დრო და დრო შეაჯანჯღარებს, ეს ბორის სარალიძის ბრალია, რომელმაც გზის რომელიღაც მონაკვეთის მოასფალტება ვერ მოასწრო — ჟურნალისტების ეს ტრადიციული რეპლიკა გვახსოვხარო, ბატონო ბორის, ამასაც გულისხმობს.

მაგრამ სარალიძე არაფერ შუაშია, ახლა დემურ ლელაძეს ვესაუბრები, „ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, გნებავთ, ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც „ბოინგის „სიკეთეთა პაკეტს“ გვაცნობს ჟურნალისტებს, ვისაც იგი რიგთა შორის გასასვლელში ყოველი მხრიდან, „დაუბლოკიათ“.

„დავაფიქსიროთ“, რასაც გვიყვება: „ბოინგიო“, ამბობს, უაღრესად ეკონომიურია რუსულ ტექნიკასთან შედარებით; თუ ეს თვითმფრინავი საათში წვავს 2-2,2 ტონა საწვავს, რუსული — 7 ტონამდე. ტონა საწვავის ფასი 320 დოლარია, მარტო თბილისი-ამსტერდამის რეისზე საშუალოდ 34-36 ტონის ეკონომიას ვაკეთებთ, ანუ 8 ათასი დოლარით იაფი გვიჯდებაო.

„ბოინგის“ სანავიგაციო სისტემები მის მაქსიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც აუცილებელია საერთაშორისო სივრცეში ფრენისთვის, ერთი სიტყვით, ისეთი თვითმფრინავია, რომელსაც შეგიძლიათ ენდოთ და იფრინოთ.

ხომალდის მეთაურები ზურაბ ყარაულაშვილი და იური ზუმბულიძე.
ლელა ბლაგონრავოვას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როგორც წინა წერილიდან გაიგეს ჩვენმა მკითხველებმა, „ბოინგი“ ეკიპაჟის რაოდენობითაც ეკონომიურია, ნაკლები მომსახურება სჭირდება. მაგრამ რახან „აირზენამ“ ეს თვითმფრინავები ჩამოიყვანა, მაშასადამე, ზედმეტი შტატის პრობლემა გაუჩნდა. ასეა? ვკითხოთ დემურ ლელაძეს, ოღონდ ცოტა მორიდან მოვუაროთ:

იხ. მე-3 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი.

გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, აქტუალური ცხოვრებისეული თემების მაღალკვალიფიციურ დონეზე წარმოჩენისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი, ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქციის თანამშრომლები:

ღირსების ორდენით:

ელენე ჩაჩუა — მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე; **არჩილ ჯაფარიძე** — მთარგმნელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ღირსების მედლით:

მიხეილ გამხიტაშვილი — საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი; **სერგო კარსანოვი** — პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი; **მარინა მამაცაშვილი** — კორესპონდენტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი; **ლილი ოგანეზაშვილი** — კორესპონდენტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი; **ზაზა ტალახაძე** — გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი; **ნატალია ფიოდოროვა** — კორესპონდენტი; **ეკატერინე ჯაოშვილი** — მრჩეველი საფინანსო საკითხებში.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 18 ივნისი ქ. თბილისი.

ზ. დარასელის და მ. მჭედლიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, საქართველოს ტელევიზიაში მუშაობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

ზაზა დარასელი — თავმჯდომარის მოადგილე, ტელეკომპანია „მეორე არხის“ გენერალური დირექტორი; **მიხეილ მჭედლიძე** — ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის გაზეთ „2X2“-ის მთავარი რედაქტორი.

ე. შევარდნაძე.

კანონმდებლები

იმსჯელეს პლენარული სხდომების დღის წესრიგზე

19 ივნისს საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა გაიმართა, რომელზეც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საგაზაფხულო სესიის ბოლო პლენარული სხდომის დღის წესრიგი დაადგინეს. ბიუროს მუშაობას პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა.

მომავალი კვირის 27-30 ივნისის პლენარულ სხდომათა დღის წესრიგში განსახილველად სავარაუდოდ ორი ათეული საკითხია შეტანილი.

პარლამენტი საგაზაფხულო სესიის ბოლო სხდომაზე აფხაზეთის საკითხს განიხილავს. საკითხის დღის წესრიგში შეტანა 19 ივნისს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ფრაქცია „აფხაზეთის“ სახელით მოითხოვა ფრაქციის თავმჯდომარემ გივი ლომინაძემ.

დღის წესრიგით დაგეგმილია სამთავრობო საათი.

საქინფორმი.

მოვლენა

ლეგენდარული გუერას „ლეგენდები კინოზე“



კარგა ხანია თბილისს აღარ სწვევია თანამედროვეობის უდიდესი კინოდრამატურგი და პოეტი, ლეგენდარული იტალიელი **ტონინო გუერა**, იგი აპრილის ბოლოს აპირებდა ჩამოსვლას, მასტერკლასისა და თავისი ნახატების გამოფენის გამართვას, რაც მაშინ ვერ მოხერხდა.

ტონინო გუერა 18 ივნისს ჩამოვიდა და გუშინ უკვე მასტერკლასის პირველი სამუშაო შეხვედრაც შედგა თეატრში „ფიქრის გორა“, რომელიც 25 ივნისამდე გაგრძელდება.

იხ. მე-7 გვ.

ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტი მოსკოვს გაემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეთაურების სამიტში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში დღეს გაემგზავრება. სამიტზე ძირითადი განსახილველი საკითხი დსთ სივრცეში თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონების ფორმირების შესახებ ხელშეკრულების პროექტი იქნება, რომელსაც სავარაუდოდ სამიტზევე მოეწერება ხელი.

ამას გარდა, დღის წესრიგში კიდევ ორი საკითხია — „დსთ განვითარების პროგრამა 2005 წლამდე“ და „საერთაშორისო ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის პროგრამა და ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა“.

ახალი ომბუდსმენი მუშაობას შეუდგა

საქართველოს ახალი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი, რომლის კანდიდატურა პარლამენტმა ამ თანამდებობაზე პარასკევს დაამტკიცა, გუშინ საკუთარი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

როგორც პრაიმ-ნიუსს დევდარიანმა განუცხადა, პირველ დღეს იგი აპარატის თანამშრომლებს შეხვდა. მისი თქმით, უწინარესად სრულფასოვნად გაეცნობა სახალხო დამცველის აპარატის მუშაობას, იქ არსებულ ყველა დოკუმენტაციას და მხოლოდ ამის შემდეგ დასახავს სამომავლო გეგმებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მან აღნიშნა, რომ სახალხო დამცველი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში იქნება ობიექტური და მიუკერძოებელი. ამ ეტაპზე, სახალხო დამცველს საკუთარ აპარატში არცერთ თანამდებობაზე არ ჰყავს შერჩეული ახალი კანდიდატურა.

ქართველი სამხედროები - ნატოს სწავლებაში

ქართველი სამხედროები მონაწილეობენ უკრაინის ქალაქ ოდესასთან გუშინ დაწყებულ ნატოს მრავალეროვნულ სამხედრო-საზღვაო წვრთნაში „კოოპერატივ პარტნიორ-2000“-ში.

სწავლებებში მონაწილეობის მისაღებად კვირას უკრაინაში გაემგზავრა ერთი საზღვაო ქვეითთა ოცეული და სადარაჯო ხომალდი „ბორტი 302“. წვრთნაში, რომელშიც ჩართული არიან ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, იტალიის, პოლანდიის, ესპანეთის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, რუსეთის, შვედეთისა და უკრაინის ქვედანაყოფები, წარმოდგენილი იქნება 40 გემი, 30 საჰაერო ხომალდი და 900 საზღვაო ფეხოსანი.

არაქართველმა ხელმძღვანელებმა ქართული უნდა ისწავლონ

პრეზიდენტის რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთში გიგლა ბარამიძემ კატეგორიულად მოითხოვა სახელმწიფო სამსახურებში მომუშავე არაქართველი ხელმძღვანელი პირებისაგან სახელმწიფო ენის - ქართული ენის ცოდნა. დაითქვა კონკრეტული ვადა - ქართული ენის არმცოდნე ყველა ხელმძღვანელი პირი მაქსიმუმ 1 წელიწადში უნდა დაეუფლოს სახელმწიფო ენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მათ თანამდებობებიდან გაათავისუფლებენ.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

გიხაროდენ!

სამ დღეში 27 ჩვილი დაიბადა

თბილისის №5 სამშობიარო სახლიდან გუშინ დილითვე გვახარეს:

— პარასკევს, შაბათ-კვირას — ორშაბათის დილამდე, ჩვენთან 27 ჩვილი დაიბადა, აქედან 16 გოგონა და 11 ბიჭია.

ჩვილბავშვიანობა ოჯახისათვის უფლის ნებითაა ნაბოძები. ასე აუხდათ იმ 27 გოგო-ბიჭის დედებს და მათ ახალგაზრდა ოჯახებს ყველა ზღაპარ-ნაოცნებარი. დედებმა ზოგიერთ მათგანს უკვე დაარქვეს ნესტანიც, თინათინიც; ვაჟებს კი გიორგი, დავითი, ცოტნე...

ვულოცავთ ყველას. გაიზარდონ საქართველოს სასახელო შვილებად.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

დღის ანეკდოტი

ჩვენ სიღარიბის მიჯნასთან ვდგავართ, მაგრამ... ორ სხვადასხვა მხარეს.

უკანასკნელ საათს

გუშინ ჩეჩნეთის 12 რაიონის ხელმძღვანელებმა წერილით მიმართეს რფ პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, გაეთავისუფლებინა ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან ახმად კადიროვი. კრემლმა კომმანის ადმინისტრაციას მოუწოდა კი არ აკრიტიკოს მუფტი კადიროვი, არამედ ადმინისტრაციის წევრები მხარში ამოუდგნენ მას.

დღეს



დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +8+13; დღისით +15+20.
მთაში: ღამით +5+10; დღისით +14+19.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +11+16; დღისით +21+26.
მთაში: ღამით +6+11; დღისით +19+24.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით +13+15; დღისით +24+26.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

20 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გერმანული მარკა	1	0.9684 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9600 ლარი
ევრო	1	1.8939 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0694 ლარი

ინტერპანორამა

აშშ პენსილვანიის შტატში, ავიაშოუს დროს კატასტროფა განიცადა ავიაგამანადგურებელმა. პილოტებმა კატაპულტირება მოასწრეს.

იტალიაში ჩამოვარდა მეხანძრეთა ვერტმფრენი. დაიღუპა 5 ადამიანი.

შპს მაგთიკომი
MAGTICOM Ltd
მაგთი MAGTI GSM

შპს „მაგთიკომი“ იცავს თავის საქმიანობაში აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას კომპანიის მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2000 წლის ივნისში შპს „მაგთიკომის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში (ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) გადახდილია 1'236'292.63 ლარი, ხოლო 2000 წლის 6 თვის განმავლობაში (აგრეთვე ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) — 6'090'588.04 ლარი, აქედან:

	2000 წლის ივნისი	2000 წლის 6 თვის განმავლობაში
საქართველოში მომუშავე უცხოურ იურიდიულ პირთა შემოსავლის დაბეგვრა 10 პროცენტი	233'878.39	243'420.05
დღგ	810'398.20	4'467'735.67
საშემოსავლო გადასახადი	59'845.00	238'997.00
მიწის გადასახადი	20.40	20.40
ქონების გადასახადი	21'000.00	242'903.00
ქონების გადაცემისათვის გადასახადი	1'499.00	8'818.00
სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი		192'953.00
საგზაო ფონდი		180'348.00
სოცდაზღვევის გადასახადი	65'095.00	346'130.00
საბაჟო გადასახადი	27'931.64.	62'844.44
დასაქმების გადასახადი	2'325.00	12'540.00
ჯანდაცვის გადასახადი	9'300.00	49'760.00
დარიცხული პროცენტების დაბეგვრა		4'917.48
რეკლამის გადასახადი	5'000.00	9'101.00
ადგილობრივი მოსაკრებლები		30'100.00
სულ:	1'236'292.63	6'090'588.04

შპს „მაგთიკომში“ დასაქმებულია 227 ადამიანი.

1996 წლის ოქტომბრიდან კანონით გათვალისწინებული ქართული საბუღალტრო სისტემის პარალელურად, შპს „მაგთიკომი“ მუშაობს საბუღალტრო აღრიცხვიანობის საერთაშორისო სტანდარტის (GAAP) მიხედვით.

გიორგი კიკნაძე,
შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

„საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა პრეზიდენტის ღირსების საკითხია, ამიტომ არასდროს შევურიგდები პიროვნების ან ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ხელყოფას, ეს ჩემთვის პრინციპის საკითხია“

(პირველი გვერდიდან)

რაც შეეხება ქალბატონ ნანას, რომელსაც კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ დიდ ნდობას, მას კენჭისყრამდე შევხვდი და მხარი დავუჭირე, ვინაიდან იგი ცხოვრებისეული გამოცდილებით, მოქალაქეობრივი პატიოსნებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, თუნდაც შთამომავლობით, ნამდვილად იმსახურებდა ამ დიდ ღირსებას, რომელსაც საქართველოს სახალხო დამცველობა ჰქვია. მე სწორედ ღირსებად მიმაჩნია ეს უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად. იგი რომ ოპოზიციის წარმომადგენელია, ვფიქრობ, ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა, მის პიროვნებას თუ გავითვალისწინებთ. დარწმუნებული ვარ, მისი ინტერესების სფერო, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა დაცვასთან იქნება დაკავშირებული.

ჩვენ კენჭისყრის შემდეგაც ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში ყოველმხრივ ვითანამშრომლებთ საქართველოში არა მარტო ადამიანის უფლებათა დაცვის პრაქტიკის, არამედ ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის დასამკვიდრებლადაც.

გასულ კვირას ამავე საკითხზე ვესაუბრე ეუთოსა და ევროსაბჭოს წარმომადგენლობითს დელეგაციებს. მათ თავად აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში ამ თვალსაზრისით საქართველოში იმაზე მეტი გაკეთდა, ვიდრე შეიძლებოდა გაკეთებულიყო სამოქალაქო ომის, ნგრევის, სისხლიანი ანარქიისა და ნახევრად ლეგალური შეიარაღებული ბანდების თარეშის პირობებში. ამ ფაქტორებს დავუმატოთ კიდევ ეკონომიკური კრიზისი და დამოუკიდებელი ქვეყნის დაფუძნებისას გარდაუვალი სოციალური სიდუხჭირე და სხვა მრავალი.

იმის თქმა არ მინდა, თითქოს საერთოდ უშეცდომოდ გაგვევლოს ეს გზა, მაგრამ უაღრესად პრინციპულად მიმაჩნია ჩემი, როგორც პრეზიდენტის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი.

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა პრეზიდენტის ღირსების საკითხია. ამიტომ არასდროს შევურიგდები პიროვნების ან ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ხელყოფას. ეს ჩემთვის პრინციპის საკითხია. შემთხვევითი ან მხოლოდ დეკლარაციული არ არის, რომ ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა დაცვის მტკიცე გარანტიების შექმნის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საპრეზიდენტო პროგრამაში, რადგან ადამიანის, პიროვნების, მოქალაქის უფლებათა უმთავრესი გარანტია თავად პრეზიდენტი უნდა იყოს.

ამასთანავე ჩვენ არ მიგვაჩნია, მნიშვნელოვანი წარმატებისათვის მიგვეღწიოს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მაშინ როცა ასიათასობით ლტოლვილი არ დაბრუნებია მშობლიურ მიწა-წყალს, მამაპაპისეულ სახლკარს. ეს როგორც ჩვენი, ასევე იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა პასუხისმგებლობაა, რომლებიც გვეხმარებიან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში შესაბამისი სტანდარტების შემუშავებასა და სათანადო სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტების დაფუძნებაში.

აქვე შევნიშნავ, რომ, ჩემი დაკვირვებით, ლტოლვილთა დაბრუნების პერსპექტივა სულ უფრო ნათელი და რეალური ხდება.

დროებითია, აგრეთვე, სოციალური სიდუხჭირე, რომელიც თან სდევს საბიუჯეტო კრიზისს. დარწმუნებული ვარ, სულ მალე დავძლევთ ამ სირთულეს და სახელმწიფო შეძლებს შეასრულოს საბიუჯეტო ვალდებულებანი მოსახლეობის წინაშე.

— რაც შეეხება საბიუჯეტო ვალდებულებებს, გასულ კვირას თქვენ მთავრობის სხდომაზე ძალიან მკაცრად შეაფასეთ ბიუჯეტთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა და აღნიშნეთ, რომ, თუკი ბიუჯეტი არ შესრულდება, ამისათვის ყველა აგებს პასუხს ძველი თუ ახალი დამსახურების მიუხედავად. გასულ კვირას საქართველოს სავალუტო ფონდის მისია ეწვია, რომელსაც საკუთარი ხედვა და საკუთარი მოთხოვნები აქვს საქართველოს მთავრობის მიმართ. როგორ ფიქრობთ, რეალურად შესაძლებელია თუ არა მათი მოთხოვნების და, საერთოდ, ბიუჯეტის შესრულება...

— სავალუტო ფონდის მისია, რომელიც ამჟამად მუშაობს საქართველოში, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და ექსპერტებისაგან შედგება.

არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია ის, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის მიმართ ნამდვილად კეთილგანწყობილი არიან, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ის იქნება, შევძლებთ თუ არა ჩვენ უკვე ივნისიდან გარდატეხას მივაღწიოთ საბიუჯეტო შემოსავლის თვალსაზრისით შექმნილ სიტუაციაში. ასეთ შემთხვევაში, შემოდგომიდან ამოქმედდება სავალუტო ფონდის ახალი პროგრამა, თუ ზაფხულს ასე წარმატებით გავივლით.

პროგრამის არსი სწორედ სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლაა. და ამ ისტორიულ საქმეში ისეთი მოკავშირის დაკარგვა, როგორიც სავალუტო ფონდია, დაუშვებელიც არის და დანაშაულიც. ამ და სხვა ასეთივე პროგრამების გარეშე სიღარიბის სწრაფად დაძლევა და ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარება ძალიან დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

ასე რომ, ეს არ გახლავთ ვინმეს სუბიექტური სურვილი — ეს უფრო საქვეყნო აუცილებლობაა.

მართლაც, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, მომრავლდნენ, ასე ვთქვათ, „წინასწარმეტყველები“, პროგნოზისტები, „დიდი პოლიტოლოგები“, რომლებიც ერთობ ბრძნული გამომეტყველებითა და მენტორული ტონით წინასწარმეტყველებენ შემოდგომაზე, მაგალითად, გარდაუვალ სოციალურ აფეთქებას, მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვას, პოლიტიკურ კრიზისს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

საერთოდ, ნებისმიერი პროგნოზი, უპირველეს ყოვლისა, ინტელექტსა და ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს, ისევე როგორც მიუკერძოებელი, ობიექტური ანალიზის უნარს.

ჩვენში ზოგიერთი ცუდ პროგნოზს დაუფარავი, ბოროტი სიხარულით გამოთქვამს, რათა ამ ეგრეთ წოდებული „პროგნოზით“ კიდევ უფრო მეტი ნიჰილიზმი და სახელმწიფოს გარდაუვალი დაცემის განწყობილება დაამკვიდროს, ისევე როგორც უილაჯობისა და უმწეობის განცდა, რათა შემდეგ ამით ისარგებლოს და თავად სცადოს საკუთარი წინასწარმეტყველების ახდენა სხვადასხვა პროვოკაციით და რაღაცაზე ხელიც მოითბოს.

თუ ლაპარაკია კრიზისზე, საქართველო არც პირველია და არც უკანასკნელი. მაგრამ მე უკვე არაერთხელ ვთქვი, რომ გაჯანსაღების ნიშნები გამოჩნდა. შიდა ეროვნული პროდუქტის წარმოება წლის დამდეგიდან 5 პროცენტით გაიზარდა (ეს სულაც არ არის დაბალი მაჩვენებელი), რაც საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 12 პროცენტით გადიდდა. აქედან მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიხედვით — 19 პროცენტით. თითქმის ასეთივე მოცულობით გაიზარდა ექსპორტი, საკმაოდ სწრაფი ტემპით მატულობს საექსპორტო პროდუქციის წარმოება და მისი გატანა მსოფლიო ბაზარზე. დარწმუნებული ვარ, კონტრაბანდისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები უკვე ივნისში იქნება საგრძნობი, — საგადასახადო სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა სწორედ ივნისიდან უნდა გამოიღოს ნაყოფი და, რა თქმა უნდა, ამას მოსახლეობაც იგრძნობს.

გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე ვიმსჯელეთ და მოვიწონეთ საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბატონ მიხეილ მაჭავარიანის ღონისძიებანი სისტემაში ახალი მექანიზმების ჩამოყალიბების თვალსაზრისით: იქმნება ახალი სტრუქტურა დამატებითი უფლებამოსილებით, ახალი ბერკეტებით და ასე შემდეგ.

ივლისში ტემპი კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, ხოლო შემოდგომაზე (და ამაში ეჭვი არ მეპარება, თუ ისე ვიმუშავებთ, როგორც საჭიროა) მივაღწევთ ეკონომიკური სტაბილურობის მაღალ დონეს, რაც თავისთავად გულისხმობს პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებას.

ჩემი პროგნოზი ქვეყნის შესაძლებლობებსა და რეალურ რესურსებს ეყრდნობა. თუ მათ ყაირათიანად ვერ გამოვიყენებთ, ეს მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ და არა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას.

თუმცა, ერთხელ კიდევ მტკიცედ ვაცხადებ: ურჩ გადამხდელთა, კონტრაბანდისტთა და კორუმპირებულთა ირგვლივ წრე კიდევ უფრო დავიწროვდება, ლეგალიზებული იქნება ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითადი სეგმენტი. თქვენ, ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ უკვე მუშაობს კანონი კონტრაბანდული საქონლის ჩამორთმევის შესახებ და არა მარტო პროდუქციის ჩამორთმევა გვაქვს მხედველობაში, არამედ სატრანსპორტო საშუალებათა კონფისკაციაც. ამ კანონის შესრულებას უკვე გარკვეული დადებითი შედეგები მოჰყვა. ჩვენ ასეთი შესწორებანი ცალკეულ კანონებში, მათ შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსში კვლავაც უნდა შევიტანოთ, რათა მაქსიმალურად გამკაცრდეს და კანონიერების ფარგლებში მიმდინარეობდეს.

ყოველივე ეს სავსებით რეალურია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. აქედან გამომდინარე შესაძლებელია რეალური ბიუჯეტის დამტკიცება და ფისკალური პოლიტიკის სრულყოფა.

მოგეხსენებათ, ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტის ხელმძღვანელობით თითქმის ყოველკვირეულად განიხილავს შექმნილ მდგომარეობას და იღებს საგანგებო ზომებს. ხოლო ის კომისია, რომელიც სახელმწიფო მინისტრთან ფუნქციონირებს, არსებობს და მუშაობს.

როგორც იცით, ამოქმედდა ახალი საგადასახადო სისტემა. უფრო რაციონალურად და მიზანმიმართულად მუშაობენ გაერთიანებული სამინისტროები, ცალკეული უწყებები, მობილიზებული არიან სამართალდამცავი ორგანოები, რომელთაც უნდა უზრუნველყონ კანონის აღსრულება.

დიდი იმედი გვაქვს უზენაესი სასამართლოსი და საერთოდ სასამართლოებისა. ამას წინათ, იუსტიციის საბჭოზე ძალიან საინტერესო და პრინციპული საუბარი გაიმართა ამ თემასთან დაკავშირებით. მათს პრინციპულობასა და ოპერატიულობაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული — მე ერთმნიშვნელოვნად მივესალმე და ძალზე დამაიმედებელ გადაწყვეტილებად მივიჩნიე მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს არჩევა, რაც ხელს შეუწყობს სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი სახელისუფლებო შტოს შემდგომ განმტკიცებას. ისევე როგორც, იმედისმომცემია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბატონ ლადო ჭანტურიას მაღალკვალიფიციური და აქტიური მოღვაწეობა.

ახლებური (პრაქტიკულ, ხელშესახებ შედეგზე გათვალისწინებული) მიდგომის პირველი სიმპტომები შეიმჩნევა კონტროლის პალატაში, რომლის ახალი თავმჯდომარე ბატონი სულხან მოლაშვილი შეუპოვარი, მე ასე ვიტყოდი, შეუპოვარი, კვალიფიციური და პატიოსანი მოღვაწეა, რომლისგანაც ძალიან ბევრს მოველით. მან უკვე შექმნა თავისი გუნდი.

უფრო აქტიურად და ნაყოფიერად მოქმედებს რწმუნებულების, გამგებლებისა და მერების კორპუსი, აგრეთვე, სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული სამსახური და სხვები.

დარწმუნებული ვარ, ახალი მინისტრების საქმიანობაც შედეგიანი იქნება. ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა ნდობა გამოვუცხადეთ და დიდი პასუხისმგებლობაც დავაკისრეთ ბატონ გიორგი არსენიშვილს. რაც მთავარია, მკაცრი მომთხოვნელობა (სახელმწიფო მინისტრის მაკოორდინირებელი როლის გათვალისწინებით) არავის მისცემს თუნდაც დროებითი მოდუნების საშუალებას. სახელმწიფო მინისტრის ახალი უფლებამოსილების გათვალისწინებით, მინისტრებისადმი მისი დამოკიდებულება გადამწყვეტი იქნება და ეს ყველამ ყურად უნდა იღოს.

ალბათ, აგრეთვე, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის საერთოდ მასმედიისადმი: ბევრი ჟურნალისტი, მათი უმრავლესობა, როგორც შეუძლიათ, ისე ეხმარებიან ქვეყანას.

ამ ჩამონათვალს აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან შესანიშნავად მესმის, რომ ჩვენ წინაშე, გადაუჭარბებლად ვიტყვი, გადაუჭრელ პრობლემათა მთელი ოკეანეა. გველოდება ისეთი ძალიან უსიამოვნო პროცედურა, როგორიც ბიუჯეტის სეკვესტრია, მაგრამ ეს აუცილებელია, ამას ვერ გავექცევით. მაგრამ, რაც მთავარია, გვაქვს სწორი ორიენტირი, მიზანშეწონილი სტრატეგია და ისეთი რეზერვი, როგორიც არის მეტი შემართება, მეტი მომთხოვნელობა, პრინციპულობა და შეურიგებლობა ყოველივე იმასთან, რაც ხელს გვიშლის კრიზისის დაძლევაში.

აქვე არ შემიძლია მადლიერების გრძნობით არ აღვნიშნო, რომ ყველა სასიკეთო წამოწყებაში აქტიურად გვიჭერენ მხარს პარლამენტი, კერძოდ, საპარლამენტო კომიტეტები, ფრაქციები, დეპუტატთა ჯგუფები და ცალკეული დეპუტატებიც.

— ამ ბოლო ხანს პოლიტიკურ წრეებსა და პარლამენტშიც ძალიან აქტიურად ლაპარაკობენ მინისტრთა კაბინეტის აღდგენის აუცილებლობაზე. უკვე ხელმოწერებიც შეგროვდა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

— ჩვენ ხომ არ შეგვიძლია, არ ვიყოთ ყველაფერში ორიგინალური. რა თქმა უნდა, ამის უფლება აქვს ყველას — დეპუტატთა ჯგუფს, მოქალაქეებს, განიხილონ ეს საკითხები.

ნებისმიერი საკითხი, რომელიც აღელვებს საზოგადოებას, დიალოგისა და მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ჩემი შეხედულება ასეთია.

სრულებითაც არა ვარ წინააღმდეგი, რომ ვიმსჯელოთ მინისტრთა კაბინეტის აღდგენის თემაზეც, მაგრამ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებლად მიმაჩნია.

იქნებ შევქმნათ ძალიან ავტორიტეტული კომისია, მოვიწვიოთ საუკეთესო სპეციალისტები, მეც არ ვიქნები წინააღმდეგი, მონაწილეობა მივიღო ამ კომისიის მუშაობაში. მოვიწვიოთ საპარლამენტო ფრაქციათა, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები და დავიწყოთ დისკუსია, ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ, ავწონ-დავწონოთ ყველაფერი.

რაც მთავარია, ეს არ უნდა იყოს სუბიექტური გადაწყვეტილება, რომ ვიღაცას რაღაც „მოსწონს“ ან „არ მოსწონს“.

თუ ლაპარაკია მინისტრთა კაბინეტზე, — ეს ინსტიტუტი ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა, თქვენ გახსოვთ და, რაც მაშინ ხდებოდა, ყველამ კარგად უწყის და მისი განმეორება ღმერთმა ნუ ქნას.

— ხდებოდა ის, რომ, თუ, ვთქვათ, ახლა ამბობენ, ძალაუფლება პრეზიდენტს თავის ხელში აქვს თავმოყრილიო, მაშინ ამბობდნენ, რომ „განტევების ვაცი“ მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელიაო...

— მიზეზი, ალბათ, ყოველთვის მოიძებნება. დღეს მე არ შემიძლია არ შევეხო ამას (მე პრესას თვალყურს ვადევნებ). ყოფილი ვიცე-პრემიერები მედიდურად გვასწავლიან ჭკუას და ლექციებსაც გვიკითხავენ ტელეეკრანიდან.

დიდი მადლობა ამ დარიგებისათვის, მაგრამ მათთან სადისკუსიოდ ნამდვილად არ მცალია.

ხელისუფლებაში ყოფნისას რა გააკეთეს და საზოგადოებაში რა ავტორიტეტი მოიხვეჭეს, თავად კარგად უწყიან, თუმცა შეიძლება შევახსენოთ კიდეც.

სხვათა შორის, არ ვიცი რამდენი საგამოძიებო ტომია შექმნილი სწორედ იმ მინისტრთა კაბინეტის საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელთა გამოქვეყნებაც კი ძალიან უხერხულ სიტუაციას ქმნის. მაგრამ, მოვა დრო და, ალბათ, გამოქვეყნდება.

რაც მთავარია, სახელმწიფო მართვისა და ხელისუფლებათა გამიჯვნის ამჟამად არსებული სისტემა დააფუძნა საქართველოს მართლაცდა შესანიშნავმა კონსტიტუციამ.

ეს კონსტიტუციის თაობაზე მხოლოდ ჩემი შეფასება არ არის.

მოქმედი სისტემა თავისუფალია ბიუროკრატიული მრავალსაფეხურიანობისაგან, რაც ბევრ ქვეყანაში სერიოზულ პრობლემად ითვლება.

თუმცა, მეორე მხრივ, საპრეზიდენტო რესპუბლიკა არ გამორიცხავს მინისტრთა კაბინეტის არსებობასაც. ზოგიერთ ქვეყანაში პარლამენტის თანხმობა აუცილებელია მხოლოდ პრემიერ-მინისტრის დანიშვნისას. ყველა სხვა საკადრო საკითხს კი მთავრობაში, მათ შორის მინისტრებისა და სხვების საკითხს, პრეზიდენტი წყვეტს პრემიერთან შეთანხმებით.

ასეთი მოდელი ფუნქციონირებს რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ბევრ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში.

მაგრამ, როდესაც ჩვენ ვქმნიდით ახალი საქართველოს კონსტიტუციას, ხანგრძლივი დისკუსიისა და ღია დებატების შედეგად შევიმუშავეთ უმთავრესი კონცეპტუალური პოსტულატი: „ძლიერი პარლამენტი — ძლიერი პრეზიდენტი“.

ეს მოდელი ყველაზე ახლოსაა ხელისუფლებათა გამიჯვნის ამერიკულ სისტემასთან.

და, მთავარი არგუმენტი: შევახსენებ მინისტრთა კაბინეტის აღდგენის მომხრეებს, რომ ამ ინსტიტუტის კვლავ შემოღება შეუძლებელია კონსტიტუციის ძირფესვიანი გადაკეთების გარეშე. ფაქტობრივად, ასეთ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ ახალ კონსტიტუციაზე. ქვეყნის ძირითადი კანონის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება კი მე, ცოტა არ იყოს, დაუშვებლად მიმაჩნია.

მოქმედ კონსტიტუციას (მე იგი დიახაც მიმაჩნია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს „ძეგლად“), ქვეყნის სამეცნიერო და პოლიტიკური ელიტა ქმნიდა თითქმის სამი წლის განმავლობაში და იქ არც ერთი შემთხვევითი ფრაზა არ არის.

საქართველოს კონსტიტუცია ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, გონიერული კომპრომისებისა და ურთულესი ბალანსის შედეგია.

იმ ვითარებაში ასეთი ბალანსისა და კომპრომისის მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო.

ისტორია განსჯის როლს, რომელიც ამ კონსტიტუციის შემუშავებაში მეც შევასრულე ჩემს პატივცემულ კოლეგებთან ერთად,

მაგრამ ახლა რას ვაპირებთ? — ნუთუ არ გვესმის, რომ დაუშვებელია ერთი ხელის მოსმით, თუნდაც ხელმოწერების შეგროვებით, არსებული ბალანსის უგულებელყოფით, ურთულესი კომპრომისების დარღვევით, — შევცვალოთ სახელმწიფოს მართვის სისტემა?!

ვიმეორებ, სულაც არა ვარ წინააღმდეგი, შევქმნათ კომისია, რომელიც მიზანშეწონილ გადაწყვეტილებას შემოგვთავაზებს იმ ელემენტების გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც ახლა ზემოთ მოგახსენეთ.

მესმის, რომ ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს კონსტიტუციაში ცალკეულ ცვლილებათა შეტანის აუცილებლობას.

მაგალითად, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტია, თუ კონსტიტუციის ცვლილებას მოითხოვს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ (ცხინვალის რეგიონის) კონფლიქტების საბოლოო გადაწყვეტის აუცილებლობა და ამისთვის კონსტიტუციაში ადგილიც არის დატოვებული. მაგრამ გაუთავებელი „ვარჯიში საკონსტიტუციო ცვლილებებით“, ქვეყნის უზენაესი კანონის გაუფასურებას მოასწავებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

— თქვენ მოსკოვში დსთ სახელმწიფოს მეთაურთა სამიტზე მიემგზავრებით. როგორია თქვენი დამოკიდებულება იმ პრობლემატიკისადმი, რომელიც „მეთაურთა საბჭოს“ სხდომაზე იქნება განხილული. კერძოდ, ეს არის „თავისუფალი სავაჭრო ზონა“, „კავკასიური ოთხეულის თანამშრომლობა“. ამ კონტექსტით ისევ აქტიურად საუბრობენ „კავკასიური პაქტის“ შესახებაც. არ არის გამორიცხული „უვიზო რეჟიმის“ თაობაზე ბიშკეკის ხელშეკრულებიდან რუსეთის მოსალოდნელი გასვლის პრობლემაც დაისვას, რომელიც ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანას.

გასულ კვირას თქვენ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სერგეი ივანოვი მიიღეთ და ერთობლივ განცხადებასაც მოაწერა ხელი თბილისში. და ბოლოს ერთი ასეთი თემა — რუსეთთან ურთიერთობის თემა: შეხვდებით თუ არა პრეზიდენტ პუტინს და მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა მასთან შეხვედრა მოსკოვში?

— დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში თანამშრომლობას მე, პირადად, ყოველთვის მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი.

არც დღეს ვეთანხმები იმათ, ვინც მიიჩნევს, რომ ამ თანამეგობრობამ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და დროა ვიფიქროთ ამ გაერთიანების დასასრულზე.

უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება „თავისუფალი სავაჭრო ზონის“ დაფუძნება. საქართველოს არაერთგზის დაუყენებია ეს საკითხი მოსკოვში, კიშინიოვში, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამიტებზე. მადლობელი ვარ კოლეგების, რომელთაც აქტიურად დაგვიჭირეს მხარი. ამჯერად საკითხი განსახილველად შემოდის უკრაინის ინიციატივით, რაც ძალზე ნიშანდობლივია და წარმატების იმედსაც გვისახავს. ეს ის ხელშეკრულებაა, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდება ახლა. და თუ უკრაინელების მიერ ამჟამად შემოთავაზებულ პროექტს მივიღებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ინტეგრაციულ პროცესებს სავსებით სასურველი ხასიათი მიეცემა.

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ ჩვენთვის თუნდაც იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იქ გაერთიანებული არიან ჩვენი მეგობრები და სტრატეგიული პარტნიორები.

არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ „კავკასიური ოთხეულის“ შეხვედრას. ეს არის იმ პროცესის ერთგვარი გაგრძელება, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების განცხადებით დაიწყო, შემდგომ იყო კისლოვოდსკის დეკლარაცია, სომხეთის პრეზიდენტის ინიციატივები, რომლებიც მან თბილისში, საქართველოს პარლამენტში გამოაქვეყნა, და თურქეთის პრეზიდენტის, ახლა უკვე ყოფილი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის ცნობილი წინადადებანი „კავკასიური სტაბილურობის პაქტის“ მომზადების თაობაზე. სხვათა შორის, მეც ვმუშაობ ამ პრობლემაზე, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნება მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ გამოვაქვეყნო ჩემი შეხედულებანი „კავკასიურ პაქტთან“ დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ ამ პაქტის შინაარსსა და ძირითად დებულებებზე მსჯელობენ ახლა ვენაში, ბრიუსელსა და სხვა დედაქალაქებში. სამხრეთი კავკასია მართლაც ექცევა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში.

მივესალმები, რა თქმა უნდა (მე უკვე ვთქვი ეს) რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის განცხადებას, რომლითაც მან დაადასტურა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობა რუსეთისათვის პრიორიტეტულია. ასეთივე შთაბეჭდილება დამრჩა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანთან სერგეი ივანოვთან შეხვედრის შემდეგ. კარგი შეხვედრა იყო, საქმიანი და აბსოლუტურად გულახდილი.

ალბათ, ნაადრევი იქნებოდა, მოსკოვის სამიტამდე უფრო ვრცლად ჩამოვაყალიბო ჩემი შეხედულებანი მთელ რიგ საკითხებზე, დავბრუნდები და ჩვენი საუბარი შემდეგ გაგრძელდება.

მაგრამ, აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ არის ზოგიერთი ძალიან რთული და ცოტა არ იყოს გაუგებარი პრობლემაც.

მაგალითად, ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, სანქტ-პეტერბურგში გამართულ თანამეგობრობის საპარლამენტო ასამბლეაზე მწვავე კამათი გამოიწვია ბატონ სტროევის იმ წინადადებამ, რომ შესაძლებელია თანამეგობრობის ქვეყნებს შორის შემოიღონ სავიზო რეჟიმი. იქ გამოვიდა ბატონი ელდარ შენგელაია, რომელმაც სავსებით ნათლად ჩამოაყალიბა საქართველოს შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც მეუბნებიან, რუსეთის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ბიშკეკის ხელშეკრულება „უვიზო მიმოსვლის“ შესახებ ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს. მე უკვე განვაცხადე ერთხელ, მაგრამ ახლა კვლავ გავიმეორებ, იმდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი, რომ ასეთი გადაწყვეტილება უფრო კარჩაკეტილობის ტენდენციებს დაამკვიდრებს, ვიდრე ინტეგრაციული პროცესების განვითარებას.

ამიტომაც მე მოსკოვში ჩასვლამდე ვაცხადებ, რომ ასეთი რამ ჩემთვის მიუღებელია. სხვა დასკვნებისაგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, სანამ სამიტი მუშაობას არ დაამთავრებს.

საქინფორმი.

„მეგაკომი“ გთავაზობთ

20-პროცენტიან ფასდაკლებას მობილურ ტელეფონებზე და 50-პროცენტიან ფასდაკლებას აქსესუარებზე.

მოგვმართეთ გაყიდვების ოფისში (კოსტავას 22) და სადილერო ქსელის 300-მდე მაღაზიაში, ან დაგვიკავშირდით 99-99-99.

იარაღი ცესკოს მხოლოდ ერთ ოთახში აღმოაჩინეს

საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაში განთავსებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოთახებიდან, როგორც ირკვევა, იარაღი მხოლოდ ერთში იყო შენახული სამოქალაქო ომის პერიოდში.

მას შემდეგ, რაც გასულ ხუთშაბათს ცესკოს კანცელარიის ოთახში მძაფრი სუნით შეწუხებულმა თანამშრომლებმა რადიატორის ხის დარაბის უკან მკვდარი თაგვის ნაცვლად იარაღის მთელი არსენალი აღმოაჩინეს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა ცესკოს ყველა განყოფილების ოთახები შეამოწმეს, მაგრამ იარაღი სხვაგან არ აღმოჩნდა.

გვეწვევა თურქი სამხედრო მოხელე

თურქეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, არმიის გენერალი ჰუსეინ თივრიქოღლუ თბილისს ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვევა ხუთშაბათს, 22 ივნისს.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამდივნოში, ვიზიტისას გათვალისწინებულია თურქი მაღალჩინოსნის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, თავდაცვის მინისტრთან დავით თევზაძესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან.

წინასწარი მონაცემებით, მხარეებს შორის რაიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს ხელი არ მოეწერება.

თურქეთი აქტიურად ეხმარება საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესში. ამ მიზნით წელს გამოიყო ოთხი მილიონი აშშ დოლარი, რომელიც მოხმარდება კოდაში განლაგებულ მე-11 მოტომსროლელ ბრიგადას იმ ვარაუდით, რომ იგი ნატოს სტანდარტებს შეესაბამებოდეს, საქართველოს სამხედრო წარმომადგენლობის გახსნას ნატოში და კოსოვოში ქართულ სამშვიდობო ოცეულს.

ეს რიგით მეორე დიდი სამხედრო გრანტია თურქეთის მხრიდან. პირველი — 5,5 მილიონი აშშ დოლარი 1998 წელს გამოიყო.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

შეხვედრა

პოლიციამ გააფრთხილა, თავად კი...

19 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა შეხვედრა ჟურნალისტებთან თელავის სასტუმრო „კახეთის“ ეზოში მომხდარი მკვლელობის გამო. როგორც უკვე ცნობილი გახდა, 17 ივნისს, გამთენიისას, სასტუმრო „კახეთის“ ეზოში მთვრალმა, 29 წლის მალხაზ ყალიმოვმა, რომელიც არ დაემორჩილა პოლიციის მუშაკებს და ყურად არ იღო მათი გაფრთხილება, ხელყუმბარა ააფეთქა. ადგილზე მყოფი ინსპექტორების ჯგუფიდან აფეთქების შედეგად გარდაიცვალა საპატრულო სამსახურის უფროსი ინსპექტორი, 30 წლის დოლმაზ ყურშიტაშვილი, დაიჭრნენ პოლიციის ლეიტენანტი დავით ბერძენიშვილი, ბექან მეგრელიშვილი და იური იმერლიშვილი.

დამნაშავე დააკავეს, ხოლო 18 ივნისს ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილებაში შეიტყვეს, რომ შესაძლებელი იყო მალხაზ ყალიმოვზე თავდასხმა. თელავის პოლიციის უფროსის ბრძანებით, შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი და გადაწყდა, რომ დაკავებული, სათანადო ბადრაგის თანხლებით, საგარეჯოს პოლიციის განყოფილებაში გადაეყვანათ. მგზავრობისას, ალაზნის ხიდთან მათ დაახლოებით ოთხმოცამდე კაცი დახვდათ, რომლებმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის მუშაკებს და ჩაქოლეს ყალიმოვი.

მომხდართან დაკავშირებით, ყვარლის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. მოკვლევას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

პოლიციის კანონით, ითქვა შეხვედრაზე, მკაფიოდ არის განსაზღვრული პოლიციის თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი. კერძოდ, პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას ქმნის.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სწორედ ამ უფლების გამოუყენებლობამ შეიწირა კიდევ ერთი პოლიციელის სიცოცხლე.

დასასრულ, ორგანოს თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ეს მწარე გაკვეთილი იქნება თითოეული პოლიციელისათვის და ისინი უფრო გაბედულად გამოიყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას, თუ ეს შეეხება მოქალაქეთა და მათი სიცოცხლის ხელყოფას.

გულიკო მარკოზაშვილი.

პრესკონფერენცია

შეჭირვებულ ხალხს განგაში აღარ უნდა

ჩვენ ფაქტებს მოგაწვდით და დასკვნები თქვენ გააკეთეთო.

ფაქტები კი ეროვნული თანხმობის საპარლამენტო კომისიამ (თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე) ასეთი მოგვაწოდა:

გასულ შაბათს ამბროლაურში პოლიციის უფროსს სარდანაშვილს ყოფილი ზვიადისტი ბიჭაშვილი დაუკავებია. ამ ფაქტმა, როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ეროვნული თანხმობის საპარლამენტო კომისიის მუშაობა ჩიხში მოამწყვდია.

ბიჭაშვილი თურმე აქტიურად თანამშრომლობდა ამ კომისიაში, წარმატებით მიმდინარეობდა შემორიგების პროცესი, რასაც საფუძველი პრეზიდენტის პირადმა ინიციატივამ, ამ საკითხზე პარლამენტის საგანგებო დადგენილებამ დაუდო.

ბიჭაშვილის განთავისუფლება ჯერჯერობით თვით კახა თარგამაძემაც ვერ მოახერხაო.

ვასილ მაღლაფერიძის აზრით, ამ კონკრეტულ ფაქტს სხვა დატვირთვა აქვს, — ბიჭაშვილი იმ ხალხმა დააკავა, ვისაც საქართველოში დესტაბილიზაცია აძლევს ხელს და ამასთან დაკავშირებით ამ თემის აგორებას ცდილობს. მისი თქმით, ასეთი ხალხი ყველა უწყებაშია, მათ მორის ძალოვან სტრუქტურებში, პარლამენტში, კანცელარიაში.

ზურამ მარაძე: ზვიადიზმი ამ შემთხვევაში ლაკმუსის ქაღალდია, რომელსაც საჭიროებისამებრ იყენებდნენ, იყენებენ და კვლავაც გამოიყენებენ.

ელდარ შენგელაია: პროვოკატორები მძიმე სოციალური ფონის მოშველიებით მიტინგების, საპროტესტო აქციების, „ტყის თემის“ აგორებას ცდილობენ.

ეროვნული თანხმობის საპარლამენტო კომისიის წევრებს პროვოკაციად მიაჩნიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს საქართველოში ზვიადისტური მოძრაობა გააქტიურდა.

ასეთი რამ არ დასტურდება, — აცხადებს ვასილ მაღლაფერიძე, — პირიქით, კომისიას სრულიად საწინააღმდეგო ფაქტები მოეპოვება, რომელთა მომზეურებასაც ამ დღეებში ვაპირებდითო.

ასეთ შემთხვევაში ეროვნული თანხმობის კომისია ყველის როლს ვერ შეასრულებს, რომელმაც ხალხი ხაფანგში უნდა შემოიტყუოს, — თანხმობის პროცესი შეჩერებულია, ხალხს შემოსარიგებლად ვერ მოვიზიდავთ, თუ მათ წინააღმდეგ რეპრესიებს დავიწყებთ, — თქვეს კომისიის წევრებმა.

კომისია მოითხოვს, რომ ეროვნული შერიგების პროცესი მთლიანად პარლამენტის კონტროლს დაექვემდებაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ.

ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, თუ ეს ქმედება, რომელიც მას პრეზიდენტის და პარლამენტის წინააღმდეგ მიმართულად მიაჩნია, დაუყოვნებლივ არ აღიკვეთება. იგი კონკრეტულად დაასახელებს მათ გვარებს (ამჯერად გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა), ვისაც ქვეყანაში არეულობის შემოტანა სურს.

სხვებისა არ ვიცი და მე მათი ნათქვამიდან ასეთი დასკვნა გავაკეთე: ქვეყნის არევა და ხელისუფლების გადატრიალება თურმე სწორედ ხელისუფლებაში მოკალათებულ „ძლიერთ ამა ქვეყნისა“ ნდომებიათ!

თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, კომისიაში აქტიურ მუშაობას თავს ვანებებთ და მხოლოდ კამერული მუშაობით შემოვიფარგლებითო, — „დაგვამშვიდეს“ კომისიის წევრებმა.

ვასილ მაღლაფერიძე აცხადებს, რომ აპირებს ეს საკითხი პარლამენტის ბიუროს წინაშე დასვას და სასურველსაც მიაღწიოს. ჩემი აზრით, სჯობდა ჯერ ასე მოქცეულიყო: საქვეყნოდ გაცხადება კარგია, მაგრამ ისედაც მძიმე სოციალური პირობებით შეჭირვებულ ხალხს, კიდევ განგაში უნდა?

მზია გელენავა.

P. S. პოლიციამ გოჩა ბიჭაშვილი გუშინ გაათავისუფლა.

ხელისუფლება და პრესა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრიფინგი

19 ივნისი, 2000 წელი

ტელეკომპანია „რუსთავი-2“: გასულ კვირას პარლამენტ[illegible] უზენაესი სასამართლოს [illegible] მჯდომარის მოადგილის [illegible]ყოფნის საკითხის განხილვით [illegible]ა პრეზიდენტი, რომ გამოცდაგაუვლელ მოსამართლეს უფლებამოსილება არ შეუწყდა. როგორ შეაფასებთ ამ კონტექსტში პროკურატურაში მოსალოდნელ რეფორმებს? რამდენად აუცილებლად მიგაჩნიათ ამ სფეროში გამოცდების ჩატარება?

ედუარდ შევარდნაძე: პროკურატურაში გამოცდების ჩატარების საკითხს ყველა ნიუანსის გათვალისწინებით ცოტა მოგვიანებით უნდა დავუბრუნდე. პრინციპულად, ამ პროცესის განხორციელების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ ორგანოსათვის დამახასიათებელი სპეციფიკა უნდა გავითვალისწინოთ. უფრო დეტალურად მაშინ გიპასუხებთ, როცა ეს პროცესი მოახლოვდება.

„რუსთავი-2“: ამ პროცესებმა, მათ შორის, ნანა დევდარიანის კანდიდატურის განხილვამ, კიდევ უფრო წარმოაჩინა საპარლამენტო უმრავლესობაში არსებული დაპირისპირება. როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ პარლამენტში უმრავლესობა აღარ არსებობს?

ედუარდ შევარდნაძე: ვფიქრობ, აზრთა სხვადასხვაობის ზედმეტი დრამატიზება ხდება. განსხვავებული მოსაზრებები შეიძლება არსებობდეს ფრაქციაშიც, პარლამენტში ხომ — თავისთავად. ნანა დევდარიანის მაგალითი არ გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, რომ საპარლამენტო უმრავლესობა დაიშალა. ქალბატონი ნანას კანდიდატურის წინააღმდეგი მხოლოდ ორი აღმოჩნდა, მათ შორის, უმრავლესობამ თითქმის ერთსულოვნად მისცა ხმა. ეს არ არის დაშლის ნიშანი. არ მგონია, რომ უმრავლესობის დაშლის საფუძველი არსებობდეს. შეიძლება ზოგიერთმა დატოვოს მისი რიგები, ზოგიერთი კი — შემოვიდეს. ეს ბუნებრივი პროცესი იქნება.

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი: დღევანდელ რადიოინტერვიუში დიდი ყურადღება დაუთმეთ მოსალოდნელი მოსკოვში დაგეგმილი დსთ-ის უმაღლესი დონის სამიტის თემას და შეეხეთ იქ განსახილველ საკითხებს. ხომ არ დადგება დღის წესრიგში კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალების საკითხი? 23-24 ივნისს სრულდება ექვსი წელი მათი შემოსვლიდან. როგორ აფასებთ სამშვიდობო ძალების შემოყვანას დღევანდელი გადასახედიდან? თუკი საუბარი იქნება მათი მანდატის გაგრძელებაზე, რა იმედი უნდა დაამყაროს ამაზე ქართულმა მხარემ?

ედუარდ შევარდნაძე: მე ამ სამიტზე აფხაზეთის საკითხის განხილვის წინააღმდეგი ვარ. ახალს ვერაფერს ვიტყვით, მთავარია, შესრულდეს წინა სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებები. რაც შეეხება სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელებას, ალბათ, კიდევ ექვსი თვით გავუგრძელებთ. ბოლო ხანებში შენიშვნები სულ უფრო ნაკლებია. სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა საკმაოდ საქმიანი ხასიათისაა.

სააგენტო „პრაიმ-ნიუსი“: გვაინტერესებს პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების ბედი. თურქეთი, მიწისძვრით გამოწვეული საკუთარი პრობლემების გამო, როგორც ჩანს, უარს აცხადებს მათს მიღებაზე. უპერსპექტივოდ მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთთან, ასევე აზერბაიჯანთან. რა ბედი ეწევათ მათ? ხომ არ არის მოსალოდნელი მათი აქ სამუდამოდ დარჩენა და დასახლება?

ედუარდ შევარდნაძე: ჯერჯერობით ასეთი საფრთხე მოსალოდნელი არ არის. ძირითადი მასა ლტოლვილებისა, რომლებიც ხეობაში არიან, საკმაოდ ნორმალურად იქცევა, ესმით ჩვენი პრობლემები, მადლობელი არიან იმ დახმარებისა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უწევს. ცხადია, მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც შეუძლიათ იარაღით ხელში ესა თუ ის ფუნქცია შეასრულონ, მაგრამ მათი სურვილი, ისევე როგორც მთელი მასისა, ჩეჩნეთში დაბრუნებაა. ამიტომ, ვფიქრობ, არც თურქეთის ვარიანტია რეალური, არც აზერბაიჯანის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის. საუკეთესო გამოსავალია, რუსეთმა რაც შეიძლება სწრაფად მოაგვაროს თავისი პრობლემები ჩეჩნეთში, შეიქმნას ცხოვრების ნორმალური პირობები და, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხალხი სამშობლოში დაბრუნდება. არც ერთ მათგანს არ გამოუთქვამს საქართველოში დასახლების სურვილი. ამის საშუალება არც არის. ხეობა, რომელიც სხვადასხვა ეროვნების ხალხით არის დასახლებული, ძალზე პატარაა, იქ ძალიან ნაკლებია მათი დაფუძნების პერსპექტივა.

„პრაიმ-ნიუსი“: თუ უყურებთ ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში და რომელ ნაკრებს გულშემატკივრობთ?

ედუარდ შევარდნაძე: სამწუხაროდ, ვერ ვუყურებ მოუცლელობის გამო. იშვიათად თუ ვნახავ ფრაგმენტებს. მაგრამ, ვფიქრობ, არ არის ის დონე, რომელიც, ჩემი გემოვნებით, მაღალ დონედ ითვლება. ვის ვუჭერ მხარს? არ გამოვყოფდი არავის. იცოცხლე, მხარს დავუჭერდი, საქართველოს გუნდი რომ ყოფილიყო.

რუსეთის ტელეარხი „ტვ-6“: გასულ კვირას რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა თბილისში განაცხადა, რომ რუსეთი იტოვებს უფლებას, გამოვიდეს ბიშკეკის ხელშეკრულებიდან და შემოიღოს სავიზო რეჟიმი დსთ-ის ქვეყნებთან. რამდენად ეწინააღმდეგება რუსეთის ეს გადაწყვეტილება დსთ-ის სხვა ქვეყნების ინტერესებს? ხომ არ უთხრის იგი ძირს დსთ-ის არსებობის საფუძველს, ვინაიდან ბიშკეკის შეთანხმება დსთ-ის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს?

ედუარდ შევარდნაძე: ვფიქრობ, მართალი ხართ. ამ ხელშეკრულების ანულირება ძირს უთხრის დსთ-ის საფუძველს. ეს ის შეთანხმებაა, რომელიც რეალურად მუშაობს. დღეს დილით განვაცხადე, რომ ამ დოკუმენტის ლიკვიდაცია არსებითად მიმართულია არა იმდენად მთავრობათა, რამდენადაც თვითონ მოქალაქეთა ინტერესების წინააღმდეგ, რადგან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოქალაქეებს დიდი მიზიდულობა აქვთ ერთმანეთის მიმართ. მართალია, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას, მაგრამ, თუ მაინც მიიღებენ ამ გადაწყვეტილებას, ვფიქრობ, ეს თითოეული სახელმწიფოს იზოლაციას უფრო გამოიწვევს, ვიდრე ინტეგრაციას. მე არ ვიწონებ ამ მოსაზრებას.

სააგენტო „როიტერი“: ამ ბოლო დროს საქართველოს ტელევიზიით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით გადაიცა ინფორმაცია, რომ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მხარს უჭერს პროსტიტუციის ლეგალიზების იდეას. რამდენად რეალურად და რაციონალურად გესახებათ პროსტიტუციის, ნარკომანიისა და სხვა მოვლენათა ლეგალიზება?

ედუარდ შევარდნაძე: თითქმის ყოველდღიური კავშირი მაქვს ავთანდილ ჯორბენაძესთან, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი სამინისტროა, განსაკუთრებით მისი გაერთიანების შემდეგ. მე ყველა პროცესის საქმის კურსში ვარ. ჩვენი ურთიერთობა იძლევა იმის საშუალებას, რომ, თუკი ამგვარი საკითხი დადგება, საქმის კურსში ჩამაყენოს. არა მგონია, ეს იდეა სამინისტროდან მოდიოდეს. ალბათ, ვიღაცამ „მიაკერა“. სამინისტროს ხელმძღვანელობაში ასეთი წინადადება არ დასმულა. რაც შეეხება თვითონ პრობლემას, პროსტიტუცია იქნება, ნარკომანია თუ სხვა, მათ წინააღმდეგ ხელისუფლებამ ბრძოლა უნდა გააძლიეროს.

გაზეთი „სეგოდნია“: დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ბიშკეკის ხელშეკრულებიდან გამოსვლაზე. ამ ხელშეკრულებიდან გამოსვლით რუსეთი თვითონ იზღუდავს თავს რკინის ფარდით. ამას ემატება მედიომაგნატის გუსინსკის დაპატიმრება და შემდგომში გათავისუფლება. ათი წლის წინათ, თქვენ საუბრობდით რუსეთში ტოტალიტარიზმის მოახლოების საფრთხეზე. მაშინ თქვენ გადადექით საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან. ხომ არ გაქვთ იმის შეგრძნება, რომ გუსინსკის დაპატიმრება, ბიშკეკის შეთანხმებიდან გამოსვლა მიგვანიშნებს მოახლოებული ტოტალიტარიზმის საშიშროებაზე?

ედუარდ შევარდნაძე: საბედნიეროდ, ჯერჯერობით ამგვარი შეგრძნება არ მაქვს. შემდგომში ვნახავთ. რაც შეეხება გუსინსკის დაპატიმრებას, ამ ფაქტს მსოფლიო საზოგადოებრიობა საკმაოდ მკვეთრად გამოეხმაურა. ვფიქრობ, პრეზიდენტმა პუტინმაც მართებული განცხადება გააკეთა ამასთან დაკავშირებით. ეჭვისა და სამხილის შემთხვევაშიც კი არ არის აუცილებელი დაპატიმრება. პუტინმაც აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე ილაპარაკა. არ ვიცი, როგორ იმოქმედა ამან პროკურატურის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ეს გაკეთდა, რაც, ჩემი აზრით, სწორია. გუსინსკის ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ რამდენჯერმე შევხვედრივარ. ის არა მარტო ბიზნესმენია, არამედ წარმატებული საზოგადო მოღვაწე, ეხმარება პრესას, ტელევიზიას. ასეთ ადამიანებთან, ცხადია, ფრთხილად უნდა იყო.

გაზეთი „დრონი“: რამდენიმე დღის წინათ „ტაორმა“ კვლავ შემოიტანა პიროლიზური ფისის პარტია, რომელსაც შემოსავლების სამინისტრო განბაჟების საშუალებას არ აძლევს. როგორი იქნება თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით? რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ის ფაქტი, რომ დავა პიროლიზურ ფისთან დაკავშირებით დაყვანილია გვარებს შორის ბრძოლამდე?

ედუარდ შევარდნაძე: ვერ გეტყვით, კლანების და გვარების ბრძოლა რამდენად არის ამ საქმისათვის დამახასიათებელი. ვიცი, რომ ეს ქარხანა დაინტერესებულია, შემოიტანოს ნედლეული. რაც შეეხება პიროლიზური ფისის შემოტანას, მიხეილ მაჭავარიანმა მიიღო გადაწყვეტილება, არ მოახდინოს განბაჟება. როგორც მან მითხრა, ტვირთი აზერბაიჯანის საზღვარზეა და საქართველოში ჯერ არ შემოსულა. კონსულტაციები გაგრძელდება. არ გამოვრიცხავ, რომ საკანონმდებლო აქტი, ან კანონქვემდებარე აქტიც მივიღოთ. თუ ის მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, არ უნდა შემოვიტანოთ. რაც შეეხება თვით ქარხანას, მის მიმართ მე გარკვეული ინტერესი მაქვს. ჩვენ დავიწყებთ საკუთარი ნავთობის ამოღებას და აუცილებელია, რომ თბილისთან ახლოს იყოს მისი გადამმუშავებელი ქარხანა. ამ ქარხანას აკლია ერთი რამ — არ გააჩნია დანადგარები სუფთა ბენზინის გამოსამუშავებლად, მაგრამ, როგორც რევაზ თევზაძისაგან შევიტყვე, არსებობს გეგმა და რეალური რესურსებიც, რათა შემოიტანონ საამისოდ საჭირო ძვირადღირებული დანადგარები. ამის შემდეგ საქართველოს ექნება საკუთარი წარმოების ბენზინი.

რადიო „ბი-ბი-სი“: რა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას აპირებს საქართველო კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით? არსებობს თუ არა არძინბასთან თქვენი შეხვედრის რეალური პერსპექტივა? სამი დღის წინათ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჩვენთან ინტერვიუში დაადასტურა, რომ დაბეჯითებით მოითხოვს თქვენთან შეხვედრას.

ედუარდ შევარდნაძე: პერსპექტივა დღეს გაცილებით მეტია, ვიდრე ოდესმე. მხედველობაში მაქვს ის სამუშაო, რომელსაც ახორციელებენ გაეროს უშიშროების საბჭო, ევროპის უშიშროების სტრუქტურები, მათ შორის, ევროკავშირი და მრავალი ჩვენი მეგობარი სახელმწიფო, აგრეთვე, ის სახელმწიფოები, რომლებიც გაერთიანებული არიან საქართველოს მეგობართა ჯგუფში. ბრიუსელში, ვენაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს მშვიდობიანი კავკასიის პაქტზე, საქმეში ჩართული არიან ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები. რაც შეეხება არძინბასთან შეხვედრას, ეს უდავოდ სასარგებლო იქნება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ გვექნება კონკრეტული შედეგების გარანტიები. მე წინააღმდეგი ვარ შეხვედრისა შეხვედრისათვის. აუცილებლად გვჭირდება გარკვეული გარანტიები. ახლა ბევრი ფიქრობს ამის შესახებ. ამჟამად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ხელმძღვანელობას შორის ფუნქციათა გამიჯვნასთან დაკავშირებით. გარკვეული დროის შემდეგ ეს ყველაფერი დაგვაახლოებს მორიგების პროცესთან.

სააგენტო „ელიზი-ნიუსი“: საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო, გარკვეულიყო ატყუებენ თუ არა საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს მთავრობის წევრთა უმეტესმა ნაწილმა თქვა, რომ თქვენ გატყუებენ, ან ცდილობენ, მოგატყუონ, მაგრამ ვერ ახერხებენ. იმდენად, რამდენადაც მთავრობა კვლავ იგივე დარჩა, არის თუ არა ეს საკითხი კვლავ აქტუალური და არის თუ არა შესაძლებელი ედუარდ შევარდნაძის მოტყუება?

ედუარდ შევარდნაძე: არ მგონია, რომ მთავრობის წევრებიდან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებიდან, რომლებთანაც მე ურთიერთობა მაქვს, ვინმე შეგნებულად ცდილობდეს ჩემს მოტყუებას. უპირველესად, ვფიქრობ, მათ საკუთარი სინდისი არ მისცემთ ამის უფლებას. ალბათ, არც ის არის მეორეხარისხოვანი, რომ არც ისე იოლია ჩემი მოტყუება, რომ არ ვთქვა შეუძლებელი.

გაზეთი „თუთარჩელა“: თამაზ ნადარეიშვილმა უმრავლესობიდან გამოსვლის შემდეგ ლტოლვილებს მასობრივი აქციებისკენ მოუწოდა. ეს პროცესი რეგიონებსაც მოედო. მეტად საეჭვოა, რომ ეს პროცესი დაემთხვა აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარზე კონტრაბანდასთან, პირველ რიგში, დათო შენგელიასთან შეურიგებელი ბრძოლის გამოცხადებას. დათო შენგელიას ერთ-ერთ მფარველად სწორედ თამაზ ნადარეიშვილია გამოცხადებული. რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით? როგორ შეაფასებთ ნადარეიშვილის ამ განცხადებას?

ედუარდ შევარდნაძე: მე მივაქციე ყურადღება ბატონ თამაზის განცხადებას. ჩემამდე მოსული ინფორმაცია მთლად ზუსტი არ იყო, ამიტომ ამის შესახებ მასაც შევეკითხე და სხვა წყაროებითაც გადავამოწმე. მის გამოსვლაში არ იყო მრავალათასიანი მიტინგებისაკენ პირდაპირი მოწოდება. ეს იყო ჩვეულებრივი კამათი დარბაზში მყოფ ადამიანებთან და მაშინ ბატონ თამაზის პასუხი დაახლოებით ასეთი იყო — თუკი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს მიტინგების გამართვას, ჩვენ შევკრებთ არა 200-500 კაცს, არამედ ათი ათასობით ადამიანს. რაც შეეხება ენგურის ხიდთან კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას, განხორციელდა მართლაც სერიოზული ღონისძიებები, რომლებიც კიდევ უფრო გაძლიერდება. არ გვინდა, შევაწუხოთ გალისა და ზუგდიდის მოსახლეობა, რომელთაც გაჭირვება აიძულებთ, მცირე რაოდენობით თხილი და სხვა სარჩო გადმოიტანონ. მაგრამ, როცა საქმე ეხება სიგარეტისა და სხვა სახის საქონლის დიდი რაოდენობით გადმოტანას, ცხადია, ამას არ დავუშვებთ. არ დავუშვებთ არავის თარეშს, ვინც უნდა იყოს ის. ვერ გეტყვით, რას აკეთებს შენგელია, ვინაიდან მისი მამხილებელი დოკუმენტები ხელთ არა მაქვს, არც ვარ ვალდებული, მქონდეს. ბატონი თამაზი ამბობს — შეიძლება შენგელიას მხარს ვუჭერდე, როცა ის აფხაზეთის დაბრუნებისათვის აქტიურად იბრძვის, მაგრამ, თუ ის კრიმინალია, სამართალდამცველმა ორგანოებმა პასუხი უნდა აგებინონ და ამ შემთხვევაში შენგელიას მხარდაჭერის და მფარველობის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

გაზეთი „მერიდიანი“: ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა აკაკი დევალიშვილის ღია წერილი პრეზიდენტისადმი. რა კომენტარს გაუკეთებდით მას?

ედუარდ შევარდნაძე: მე თავს ვიკავებ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილების კომენტარისაგან, რადგან მაშინ ჩვენი პრესკონფერენცია გადაიქცევა ანგარიშსწორებისა და ურთიერთპრეტენზიების გამოთქმის ასპარეზად. მე ბევრ რამეს ვკითხულობ, მათ შორის, გაეცანი დევალიშვილის წერილსაც, მაგრამ ვიტოვებ უფლებას, როცა საჭიროდ ჩავთვლი, მაშინ გამოვეხმაურო მას.

ტელეკომპანია „ნტვ“: ამ კვირაში გაგრძელდება მოლაპარაკება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ბაზებზე არსებული სამხედრო ტექნიკა უნდა გაიტანონ რუსეთში. თავის დროზე თქვენ აღნიშნავდით, რომ უკანონო გატანამ ათი მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი წარმოშვა. ამჟამად დართავთ ნებას, რომ ეს ტექნიკა საქართველოდან გაიტანონ, თუ რუსეთი ვალდებულია, გადმოსცეს იგი საქართველოს?

ედუარდ შევარდნაძე: ამ ეტაპზე ეს საკითხი მოლაპარაკების საგანია, რის შედეგადაც გადაწყდება, რა უნდა დარჩეს და რა — გაიტანონ. სამწუხაროდ, სტამბოლის შეთანხმებაში არ არის გათვალისწინებული, რომ ეს ტექნიკა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩეს. პირიქით, ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, გარანტია მოგვცა, რომ დაგვეხმარებიან იმ ხარჯების დაფარვაში, რაც დაკავშირებულია ტექნიკის გატანასთან. ჩვენთვის დღეს მთავარია არა ტექნიკა, არამედ სამხედრო ბაზების ყოფნა-არყოფნის საკითხი. მოლაპარაკებაც ამ კუთხით მიმდინარეობს.

„ნტვ“: თქვენ აღნიშნეთ, რომ გუსინსკისთან დაკავშირებით პუტინი სწორად მოიქცა. მაგრამ როდის მოიქცა სწორად — როცა გაათავისუფლა იგი, თუ როცა დააკავა?

ედუარდ შევარდნაძე: ვფიქრობ, მას არც დაუკავებია და არც გაუთავისუფლებია. მან თავისი მოსაზრება გამოთქვა აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით.

გაზეთი „ალია“: გავრცელებული ინფორმაციით, დსთ-ის სამიტზე თქვენ უნდა შემოგთავაზონ რუსეთ-ბელორუსიის კავშირთან შეერთების წინადადება ეკონომიკურ სფეროში. თუ არის ასეთი რეალური შესაძლებლობა და რა დადებითი ტენდენციები გაჩნდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში პუტინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ? ჩვენთვის გადმოგზავნილ მასალაში თქვენი ფრაზებია გამოყენებული, სადაც დასტურდება, თითქოს ამ კავშირში გაწევრიანებაზე თანახმა ბრძანდებით.

ედუარდ შევარდნაძე: მე არავითარი წინადადება არ შემოტანია და არც დამიგმია რუსეთ-ბელორუსეთის კავშირი, იმიტომ რომ ეს ამ ორი ქვეყნის გადასაწყვეტი საკითხია. შეიძლება მათ რომელიმე სხვა ქვეყანაც შეუერთდეს, მაგრამ ეს არ იქნება საქართველო.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დადებით ტენდენციებს, მათი შეფასება ჩემს მოვალეობაში არ შედის. სერიოზული პოლიტიკის თვალსაზრისით, არც ეთიკური იქნება და არც გამართლებული კომენტარი გავუკეთო პუტინის საქმიანობას. შემიძლია ერთი რამ ვთქვა: მუშაობს ძალიან აქტიურად და რუსეთის როლი საგარეო პოლიტიკაში აქტიურობის თვალსაზრისით ძალიან გამოიკვეთა.

სააგენტო „ინტერფაქსი“: თქვენმა ამასწინანდელმა განცხადებამ საქართველოში დიდი ნავთობის არსებობის შესახებ ფართო რეზონანსი გამოიწვია. გაჩნდა სკეპტიკური მოსაზრებებიც როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ხომ არ ფლობთ ახალ ინფორმაციას საქართველოში არსებული ნავთობის მარაგის შესახებ? როგორია თქვენი კომენტარი ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც გარკვეული პრობლემები გაჩნდა.

ედუარდ შევარდნაძე: ტრანსკასპიურ გაზსადენთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება გამიჭირდება. მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვადასხვა ფირმებთან. როგორც ვიცი, პრობლემა დაკავშირებულია ინვესტორებთან. ისე, პრინციპული მნიშვნელობის გადაწყვეტილება თავის დროზე მიღებულია სტამბოლის სამიტზე.

რაც შეეხება საქართველოში დიდი ნავთობის არსებობას, მე ის პიროვნება არ გახლავართ, რომ საფუძვლიანი დასაბუთების არსებობის გარეშე ვაკეთო ხმამაღალი განცხადებები. არსებობს თვალსაჩინო სპეციალისტების მიერ გაკეთებული დასკვნები, მათ შორის, მათიც, ვინც დიდ კაპიტალს აბანდებს ამ რეგიონში. საქართველოში ნამდვილად არსებობს მდიდარი ნავთობსაბადოები. ამჟამად ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა სწრაფად ამუშავდეს იქ რეალურად არსებული სიმძლავრეები.

სააგენტო „იტარ-ტასსი“: ბოლო ხანებში ხშირად ლაპარაკობენ ლავრენტი ბერიას რეაბილიტაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით იქნებ გამოგვეთქვათ თქვენი მოსაზრება, მით უმეტეს, რომ თქვენ თავის დროზე 7 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდით შინაგან საქმეთა სამინისტროს და, ალბათ, სწავლობდით თქვენს წინამორბედთა ისტორიას. რას ფიქრობთ ლავრენტი ბერიას რეაბილიტაციის შესაძლებლობაზე?

ედუარდ შევარდნაძე: მე მართლა ვიყავი შინაგან საქმეთა მინისტრი და, სხვათა შორის, საგარეო საქმეთა მინისტრიც. შევისწავლე ზოგიერთი მნიშვნელოვანი მასალა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ, რაც იმ წლებში ხდებოდა, ოდესმე განმეორდეს. მარტო საქართველო არ მაქვს მხედველობაში. ეს იყო საშინელი უკანონობა, ათასობით დაღუპული, დახვრეტილი ადამიანი, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე. რაც შეეხება ლავრენტი ბერიას, არა მგონია, ჩემი თაობის პერიოდში ეს საკითხი განხილულ იქნეს. რაც შეეხება მომავალ თაობებს, ეს სხვა საკითხია.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ავიაცია

ნახტომი ევროპაზე

წერილი მეორე თბილისი-ამსტერდამის პირველი რეისის შესახებ ქართული „ბოინგით“

(პირველი გვერდიდან)

— რამდენი კაცი მუშაობს თქვენს ავიაკომპანიაში?

მე კი შორიდან მოვუარე, ლელაძემ უცებ მოჭრა:

— დასავლეთის ტექნიკა ნაკლებ სამუშაო ადგილს ითვალისწინებს. დღეს ჩვენს ავიაკომპანიას სჭირდება 170-200 კაცი, მეტი არა. მაგრამ უკვე 8 თვეა, ხელშეკრულებით ნაკისრ სოციალურ ვალდებულებებს ვასრულებთ და 530 კაცი გვყავს დასაქმებული. მათთვის პერსპექტივა შეიძლება პლუსი ნიშნით იყოს, თუ საბაჟო კანონში ცვლილებებს შეიტანენ და საშუალება მოგვეცემა აეამუშაოთ რუსული ტექნიკით ჩარტერული რეისები აღმოსავლეთის ქვეყნებში: მათ აქ რეალურად დავასაქმებთ. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ სპეციალისტები, რომელთა პროფესიონალიზმი დღეს თუ არა, ხვალ გამოგვადგება, ეს კი სახელმწიფოსთვისაც სასარგებლო იქნება, რადგან, გარკვეულად, სოციალური პრობლემის გადაჭრას წაადგება.

* * *

გიმართავთ თანამედროვე თვითმფრინავი? თუ ვლადიმერ პუტინი არა ხართ, უარყოფითად მიპასუხებთ.

მართვით — არა, მაგრამ რამდენიმე წამით მტურვალს ხელი მოვკიდე, ძალიან მაგრად ჩავჭიდე. ოდნავ, სულ ოდნავ ასწია ცხვირი „ბოინგმა“, ისე რომ, მგონი, ჩემს მეტს არავის შეუმჩნევია.

ამით დამთავრდა ჩემი პუტინობა.

ეს დიდი ამბავი მფრინავების კაბინაში მოხდა. ქართული სტუმართმოყვარეობით გაგვიღეს კარი, რომელიც ჩვეულებრივ მაგრად არის ჩაკეტილი.

— როგორ იკვლევთ გზას ამ რძისფერ უსასრულობაში? — ვეკითხები ზურაბ ყარაულაშვილს, ხომალდის მეთაურს. თვითმფრინავი მართლაც რაღაც თეთრ გაუგებრობაში ყურყუმალაობს — არც ღრუბელია, არც ნისლი და არც არაფერი ჩანს გარშემო.

ძალიან გავიმიამიტე თავი.

— აგერ გვაქვს მოწყობილობა ნავიგაციისთვის, — მიპასუხებს ხომალდის მეთაური, — აუცილებელი არ არის, დედამიწას ვხედავდეთ, — იუმორი აიტაცა და, — კომპიუტერი იყურება ჩვენს ნაცვლად.

კონტაქტი შედგა.

— ამ მარშრუტით პირველად მიგყავთ თვითმფრინავი?

— არა. ადრე „ორბით“ დავფრინავდით ამ მარშრუტზე. „აირზენასი“ კი პირველი რეისია.

— როგორ მიმდინარეობს?

— მე მგონი, ძალიან მშვენივრად, თქვენ როგორ გრძნობთ?

— ჩვენც — ასევე. ბატონო ზურაბ, ორი მეთაური ერთი ხომალდისათვის ნამეტანი ხომ არ არის?

— საერთოდ ზედმეტია. მაგრამ ეს რეისი პირველია, ძალიან საპასუხისმგებლო და ამიტომ, როგორც მიღებულია ასეთ შემთხვევაში, ორნი ვართ.

— ბატონო იურა, — იური ზუმბულიძეს ვეკითხები, — თვითმფრინავს ხომ აქვს ავტოპილოტი?

— აქვს.

დემურ ლელაძე.

— რომელი რომლის ავტოპილოტი ხართ დღეს?

ამ შეკითხვის შემდეგ, წესით, კაბინიდან უნდა გამაგდონ, ან... ორივენი გულიანად იცინიან და, მგონი, გადავრჩი. გადავრჩი კი არა, ზურაბ ყარაულაშვილი ამბობს:

ანეკდოტი თემაში

ლამაზი ქალი შედის თვითმფრინავში და ფანჯარასთან ჯდება. შემოდის კაცი და ეუბნება — ჩემი ადგილიაო.. გაპრანჭული ქალი ცხვირაბზეკით უპასუხებს:

— თავიდან მომწყდით, ახალგაზრდავ!

— მაშინ, ქალბატონო, ბარემ მტურვალიც დაიკავეთ და აფრენა დაიწყეთ.

— სხვათა შორის, ძალიან სწორი შეკითხვაა. აი ჩემი ავტოპილოტი, — მაჩვენებს ღილაკს მტურვალზე. დააჭერს. აინთება წითელი წერტილი. — ზუსტად ასეთი აქვს იურასაც.

იური ულასტურებს — ორივეს ჩვენ-ჩვენი გვაქვსო.

— ფრენისას ერთ-ერთი შეიძლება ჩაირთოს, ორივე — მხოლოდ დაშვების დროს.

საათში 780 კილომეტრით მივფრინავთ 10700 მეტრზე — იქითობისას. ქარია, შემხვედრი ქარი. სიჩქარე კლებულობს, თბილისისკენ კი ქარის ფრთებზე გამოვეფრინდებით და ოთხ საათში აეროპორტის თავზე აღმოვჩნდებით.

ორივეს ვეკითხები:

— თქვენ გიფრენიათ რუსულ თვითმფრინავებზეც. ახლა — „ბოინგი“. შეადარეთ, თუ შეიძლება.

— როგორც „ჟიგული“ და „მერსედესი“! ავტომატიკაა თითქმის ყველაფერი.

— ესე იგი, პილოტის როლი კნინდება?

— არა. ადამიანის ფაქტორს ვერანაირი ტექნიკა ვერ შეცვლის.

და მე გამახსენდა სულ ახალი ფაქტი, როდესაც დიდ ბრიტანეთში ავიარეისების მარეგულირებელი მთავარი კომპიუტერი გამოირთო და ტრაგედია თავიდან აიცილეს მხოლოდ იმით, რომ ავიადისპეტჩერებმა თავიანთ თავზე აიღეს მართვის სადავეები.

— რამდენი მფრინავი გყავთ, ვისაც ახალი ტექნიკა ათვისებული აქვს?

— ექვსი. ექვსმა შეისწავლა და ახლა ჩვენ უნდა აეათვისებინოთ პრაქტიკულად მართვა: პრაქტიკას ჩვენთან გაივლიან.

დღეს ასები მართავენ ხომალდს, ხვალ და ზეგ ახალუხლები ამოუდგებიან მხარში, როცა აითვისებენ „ბოინგს“ ავტომატიზმამდე, მაშინ.

მადლობა ღმერთს, რომ ნამდვილ საქმეს პროფესიონალიზმის კანონები მართავს და არა ის გაუგებარი სულწასულობა, პოლიტიკურ სივრცეში რომ შემოიპარა უმწიფართა მადაამშლილობის ტალღაზე.

* * *

10 საათი სრულდება თბილისის დროით, აქა-იქ ქალაქის გარეუბანში სინათლე გამოკრთა. დასაფრენი ზოლის განათებული ხეივანი თვითმფრინავს ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიიღებს და დედამიწის სიმყარეზე დასვამს როგორც ერთი განზომილებიდან მეორეში გადასულ ცოცხალ არსებას.

— ბატონო დემურ, აგერ ჩამოვედით კიდეც, დამთავრდა ეს პირველი რეისი. რას ეტყოდით მომავალ მგზავრებს?

— დღეს ქართული ავიაცია თანამედროვე ტექნიკით თანამედროვე საავიაციო სივრცეში, სადაც საკმაოდ მძაფრი კონკურენციაა, პირველ ნაბიჯებს დგამს. თუ გსურს, რომ ქართული ავიაცია ფეხზე დადგეს, მაქსიმალურად ეცადეთ, პატივცემულო მგზავრებო, ისარგებლოთ „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ მომსახურებით. ეს, საბოლოო ჯამში, ყველა თქვენგანს სიკეთედ დაუბრუნდება! გთავაზობთ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში თანამედროვე კომფორტით, ხელმისაწვდომ ფასებში მგზავრობას.

იფრინეთ ჩვენი თვითმფრინავებით!

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
ამსტერდამი — თბილისი.

განათლება

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო დიპლომი 23 ახალგაზრდას გადაეცა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქართველი და თურქი ხალხების მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის კიდევ ერთი მაგალითია. ეს საგანმანათლებლო კერა 1995 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს, ღუმეთის გამგეობისა და თურქული ფირმების „ჩაღლარისა“ და „მარსის“ ერთობლივი ძალისხმევით დაფუძნდა. უნივერსიტეტის რექტორატის აზრით კი ამ იდეის ხორცშესხმის ხელშემწყობი და მყარი გარანტი საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების — ედუარდ შევარდნაძისა და სულეიმან დემირელის მეგობრული ურთიერთობა იყო.

17 ივნისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და სულეიმან დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის კურსდამთავრებულების გამოსაშვები საღამო გაიმართა. აღსანიშნავია, რომ წლეულს საერთაშორისო უნივერსიტეტი მეორე ნაკადმა დაამთავრა. საგანგებოდ ამ დღესთან დაკავშირებით თურქეთიდან 100-კაციანი ჯგუფი ეწვია ჩვენს ქვეყანას.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარემ გურამ იმნაძემ განაცხადა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართველ კოლეგებთან ერთად ახალგაზრდებს ლექციებს უცხოეთიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური პედაგოგ-მასწავლებლებიც უკითხავენ. აქ სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, ხოლო სასწავლო პროგრამები შედგენილია მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტების პროგრამების შესაბამისად.

უნივერსიტეტის პრორექტორის ირაკლი მაჩაბლის აზრით, ეს საგანმანათლებლო კერა საქართველოსა და თურქეთს, ორი ქვეყნის ხალხებს შორის ურთიერთობის კიდევ ერთი დამაკავშირებელი ხიდია. აქ ხომ ერთმანეთის გვერდით მრეწველობისა და საბანკო მართვის, ბიზნესისა და ფინანსების სფეროებში ცოდნას ეუფლებიან ქართველი და თურქი ახალგაზრდები. როგორც გამოსაშვებ საღამოზე ითქვა, წლეულს საერთაშორისო უნივერსიტეტის აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ აღნიშნული ფაკულტეტების გარდა არჩევანი კიდევ ორ ახალ — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობისა და კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტებზეც გააკეთონ.

სადღეისოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო დიპლომი 38 კურსდამთავრებულს აქვს, გასულ წელს უნივერსიტეტი 15-მა ახალგაზრდამ დაამთავრა, წელს კი 23-მა. ამ ახალგაზრდებისათვის სამუშაო ადგილების გამოძებნა ისეთი დიდი პრობლემა არ არის, როგორც სხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის — მათ ხომ გვერდით ჩვენი დიდი მეზობელი ქვეყანა — თურქეთი უდგას.

რაც შეეხება უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებს, მისი ხელმძღვანელობის განცხადებით, იგი მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაფართოებასა და გაცვლითი სასწავლო პროგრამების პრაქტიკის დანერგვას.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 164. სამშაბათი, 20 ივნისი, 2000 წელი.

სამართალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა **ავთანდილ დემეტრაშვილის** (სხდომის თავმჯდომარე), **ნიკოლოზ მამკინის, ავთანდილ აბაშიძის, ოთარ ბენიძის, ბესარიონ ზოიძის, იაკობ ფუტკარაძის** (მომხსენებელი მოსამართლე), **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის, ლამარა ჩორგოლაშვილისა და ზაურ ჯინჯოლავას** შემადგენლობით (სხდომის მდივანი — **ლილი მელაშვილი**), —

ღია სასამართლო სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსარჩელეთა წარმომადგენელი 122-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელზე — საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე და ამავე მოსარჩელეთა ადვოკატი ლია მუხაშავრია, მოსარჩელეთა წარმომადგენლები 128-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელზე — საქართველოს პარლამენტის წევრი ბესიკ ლაგვილავა, დემურ გადელია და ამავე მოსარჩელეთა ადვოკატი ლადო სანიკიძე, მოპასუხე მხარის წარმომადგენლები — ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ელდარ გოგიაშვილი, ამავე განყოფილების იურისტები ლილი ბეგიაშვილი და ელზა გულიაშვილი, მოწმეები — (1) საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნების № 55 ხონის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები — გიორგი ხურცილავა (თავმჯდომარე), ნატო ღაღანიძე (მდივანი), ნანა კაკაბაძე, ქეთევან ხონელიძე და სახალხო პარტიის რწმუნებული აღნიშნულ საოლქო კომისიაში დავით ჭავჭანიძე, (2) საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნების № 65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები — კოტე კოტია (თავმჯდომარე), ეთერ კვამილავა (მდივანი), ქრიზეიდა ადამია, სოსო ბაჩილავა, ნათელა ბლუამბილი, მერაბ გაბისონია, გოგომა გეგელია, გივი ჯანაშია, აკაკი გაბისონია, ომია გაწერილია, თემურ კაკულია, პეტრე კობახიძე და ბუთხუზ წულაია,

2000 წლის 27 აპრილიდან 18 მაისამდე პერიოდში განიხილა საქმე — „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (1) ვახტანგ ხმალაძის, ჰამლეტ ჭიპაშვილის, თენგიზ ჯგუშიასა და სხვების შემადგენლობით (სულ 52 დეპუტატი) და (2) დემურ გადელიას, დავით ძლენტის, ივერ ჭელიძისა და სხვების შემადგენლობით (სულ 111 დეპუტატი) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“. საქმის განხილვის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლომ 13 ივნისს მიიღო და თავის სხდომაზე საჯაროდ გამოაცხადა შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამ საქმეში საქართველოს პარლამენტის წევრთა ორი ჯგუფის 122-ე და 128-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები, რომლებიც შესაბამისად შემოტანილია 1999 წლის 3 დეკემბერსა და 2000 წლის 14 მარტს, მათი ერთობლივად განხილვის მიზნით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2000 წლის 17 აპრილის განმწესრიგებელი სხდომის № 1/120, 122, 125, 128/2 განჩინებით გაერთიანდა.

კონსტიტუციური სარჩელების შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის „დ“ პუნქტი, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

დავის საგანია:

I. საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის (ვახტანგ ხმალაძის, ჰამლეტ ჭიპაშვილის, თენგიზ ჯგუშიასა და სხვების, დაზუსტებული მონაცემებით — სულ 52 დეპუტატის) 122-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით — კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (ა) № 55 ხონის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება და შემაჯამებელი ოქმი, რომლის თანახმადაც „საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულია მებუკე ჯემალი“ (დავის საგნად დასახელდა არსებითად განხილვის ბოლო სტადიაზე — მოსარჩელეთა წარმომადგენლის დასკვნით სიტყვაში), (ბ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 19 ნოემბრის № 192/1999 დადგენილება „№ 55 ხონის საარჩევნო ოლქის № 15 და № 22 საარჩევნო უბნებში მეორე ტურის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ“, (გ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 18 ნოემბრის „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 7 და 14 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების მეორე ტურისა და ხელახალი ხმის მიცემის შედეგების შემაჯამებელი ოქმის“ V პუნქტის ის ნაწილი, რომელიც ეხება № 55 ხონის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრად ჯემალ მებუკის ცნობას და VII პუნქტის ის ნაწილი, რომელიც ეხება ამავე საარჩევნო ოლქის № 15 და № 22 საარჩევნო უბნებში არჩევნების მეორე ტურის შედეგების ბათილად ცნობას;

II. საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის (დემურ გადელიას, თემურ ძლენტის, ივერ ჭელიძისა და სხვების, დაზუსტებული მონაცემებით — სულ 111 დეპუტატის) 128-ე ნომრის რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით — კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ა) 1999 წლის 5 ნოემბრის № 181/1999 დადგენილება „№ 65 მარტვილის საარჩევნო ოლქის №№ 1-34 საარჩევნო უბნებში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ“ იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილია აღნიშნულ საარჩევნო უბნებში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების გაბათილება, (ბ) 1999 წლის 18 ნოემბრის „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 7 და 14 ნოემბერს გამართული არჩევნების მეორე ტურისა და ხელახალი ხმის მიცემის შედეგების შემაჯამებელი ოქმის“ IX პუნქტი, რომლის მიხედვითაც „მაჟორიტარული სისტემით ხელახალი არჩევნები უნდა გაიმართოს № 65 მარტვილის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში“.

საქართველოს პარლამენტის 52 დეპუტატის (ვ. ხმალაძის, ჰ. ჭიპაშვილის, თ. ჯგუშიასა და სხვების) 122-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელში, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის ზემოხსენებული განჩინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განხილვის სფეროდან გამოირიცხა სადავო საკითხი — „საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 20 ნოემბრის № 3-Iს დადგენილების კონსტიტუციურობა იმ ნაწილში, რომლითაც ცნობილი იქნა საქართველოს პარლამენტის წევრის ჯემალ მებუკის უფლებამოსილება. ეს განაპირობა იმან, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს პარლამენტის 111 დეპუტატის (დ. გადელიას, დ. ძლენტის, ი. ჭელიძისა და სხვების) 128-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელში თავიდან სადავოდ დასახელებული იყო, აგრეთვე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 7 ნოემბრის „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის“ IX პუნქტის იმ ნაწილის კონსტიტუციურობა, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი მაჟორიტარული სისტემით არჩევნების შედეგები № 65 მარტვილის საარჩევნო ოლქის №№ 1-34 საარჩევნო უბნებში. ეს საკითხი მოსარჩელე მხარემ არსებითად განხილვის დროს გამორიცხა სადავოთა რიცხვიდან იმ მოტივით, რომ შემაჯამებელი ოქმის ამ ნაწილში „მხოლოდ ინფორმაციაა ასახული“, ხოლო ძირითად სადავო აქტს წარმოადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 5 ნოემბრის № 181/1999 დადგენილება (მარტვილის საარჩევნო ოლქის ოცდათოთხმეტივე საარჩევნო უბანში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა საქმე წარმოებაში მიიღო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, — იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავა ორივე კონსტიტუციურ სარჩელში არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს უკავშირდება.

საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის (ვახტანგ ხმალაძის, ჰამლეტ ჭიპაშვილის, თენგიზ ჯგუშიასა და სხვების — სულ 52 დეპუტატის) 122-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ № 55 ხონის საოლქო საარჩევნო კომისიამ და საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნების მე-2 ტურის შედეგები № 55 ხონის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის № 15 ხიდისა და № 22 ძძილეთის საარჩევნო უბნებში (შესაბამისად — საუბნო კომისიის ბეჭდის დაკარგვისა და ე. წ. „ავადმყოფთა სიის“ უქონლობის გამო) ისე განიხილეს და ცნეს ბათილად, რომ არჩევნების დღეს, 14 ნოემბერს, 7-დან 20 საათამდე არც ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადება საარჩევნო უბანში არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე არ შესულა და არც დარღვევის შესახებ ოქმი არ შედგენილა. ამის გარეშე კი, მოსარჩელეთა აზრით, არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა უსაფუძვლოა, ეწინააღმდეგება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებს (ეს კანონი გამოიყენება პარლამენტის 1999 წლის არჩევნების დროს მოქმედი რედაქციით).

მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ № 55 ხონის საოლქო საარჩევნო კომისიისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სადავო გადაწყვეტილებებით დაირღვა არჩევნების თავისუფლების, საყოველთაობისა და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპები, სახელდობრ, ზემოაღნიშნული ორი უბნის ამომრჩევლებს, ფაქტობრივად, ჩამოერთვათ უფლება — თავისი ნების გამოვლენით გავლენა მოეხდინათ არჩევნების შედეგებზე. ამიტომ, მათი აზრით, უნდა აღდგეს ამ ორ საარჩევნო უბანში გამართული არჩევნების შედეგები. ამ შედეგების გათვალისწინებით კი № 55 ხონის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულად აკაკი ბობოხიძე უნდა იქნეს ცნობილი. ეს, მოსარჩელეთა მტკიცებით, დასტურდება № 55 ხონის საოლქო საარჩევნო კომისიის 1999 წლის 16 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმით, რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიამ გადასცა ა. ბობოხიძის ნდობით აღჭურვილ პირს. ეს ოქმი არ არის რეგისტრირებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. სამაგიეროდ იქ რეგისტრირებულია იმავე წლის 15 ნოემბრით დათარიღებული ოქმი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულია ჯემალ მებუკე. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, 15 ნოემბერს საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა არ გამართულა და ოქმზე ხელმოწერათა ნაწილი აშკარად ყალბია; სწორედ ამ ყალბი ოქმის საფუძველზე შეაჯამა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები.

მოსარჩელეთა სიტყვით, „იმ შემთხვევაშიც კი საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ზემოაღნიშნულ ორ უბანში არჩევნების შედეგები კანონის შესაბამისად რომ ეცნო ბათილად, მისი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მაინც უკანონო და გასაუქმებელია, ვინაიდან „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებული იყო ამ ორ უბანში დაენიშნა ხელახალი ხმის მიცემა, რაც მას არ გაუკეთებია“.

საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დემურ გადელია, დავით ძლენტი, ივერ ჭელიძე და სხვები — სულ 111 დეპუტატი) 128-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითებს, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სადავო აქტების მიღებით დაარღვია პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატის იოსებ გადელიას კონსტიტუციური უფლება. სადავო აქტები მიღებულია იმის საფუძველზე, რომ მარტვილის ცენტრში მოწყობილი არეულობის შედეგად დარბეული იქნა საოლქო საარჩევნო კომისია და განადგურდა საარჩევნო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც ველარ მოხერხდა არჩევნების შედეგების სათანადოდ გაფორმება ოქმში და საოლქო მაჟორიტარული ოქმის წარდგენა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. მაგრამ, მოსარჩელეთა სიტყვით, დარბევასა და განადგურებას გადაურჩა საარჩევნო უბნებში ხმის დათვლის ოქმები, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დაცვით გადაეცა ი. გადელიას ნდობით აღჭურვილ პირებს და სრული სახით არის წარმოდგენილი. ამ ოქმების საფუძველზე კი ნათლად იკვეთება, რომ არჩევნები № 65 მარტვილის საარჩევნო ოლქში ჩატარდა და ი. გადელიას, როგორც მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს, საარჩევნო ოლქის № 34 საარჩევნო უბანში ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ერთ მესამედზე მეტმა. ამასთან, არჩევნების დღეს 7-დან 20 საათამდე საარჩევნო უბნებში დარღვევის თაობაზე განცხადება და არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ ოქმი არ შედგენილა.

ამდენად, მოსარჩელეთა სიტყვით, ი. გადელიამ მოიპოვა უფლება, რომ იგი საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულად ეცნოთ. მიუხედავად ამისა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 7 ნოემბრის „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმით“ არ იქნა დადასტურებული და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით, ბათილად იქნა ცნობილი არჩევნების შედეგები № 65 მარტვილის საარჩევნო ოლქის №№ 1-34 საარჩევნო უბნებში. ამას წინ უსწრებდა 5 ნოემბრის № 181/1999 დადგენილება მარტვილის საარჩევნო უბნებში ჩატარებული არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ. დაინიშნა ხელახალი ხმის მიცემა, მაგრამ იგი არ ჩატარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 18 ნოემბერს „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 7 და 14 ნოემბერს გამართული არჩევნების მეორე ტურისა და ხელახალი ხმის მიცემის შედეგების შემაჯამებელი ოქმის“ IX პუნქტით კი გადაწყდა, რომ № 65 მარტვილის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში უნდა გამართოს ხელახალი არჩევნები. ამის გამო საქართველოს პარლამენტის შესაბამისი (1999 წლის 20 ნოემბრის № 3-Iს) დადგენილებით არ იქნა ცნობილი ი. გადელიას, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. ამით მის მიმართ არ შესრულდა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მოსარჩელეთა აზრით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ გაითვალისწინა კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნები და სადავო აქტები მიიღო კონსტიტუციისა და საერთაშორისო ნორმების საწინააღმდეგოდ. სახელდობრ, მათი მოსაზრებით, დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი, აგრეთვე, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 25-ე მუხლი, რომელთა მიხედვითაც ხალხის ნება უნდა გამოიხატებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე მოწყობილ ნამდვილ, გაუყალბებელ არჩევნებში; ამასთან, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ადამიანური განზომილების საკითხებზე გამართული კონფერენციის კოპენჰაგენის თათბირის 1990 წლის 29 ივნისის დოკუმენტის 7.9 მუხლის მიხედვით, კანდიდატებმა, რომლებმაც მიიღეს კანონით დაწესებული ხმების რაოდენობა, სათანადო წესით უნდა დაიკავონ თანამდებობა.

ორივე (122-ე და 128-ე ნომრებით რეგისტრირებული) კონსტიტუციური სარჩელების მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა და ადვოკატებმა საქმის არსებითად განხილვის პროცესში დაიცვეს და განავითარეს შესაბამისი მოსარჩელე მხარის მოსაზრებანი, მოითხოვეს სარჩელების დაკმაყოფილება და სადავო აქტების არაკონსტიტუციურად ცნობა.

მოპასუხის — საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ მოსარჩელე მხარეთა მოთხოვნებს სადავო აქტების ბათილად ცნობის შესახებ და ორივე კონსტიტუციურ სარჩელზე წარმოადგინეს შესაბამისი საპასუხო მოსაზრებანი.

1. საქართველოს პარლამენტის 52 დეპუტატის (ვ. ხმალაძის, ჰ. ჭიპაშვილის, თ. ჯგუშიასა და სხვების) 122-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით მოპასუხე აღნიშნავს, რომ „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული განცხადებისა და ოქმის არარსებობა ვერ გახდება № 55 ხონის საარჩევნო ოლქის № 15 ხიდისა და № 22 ძძილეთის საარჩევნო უბნებში არჩევნების შედეგების გაუბათილებლობის გარანტი. მისი აზრით, მთავარია არჩევნების ჩატარება კანონის მოთხოვნათა დაცვით და არა დარღვევების შესახებ განცხადებების და ოქმების არსებობა. ხსენებული ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „კ“ და „ქ“ ქვეპუნქტებისა და 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის ძალით, არჩევნების შედეგები ასეთი განცხადებისა და ოქმის გარეშეც შეიძლება გაუქმდეს უხეში დარღვევის შემთხვევაში, როგორიცაა, კერძოდ, საუბნო კომისიის ბეჭდის დაკარგვა და ე. წ. „ავადმყოფთა სიის“ არარსებობა.

მოპასუხე მხარე არ ეთანხმება მოსარჩელეთა მოსაზრებას, რომ არჩევნების მე-2 ტურის შედეგების გაბათილების შემდეგ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შესაბამის საარჩევნო უბნებში უნდა დაენიშნა ხელახალი ხმის მიცემა. ეს მას შეუძლებლად მიაჩნია, ვინაიდან „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და 55-ე მუხლის მიხედვით, ხელახალი ხმის მიცემა უნდა ჩატარებულიყო საერთო არჩევნებიდან, ე. ი. 31 ოქტომბრიდან 2 კვირის ვადაში. ამდენად, ბოლო ვადა ხელახალი ხმის მიცემის ჩატარებისათვის იყო 14 ნოემბერი. ამ დროს კი არჩევნების მე-2 ტური გაიმართა. ამის შემდეგ ხელახალი ხმის მიცემის დანიშნა არამართლზომიერი იქნებოდა.

მოპასუხის განცხადებით, „არჩევნების საყოველთაობის პრინციპი არანაირ კავშირში არ არის არჩევნების შედეგებთან“, საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქეს ჰქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, ამომრჩევლები არ ყოფილან კატეგორიებად დაყოფილი და ყველა ამომრჩეველი თანასწორად მონაწილეობდა არჩევნებში. ამიტომ მოპასუხემ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაარღვია არჩევნების თავისუფლების, საყოველთაობისა და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი.

16 ნოემბრით დათარიღებული საოლქო მაჟორიტარული ოქმის არსებობა, მოპასუხის მოსაზრებით, არ ნიშნავს იმას, რომ 15 ნოემბრის ასეთივე დოკუმენტი ყალბია. მისი აზრით, ლეგიტიმური სწორედ 15 ნოემბრით დათარიღებული ოქმია, ვინაიდან იგი სათანადო რეკვიზიტების მქონეა და დანიშნულებისამებრ წარდგენილია დადგენილი წესის დაცვით. ამიტომ სწორად მოიქცა ცენტრალური საარჩევნო კომისია, როცა არჩევნების შედეგები ამ ოქმზე დაყრდნობით შეაჯამა. მოპასუხე მხარის წარმომადგენლის განცხადებით, „იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დავუშვებთ და ექსპერტიზის შედეგად აღმოჩნდება, რომ 15 ნოემბრის ოქმზე ხელმოწერები არ არის ნამდვილი — ეს გარემოება ვერ გახდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი“.

2. საქართველოს პარლამენტის 111 დეპუტატის (დ. გადელიას, დ. ძლენტის, ი. ჭელიძისა და სხვების) 128-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული სადავო აქტების მიღება, მოპასუხის აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ № 65 მარტვილის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები დაიწყო და კენჭისყრა ჩატარდა (ლეხაინდრაოსა და ვედიდკარის საარჩევნო უბნების გარდა), მაგრამ არ დადგა შედეგი. 1999 წლის 2-3 ნოემბერს, როდესაც მიმდინარეობდა საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი სხდომა, მოხდა საოლქო კომისიის დარბევა, განადგურდა საუბნო საარჩევნო კომისიებიდან წარმოდგენილი, ოლქში არსებული ყველა საარჩევნო დოკუმენტაცია და საოლქო კომისიამ ვერ მოახერხა ვერც არჩევნების შედეგების შეჯამება და, მით უმეტეს, ვერც გამარჯვებულის გამოვლენა.

მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა ე. კვამილავამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე 1999 წლის 5 ნოემბერს განაცხადა, რომ არ არსებობს არავითარი დოკუმენტაცია, საოლქო კომისიას არ შეუძლია არჩევნების შედეგებს შეჯამება და მხარი დაუჭირა ყველა უბანზე არჩევნების შედეგების გაბათილებას. მან აღნიშნა საუბნო მაჟორიტარული ოქმების დამატებით დროში წარმოდგენის სრული შეუძლებლობა. ამის გათვალისწინებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ერთადერთი მართლზომიერი გადაწყვეტილება — ბათილად ცნო არჩევნების შედეგები მარტვილის საარჩევნო ოლქის ოცდათოთხმეტივე საარჩევნო უბანში და მიზეზად დაასახელა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესაბამისი ოქმების წარმოუდგენლობა. ეს გადაწყვეტილება ემყარება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნებს. ამ კანონის 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლები ადგენენ არჩევნების შედეგების შეჯამების იმ მექანიზმს, რომლის ერთ-ერთი რგოლის დონეზე დარღვევაც აუცილებლად გავლენას იქონიებს არჩევნების შედეგების შეჯამებაზე. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შეუჯამებლობა, საუბნო მაჟორიტარული ოქმების წარმოუდგენლობა არის კანონის უხეში დარღვევა, რადგან ეს გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე.

მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია ვერ დაეყრდნობოდა მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის გ. გეგელიას მიერ წარმოდგენილ საუბნო მაჟორიტარულ ოქმებს იმის გამო, რომ ისინი არ წარმოადგინა საამისოდ უფლებამოსილმა პირმა. ეს ოქმები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოფიციალურად არ მიუღია და არსად არ არის ნათქვამი, რომ მათი დანიშნულება არჩევნების შედეგების შეჯამებაა. თანაც, წარმოდგენილი ოქმების უმრავლესობა შევსებულია კანონის მოთხოვნათა პირდაპირი დარღვევით და ისინი ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ვერ გახდებოდა ის სახელმძღვანელო ოფიციალური მასალა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა არჩევნების შედეგების მართებულად შეჯამება. გარდა ამისა, თვით მოსარჩელე მხარესაც არ წარუდგენია ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ის ოქმები, რომლებიც მან საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოუდგინა. ამდენად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ ჰქონდა შესაძლებლობა ემსჯელა არჩევნების შედეგებზე.

მოპასუხის წარმომადგენელი არ ეთანხმება მოსარჩელე მხარის მტკიცებას, რომ დეპუტატობის კანდიდატმა ი. გადელიამ მიიღო კენჭისყრის მონაწილეთა ერთ მესამედზე მეტი ხმა. ასეთი შედეგი ოფიციალურად არ დათვლილა და არ გამოქვეყნებულა. ამასთან, უბრალო მათემატიკური შეჯამების შედეგად თვალნათლივ ირკვევა, რომ ვერც ერთმა კანდიდატმა ბარიერი ვერ გადალახა. ამიტომ, მოპასუხის წარმომადგენლის აზრით, გაუმართლებელია იმის მტკიცება, რომ ი. გადელია მარტვილის მაჟორიტარ დეპუტატად არის არჩეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე თვლის, რომ მისი გადაწყვეტილება კანონიერია და №65 მარტვილის საარჩევნო ოლქში უნდა გაიმართოს ხელახალი არჩევნები.

ამგვარად, მოპასუხე მხარე — საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა ორი ჯგუფის 122-ე და 128-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა საქმის არსებითად განხილვის შედეგად, — კონსტიტუციური სარჩელების მონაცემების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა გამოსვლებისა თუ განმარტებების, მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებების ანალიზების საფუძველზე დაადგინა ორივე კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებანი.

I. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის (ვახტანგ ხმალაძის, ჰამლეტ ჭიპაშვილის, თენგიზ ჯგუშიასა და სხვების — სულ 52 დეპუტატის), 122-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

1. სასამართლო განხილვის პროცესში როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა და მოწმეებმაც დაადასტურეს ის ფაქტი, რომ №55 ხონის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის №15 საარჩევნო უბანში კენჭისყრის დამთავრებამდე — 18 საათსა და 15 თუ 30 წუთზე (ე. ი. ერთი საათითა და 30 თუ 45 წუთით ადრე) დაიკარგა საუბნო კომისიის ბეჭედი. ბეჭდის დაკარგვის შემდეგ აღნიშნულ საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი აღარ გაგრძელებულა.

ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის იმ დებულებებზე, რომლებითაც განსაზღვრულია საუბნო კომისიის ბეჭდის დანიშნულება კენჭისყრის პროცესსა და მომდევნო საარჩევნო პროცედურებში. სახელდობრ, 51-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კენჭისყრის ჩატარებისას „საარჩევნო ბიულეტენი მოწმდება საარჩევნო კომისიის ორი წევრის ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით“. 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, საარჩევნო უბანში ხმების დათვლისას, „კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტებად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს... ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი“. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, ასევე დაითვლება გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენებიც, რომლებიც პაკეტად შეიკვრება და აღნიშნული წესითვე გაფორმდება (ე. ი. პაკეტს უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი). „გ“ ქვეპუნქტით კი „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობას“ და ხსნის მათ (საარჩევნო ყუთები იპლომბება ან ილუქება არჩევნების დღეს კენჭისყრის დაწყებამდე). „დ“ ქვეპუნქტის ძალით, „ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები ფერების მიხედვით ცალ-ცალკე კონვერტებში იდება და იმგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება“. ასეთივე წესით (ბეჭედდასმულ კონვერტებში) ინახება, აგრეთვე, ბიულეტენები მას შემდეგ, რაც დაითვლება ყოველი კანდიდატისათვის, პარტიისა თუ საარჩევნო ბლოკისათვის მიცემული ხმების რაოდენობა (იხ. „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები). ბოლოს, 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისია განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს და აფორმებს სათანადო ოქმს. ასეთი „ოქმების ცალთა რაოდენობა სამით უნდა აღემატებოდეს კანდიდატების, პარტიების, საარჩევნო ბლოკების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი“.

ორგანული კანონის ეს დებულებები საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის თაობაზე კატეგორიული ხასიათისაა. საუბნო კომისიის ბეჭდის გამოუყენებას კენჭისყრის ჩატარებისას და საარჩევნო უბანში ხმების დათვლის სხვადასხვა პროცედურების დროს ალტერნატივა არ გააჩნია.

ამგვარად, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საუბნო კომისიის ბეჭედი საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი და თანაც შეუცვლელი ატრიბუტია. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის იმ მოსაზრებას, რომ „ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში... კომისიას მუშაობა კი არ უნდა შეეწყვიტა, არამედ დალოდებოდა 20 საათამდე ამომრჩევლის შესაძლო მოსვლას და, ბეჭდის ნაცვლად, ეთქვათ, დამატებითი ხელმოწერით ან ხელმოწერებით მოეხსნა ბეჭდის არქონის საკითხი“.

2. საქმის მასალებით მტკიცდება, რომ №55 ხონის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის №22 ძძილეთის საარჩევნო უბანში არ არსებობდა ამომრჩეველთა სიის დანართი გადასატანი საარჩევნო ყუთისათვის. კენჭისყრა გადასატანი ყუთის გამოყენებით საარჩევნო უბანში ასეთი სიის გარეშე მოეწყო, რაც საარჩევნო კანონმდებლობის აშკარა სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს.

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 50-ე მუხლი („კენჭისყრის მოწყობა“) ადგენს: „იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლიათ კენჭისყრის შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით, რომელიც არჩევნების წინა დღის 18 საათამდე უნდა ეცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიას და გატარებული უნდა იყოს განცხადებების ჟურნალში, კომისიის წევრებს ავალებს კენჭისყრის მოწყობას ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა“ (პუნქტი 8). ამომრჩეველთა აღნიშნული სიის შედგენის წესის თაობაზე ასეთივე კატეგორიულ მოთხოვნებს შეიცავს, აგრეთვე, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტი — საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 20 ოქტომბრის №154/1999 დადგენილებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის შესახებ“ (იხ. პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და მე-9 მუხლის პირველი პუნქტი). ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში ხაზგასმითაა დაკონკრეტებული: „კომისიის წევრებმა თან უნდა წაიღონ ... იმ ამომრჩეველთა სია, რომელთაც უნდა მოემსახურონ გადასატანი ყუთით“; „ამომრჩეველმა ბიულეტენის მიღება ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით უნდა დაადასტუროს“.

ფაქტია, რომ ორგანული კანონისა და ინსტრუქციის ამ კომპლექსური კატეგორიული მოთხოვნებიდან არც ერთი არ შესრულებულა №22 ძძილეთის საარჩევნო უბანში. აქ ისე მოეწყო კენჭისყრა, რომ ზემოაღნიშნული კატეგორიის ამომრჩეველთა თხოვნა არჩევნების წინა დღის 18 საათამდე არ ეცნობა საუბნო საარჩევნო კომისიას და, ცხადია, იგი არც განცხადებების ჟურნალში არ გატარებულა; საუბნო საარჩევნო კომისიამ არ დაავალა კომისიის წევრებს კენჭისყრის მოწყობა ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე ამომრჩეველთა სიაში სათანადო აღნიშვნით (ამომრჩეველთა სიის დანართი არ შეუდგენიათ); რაღა თქმა უნდა, კომისიის წევრებს გადასატან ყუთთან ერთად თან არ წაუღიათ შესაბამის ამომრჩეველთა სია და, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში არც ამომრჩევლებს არ დაუდასტურებიათ ბიულეტენების მიღება თავიანთი ხელმოწერით ამომრჩეველთა სიაში.

საკონსტიტუციო სასამართლო, მოსარჩელეთა წარმომადგენლის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, მიიჩნევს, რომ ყოვლად გაუმართლებელია კენჭისყრის მოწყობა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ინსტრუქციის ზემოხსენებული კატეგორიული მოთხოვნების სრული უგულებელყოფით.

3. „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის ძალით, „ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეშად დარღვევა. ეს საკითხი კომისიამ უნდა განიხილოს არჩევნების დღიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა“.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს საკანონმდებლო განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს პარლამენტის არჩევნების შესახებ ორგანული კანონის „უხეშად დარღვევა“. იგულისხმება, რომ ამას თვით ცენტრალური საარჩევნო კომისია განსაზღვრავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საუბნო კომისიის ბეჭდის დაკარგვა და კენჭისყრის მოწყობა გადასატანი საარჩევნო ყუთით ამომრჩეველთა სიის დანართის გარეშე, ხსენებული ორგანული კანონის ზემომოყვანილი დებულებების გათვალისწინებით, ნამდვილად მიეკუთვნება უხეშ დარღვევათა კატეგორიას. აქედან გამომდინარე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება ჰქონდა ბათილად ეცნო არჩევნების შედეგები №15 ხიდისა და №22 ძძილეთის საარჩევნო უბნებში და, მამასადამე, 18 და 19 ნოემბერს მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება (არჩევნები 14 ნოემბერს გაიმართა).

4. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მხარის იმ მოსაზრებას, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება არ ჰქონდა განეხილა და ბათილად ეცნო არჩევნების შედეგები №15 ხიდისა და №22 ძძილეთის საარჩევნო უბნებში. ამ მოსაზრების საფუძვლად მითითებულია „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები: „8. საარჩევნო უბანში არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიაში შედგენილი უნდა იქნეს არჩევნების დღეს 7-დან 20 საათამდე. განცხადებას თან უნდა დაერთოს დარღვევის შესახებ ოქმი, რომელშიც აღინიშნება: ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევი პირის შესახებ; დარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; მოწმეთა გვარები და მისამართები; დამრღვევის ახსნა-განმარტება და სხვა დამატებითი ცნობები; „9. საუბნო საარჩევნო კომისია ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნულ განცხადებას ოქმთან ერთად არჩევნების მომდევნო დღეს გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც განცხადებას განიხილავს 2 დღის ვადაში და თავის მოსაზრებას არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ დაუყონებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას“; „10. ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევით შედგენილი და წარდგენილი განცხადება არ განიხილება“.

მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ გადაწყვეტილება №15 ხიდისა და №22 ძძილეთის საარჩევნო უბნებში არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევით არის მიღებული: საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩევნების დღეს — 14 ნოემბერს 7-დან 20 საათამდე, სათანადო განცხადება და ოქმი არ შედგენილა; საჩივარი №22 საარჩევნო უბანში არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიაში 15 ნოემბრის 17 საათსა და 55 წუთზე შევიდა, ხოლო №15 საარჩევნო უბანში არანაირი საჩივარი არ ყოფილა.

ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტების საარჩევნო უბანში არჩევნების ბათილად ცნობის წინაპირობები კენჭისყრის პერიოდით შემოიფარგლება. ცენტრალური საარჩევნო კომისია კი არ არის და, ბუნებრივია, არც უნდა იყოს შეზღუდული ამ პუნქტებში დადგენილი ფარგლებით. ეს გამომდინარეობს „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან, რომლის თანახმადაც „ცენტრალური საარჩევნო კომისია... თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონსტიტუციისა და ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას“ (ანალოგიურად, 24-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, „საოლქო საარჩევნო კომისია... თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე“).

ამგვარად, ცენტრალური საარჩევნო კომისია უფლებამოსილია და ვალდებულიცაა საერთოდ (რაღა თქმა უნდა, ვისიმე განცხადების გარეშეც და კენჭისყრის შემდგომ პერიოდშიც)

იხ. მე-5 გვერდი.

სამართალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

(მეოთხე გვერდიდან)

აკონტროლოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულება, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში მიიღოს ადეკვატური ზომები.

ასე რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით, არჩევნების შედეგები №55 ხონის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის №15 ხიდისა და №22 ძეძილეთის საარჩევნო უბნებში მართლზომიერად არის გაბათილებული. თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმში, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, მითითებული არ არის ამ უბნების დასახელება (მხოლოდ ნომრებია აღნიშნული), მათში ამომრჩეველთა რაოდენობა და ბათილად ცნობის მიზეზები.

5. „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-10 პუნქტის ძალით, „საარჩევნო უბნებში არჩევნების ბათილად ცნობის შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ უბნებში ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას ოლქში წარდგენილი კანდიდატებისათვის, თუ ამ უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა მეტია საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატისა და მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა სხვაობის რაოდენობაზე“.

აქ აღნიშნული პირობის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ხელახალი ხმის მიცემის შედეგების მიხედვით მანამდე (ხელახალი ხმის მიცემამდე) საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატს გაუსწროს მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატმა. მაშასადამე, ხელახალმა ხმის მიცემამ, ე. ი. იმ საარჩევნო უბნების ამომრჩევლებმა, რომლებშიც არჩევნების შედეგები ბათილად იქცა ცნობილი, შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს არჩევნების საბოლოო შედეგებზე. გამოდის, რომ ასეთ ვითარებაში პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს ხელახალი ხმის მიცემამდე მეორე ადგილზე მყოფი კანდიდატი.

ამგვარად, ხელახალი ხმის მიცემა გარკვეულ პირობებში არის იმის ერთ-ერთი გარანტია, რომ მართებულად განხორციელდეს საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი დებულებები. სახელდობრ, №55 ხონის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქთან მიმართებით, იგულისხმება კონსტიტუციის დასახელებული მუხლის იმ მოთხოვნის შესრულება, რომ პარლამენტი შედგებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 (მათ შორის, №55 ხონის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეული ერთი) პარლამენტის წევრისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, №55 ხონის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის №15 ხიდისა და №22 ძეძილეთის საარჩევნო უბნებში არჩევნების შედეგების გაბათილებით შეიქმნა სწორედ ისეთი ვითარება, როგორიც „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-10 პუნქტით არის გათვალისწინებული (ამას არც მოპასუხე მხარის წარმომადგენლები არ უარყოფენ). მიუხედავად ამისა, ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნა №55 ხონის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არ განხორციელდა. 54-ე მუხლის ამ პუნქტისა და აგრეთვე, ორგანული კანონის 55-ე მუხლის მითითების საწინააღმდეგოდ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ დაუნიშნავს ხელახალი ხმის მიცემა №15 ხიდისა და №22 ძეძილეთის საარჩევნო უბნებში. ამის გარეშე შეჯამდა არჩევნების საბოლოო შედეგები და, შესაბამისად, №55 ხონის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეულად ჯემალ მებუკე ჩაითვალა.

ამ დარღვევის გამო აღნიშნული საარჩევნო უბნების ამომრჩევლებს წაერთვათ არჩევნებში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება, ორგანული კანონით უზრუნველყოფილი იმის შესაძლებლობა, რომ ხელახალი ხმის მიცემის გზით თვითონაც აერჩიათ თავიანთი მაჟორიტარი დეპუტატი და არსებითი გავლენაც კი მოეხდინათ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებზე. აღნიშნული დარღვევით შეილახა, აგრეთვე, დეპუტატობის კანდიდატის აკაკი ბობოხიძის კონსტიტუციური უფლებაც, ვინაიდან გამოირიცხა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად მისი იმჟამად არჩევის შესაძლებლობა.

ამგვარად, ის გარემოებანი, რომ (ა) №15 ხიდისა და №22 ძეძილეთის საარჩევნო უბნებში, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-10 პუნქტის საწინააღმდეგოდ, არ დაინიშნა ხელახალი ხმის მიცემა და (ბ) მაჟორიტარი დეპუტატი №55 ხონის საარჩევნო ოლქში აირჩა აღნიშნულ ორ საარჩევნო უბანში ხელახალი ხმის მიცემის შედეგების გათვალისწინების გარეშე, არ შეესაბამება, არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

მოპასუხე მხარის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, მე-2 ტურში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შემთხვევაში ხელახალი ხმის მიცემა არ შეიძლება გაიმართოს, ვინაიდან კანონით ამისთვის „საერთო არჩევნებიდან“ ორი კვირაა დადგენილი, ეს ვადა კი უკვე გასული იყო. მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ არჩევნების შესაძლო ორი ტურის ჩატარების შემთხვევაში თითოეული მათგანი ცალ-ცალკე საერთო არჩევნებად უნდა ჩაითვალოს და ვადების ათვლაც ამის შესაბამისად უნდა წარიმართოს. მოპასუხე მხარე მიუთითებდა ორგანული კანონის მესაძლო ხარვეზიანობაზე და ამას არც საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, მით უფრო, რომ „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონისა და საარჩევნო პრაქტიკის სრულყოფის საჭიროება აღნიშნულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ 1999 წლის 31 ოქტომბრისა და 14 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის მიზნით თბილისში წარმოგზავნილ საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის საბოლოო მოხსენებაში (არჩევნების საერთო დადებით შეფასებასთან ერთად, დამკვირვებელთა მოსაზრებით, ორგანული კანონის „ზოგიერთი პუნქტი ბუნდოვანია, თანაც ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ხოლო ზოგიერთი... სერიოზულ შეშფოთებას იწვევს“). მაგრამ, ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არანაირად არ შეიძლება კონსტიტუციის პრინციპებისა და ნორმების, კონსტიტუციურ დებულებათა დარღვევის გამართლება მიმდინარე კანონმდებლობის ხარვეზიანობის საფუძველზე.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ხელახალი ხმის მიცემის დანიშვნის შემთხვევაში ვეღარ მოესწრებოდა დეპუტატის არჩევა ახალარჩეული პარლამენტის შეკრებამდე. მისი აზრით, თუ ხელახალი ხმის მიცემა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის შემდეგ ჩატარდებოდა, საკითხის ასეთი გადაწყვეტის კონსტიტუციურობა საეჭვო იქნებოდა. ამის საპირისპიროდ სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 51-ე მუხლზე, რომლის ძალითაც ახალარჩეული პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

6. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების მეორე ტურის შედეგები №55 ხონის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში 15 ნოემბრის საოლქო მაჟორიტარულ ოქმზე დაყრდნობით შეაჯამა. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიაში არ იყო დაცული დოკუმენტის შედგენის ელემენტარული, საყოველთაოდ მიღებული წესი. საქმის მასალებით მტკიცდება, რომ შემაჯამებელი ოქმის ეგზემპლარებს ბეჭედს ასვამდნენ, კომისიის თავმჯდომარე და წევრები ხელს აწერდნენ ოქმში სათანადო მონაცემების შეტანამდე, რაც ქმნიდა გაყალბების რეალურ შესაძლებლობას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ არსებობს სხვადასხვა მონაცემების შემცველი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, 15 და 16 ნოემბრით დათარიღებული საოლქო მაჟორიტარული ოქმები, აგრეთვე, ასეთივე ერთი უთარიღო ოქმის ასლი. 15 ნოემბრით დათარიღებული საოლქო მაჟორიტარული ოქმის თანახმად, ხონის საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრად ჯ. მებუკეა არჩეული, 16 ნოემბრისა და უთარიღო ოქმების მიხედვით კი, ჯ. მებუკეზე უფრო მეტი ხმების რაოდენობა ა. ბობოხიძეს აქვს მიღებული. საკონსტიტუციო სასამართლოში მოწმედ დაკითხულმა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა ნ. კაკაბაძემ და ქ. ხონელიძემ განაცხადეს, რომ 15 ნოემბრით დათარიღებულ – ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ საოლქო მაჟორიტარულ ოქმზე მათი სახელით შესრულებული ხელმოწერები მათ არ ეკუთვნით.

თვით მოსარჩელეთა წარმომადგენელმა, რომელიც არ ცნობს №22 ძეძილეთის საარჩევნო უბანში არჩევნების შედეგების გაბათილების მართლზომიერებას და ხონის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ჯ. მებუკის ნაცვლად 16 ნოემბრით დათარიღებული საოლქო მაჟორიტარული ოქმის საფუძველზე და საერთო მონაცემების გათვალისწინებით გამარჯვებულად ა. ბობოხიძეს მიიჩნევს, სასამართლო პროცესზე განაცხადა: № 22 ძეძილეთის საარჩევნო უბნის გარდა, „სერიოზული უზუსტობები“ იყო, აგრეთვე, „რამდენიმე უბნის ოქმში“, მაგრამ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ „არც ერთი მათგანი არ გადამოწმებულა“; „საუბნო კომისიის ოქმებიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ მე-3, მე-4, მე-6, მე-10, მე-12 და მე-18 უბნებში გამოყენებული და გამოუყენებელი ბიულეტენების ჯამური რაოდენობა უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამ უბნებზე მიღებული ბიულეტენები იყო, ანუ ამ უბნებში მეტი ბიულეტენი აღმოჩნდა, ვიდრე საუბნო კომისიას ჰქონდა გადაცემული, ხოლო პირველ და მე-2 უბნებში გამოყენებული და გამოუყენებელი ბიულეტენების ჯამური რაოდენობა ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე უბნის მიერ მიღებული ბიულეტენები იყო, ანუ ამ უბნებიდან „დაიკარგა“ მათთვის გადაცემული ბიულეტენები... „დაკარგული“ ბიულეტენების ჯამი თითქმის ემთხვევა სხვა უბნებში დამატებით „გაჩენილი“ ბიულეტენების ჯამს“ (აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარემ მოსარჩელეთა წარმომადგენლის ეს შედავება უპასუხოდ დატოვა). ეს გარემოება საყურადღებოა ხონის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნების შეჯამებისას შექმნილი საერთო ვითარების დასახასიათებლად. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხონის საოლქო საარჩევნო კომისიაში ზემოაღწერილ ვითარებაში შედგენილი ვერც ერთი დოკუმენტი და, ბუნებრივია, ვერც ასეთი დოკუმენტის საფუძველზე შეჯამებული არჩევნების შედეგები მართლზომიერად და სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება.

II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის (დემურ გადელიას, დავით ქლენტის, იევერ ჭელიძისა და სხვების – სულ 111 დეპუტატის) 128-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მოსარჩელეთა იმ მოსაზრებას, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ ჰქონდა უფლება განეხილა და ბათილად ეცნო არჩევნების შედეგები № 65 მარტვილის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის №№ 1-34 საარჩევნო უბნებში. ამ მოსაზრების საფუძვლად მოსარჩელე მხარე მიიჩნევს იმას, რომ საარჩევნო უბნებში არ ყოფილა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები. სახელდობრ, საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩევნების დღეს – 31 ოქტომბერს, 07-დან 20 საათამდე განცხადება საარჩევნო უბნებში არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ არ შესულა და არც დარღვევების თაობაზე ოქმი არ შედგენილა, რის გამოც, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არც ერთ უბანში არჩევნები ბათილად არ ყოფილა ცნობილი.

ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი მიუთითებს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება საპარლამენტო არჩევნების ბათილად ცნობის სფეროში „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის ხსენებული პუნქტებით არ ამოიწურება. არჩევნების შედეგების გაბათილება № 65 მარტვილის საარჩევნო ოლქის №№ 1-34 საარჩევნო უბნებში საარჩევნო პროცესის შემდგომ სტადიაზე წარმოქმნილი დარღვევებითა და ორგანული კანონით დადგენილი სხვა საფუძვლით იყო განპირობებული.

მარტვილის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებში მართლაც არ შედგენილა განცხადება არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე და არც ოქმი დარღვევების შესახებ. კენჭისყრა უმთავრესად კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით წარიმართა. გაფორმდა საუბნო მაჟორიტარული ოქმები და ისინი სხვა სათანადო დოკუმენტებთან ერთად გადაეგზავნა საოლქო საარჩევნო კომისიას. ხმის მიცემის ჩვეულებრივ პროცესში გამონაკლისს შეადგენდა № 24 ლეხაინდრაოს საარჩევნო უბანი (სადაც დარბევის შედეგად დაიწვა ძირითადი საარჩევნო ყუთი) და № 15 ვედიდკარის საარჩევნო უბანი (დაიწვა ბიულეტენები).

ვითარება მკვეთრად შეიცვალა საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი სხდომის დროს. მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით მტკიცდება, რომ მოხდა მასობრივი არეულობა და კომისიაზე თავდასხმა, უხეში ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება კომისიის თავმჯდომარესა და წევრებზე, მთლიანად დაიწვა და განადგურდა საარჩევნო დოკუმენტაცია. დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატი ი. გადელია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე 1999 წლის 3 ნოემბერს დაწერილ განცხადებაში აღნიშნავს: „...წაქეზებულმა მოქალაქეებმა დაარბიეს საოლქო საარჩევნო კომისიის სამუშაო ოთახები, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კომისიის თავმჯდომარეს და სასტიკად სცემეს ის, ამასთან, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კომისიის სხვა წევრებსაც, ნეკნები ჩაუმტვრიეს პარტიის რწმუნებულს მურად კვამილავას, დალეწეს ტელეფონის აპარატები, ავეჯი, სეიფიდან გაიტაცეს ოქმები, ბიულეტენები, ცეცხლი წაუკიდეს მათ და გაანადგურეს, რასაც ადასტურებს საქართველოს ტელევიზიის გადაცემები... შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო სისხლისღვრა, კომისიის შემადგენლობას ემუქრებოდა საფრთხე, ანალოგიურ მდგომარეობაში იყო ხელისუფლება, რომელიც იმყოფებოდა ჩაკეტილ მდგომარეობაში და იზოლირებული იყო... წაქეზებული ხალხის მიერ“.

ასე შეწყდა საარჩევნო პროცესი № 65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩევნების შედეგების შეჯამების საწყის სტადიაზე. მამასადამე, ვეღარ განხორციელდა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე და 54-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

სახელდობრ, არ მოხდა არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო კომისიამ, კერძოდ, საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით არსებითად ვერ დაადგინა გამოუყენებელი და გაფუჭებული, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობა, თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობა და არჩევნების შედეგები, ვერ გამოავლინა გამარჯვებული კანდიდატი. საოლქო საარჩევნო კომისიას არ დაუმტკიცებია სათანადო ოქმი და არ გაუგზავნია იგი ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის. ასევე, ვერ გადასცა მან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმები.

ამგვარად, ზემოაღწერილი ვითარების გათვალისწინებით, გამოირიცხა (თუნდაც მოსარჩელეთა ადვოკატის მიერ აღნიშნული „გადაწეული ვადებისა“ თუ „ახალი ვადების“ დადგენის შემთხვევაშიც) საოლქო საარჩევნო კომისიიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა.

ამ დარღვევების მიზეზით, ბუნებრივია, მარტვილის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებში არჩევნების შედეგები ვეღარ შეჯამდა და ვერ გაფორმდა, აგრეთვე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ვერც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ შეძლო საარჩევნო ოლქში არჩეული კანდიდატის გამოვლენა.

მაშასადამე, ვერც საოლქო საარჩევნო კომისიამ და ვერც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, თავიანთი ნებისაგან დამოუკიდებლად, ვერ განახორციელეს ორგანული კანონით მათზე დაკისრებული ფუნქციები.

ასეთი ვითარების გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიუღებელია მოსარჩელე მხარის განცხადება ი. გადელიას უფლებების დარღვევაზე იმ მოტივით, რომ მან არჩევნების შედეგად გაიმარჯვა № 65 მარტვილის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში და „მოიპოვა უფლება, ეცნოთ არჩეულად საქართველოს პარლამენტის წევრად“. „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე და 54-ე მუხლებით დადგენილი პროცედურების შესრულების გარეშე შეუძლებელია დეპუტატობის კანდიდატი საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვალოს. საარჩევნო კანონმდებლობა არ ცნობს არჩევნების შედეგების შეჯამების, მისი დადგენის სხვა, ალტერნატიულ საშუალებებს.

მამასადამე, მოსარჩელე მხარის არც ის მოსაზრება არ შეეფერება სინამდვილეს, რომ მარტვილის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების გაბათილებითა და ხელახალი არჩევნების დანიშვნით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი, აგრეთვე, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ნორმები და პრინციპები. ასეთი დარღვევის გამოხატულება სწორედ ის იქნებოდა, რომ დეპუტატი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის ნორმების უგულებელყოფით არჩეულიყო.

მოსარჩელეებმა საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოუდგინეს მარტვილის საარჩევნო ოლქის იმ საუბნო მაჟორიტარული ოქმების ასლები, რომლებიც, კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, „განადგურებას გადაურჩა“, „სრული სახით არის წარმოდგენილი“, „კანონის მოთხოვნათა დაცვით გადაეცა ი. გადელიას ნდობით აღჭურვილ პირებს, რითაც უტყუარად დასტურდება, რომ... ამომრჩეველთა ერთ მესამედზე მეტმა მხარი დაუჭირა და გამოხატა ნება პარლამენტის წევრად ი. გადელიას არჩევისა“. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგ მათგანში მონაცემები უზუსტოა, გადასწორებული ან არასრულია, ზოგიც კიდევ ფორმით არასტანდარტულია, ერთი უბნის მონაცემები საკრებულოების 1998 წლის 15 ნოემბრის არჩევნების ბლანკზეა დაწერილი, ერთი კი ბეჭედდაუსმელია. მათ არასაიმედოობაზე თვით მოსარჩელეთა ადვოკატმაც მიუთითა, როცა განაცხადა, რომ არ არსებობს მათი შემოწმების საშუალება („არ არსებობს დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გავხსნათ, გადავთვალოთ, შევადაროთ და ა. შ.“). აღსანიშნავია, რომ ისინი, საქმის მასალების მიხედვით, არ წარუდგენიათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

საარჩევნო პროცესის შეწყვეტა, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 53-ე და 54-ე მუხლების შეუსრულებლობა ამ კანონის არსებითი, უხეში დარღვევაა. ამავე ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესრულებას, უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სრული უფლება ჰქონდა და იგი ვალდებულიც იყო, ისევე, როგორც ხონის საარჩევნო ოლქის ხიდისა და ძეძილეთის საარჩევნო უბნებთან მიმართებით, გაებათილებინა არჩევნების შედეგები № 65 მარტვილის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის ოცდათოთხმეტივე საარჩევნო უბანში. საყურადღებოა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე 1999 წლის 5 ნოემბერს შეტანილ განცხადებაში, ლეიბორისტული (შრომის) პარტიიდან საოლქო კომისიის წევრის გ. გეგელიას მიერ წარდგენილ მასალებთან (ი. გადელიას სიტყვით – „გაყალბებულ მონაცემებთან“ დაკავშირებით, თვით ი. გადელია ითხოვდა შესაბამისი მონაცემების გაბათილებას („გთხოვთ... მარტვილის რაიონის № 65 საარჩევნო ოლქიდან წარმოდგენილი მონაცემები ცნოთ ბათილად, ხოლო არჩევნების მეორე ტური ჩატარდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების მეთვალყურეობით“).

ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არჩევნების შედეგების გაბათილების საკანონმდებლო საფუძველი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესაბამის აქტებში სრულყოფილად არ არის მითითებული. 5 ნოემბრის № 181/1999 დადგენილებით, რომელიც, უნდა ითქვას, დაგვიანებითაც (9 ნოემბერს) გამოქვეყნდა, არჩევნების შედეგები გაბათილებულია „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად („ცენტრალური საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეშად დარღვევა“). ეს პუნქტი მიესადაგება, კერძოდ, № 15 ვედიდკარისა და № 24 ლეხაინდრაოს საარჩევნო უბნებს (სადაც კანონის „უხეშად დარღვევა“ ძირითადი საარჩევნო ყუთისა და ბიულეტენების დაწვით გამოიხატა). საერთოდ კი, დადგენილებაში მითითებული უნდა ყოფილიყო 53-ე მუხლის მე-6 პუნქტი: არ შესრულდა ამ პუნქტის მოთხოვნა, რომ „საოლქო სააარჩევნო კომისიის ოქმი და საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების თითო ცალი არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მის მიერ დადგენილი წესით“. 7 ნოემბრის შემაჯამებელ ოქმში აღარ იხსენიება 54-ე მუხლის მე-9 პუნქტი. ამ ოქმით (იხ. IX პუნქტი) არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი ორგანული კანონით დადგენილი წესით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესაბამისი ოქმების წარმოუდგენლობის გამო (ე. ი. 53-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე). აღნიშნული ხარვეზი, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, არსებით გავლენას ვერ იქონიებს ხსენებული სამართლებრივი აქტების მართლზომიერებაზე.

საქართველოს პარლამენტის წევრთა ორი ჯგუფის 122-ე და 128-ე ნომრებით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განხილვის შედეგად დადგენილ გარემოებათა გათვალისწინებით, – ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის „დ“ პუნქტით, 21-ე მუხლის პირველი პუნქტით, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით, 43-ე მუხლის მე-8 პუნქტით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს:

1. არ დაკმაყოფილდეს საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის – ვახტანგ ხმალაძის, ჰამლეტ ჭიპაშვილის, თენგიზ ჯგუმიასა და სხვების (სულ 52 დეპუტატის) მოთხოვნა (ა) „№55 ხონის საარჩევნო ოლქის № 15 და № 22 საარჩევნო უბნებში მეორე ტურის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 19 ნოემბრის № 192/1999 დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე და (ბ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 18 ნოემბრის „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 7 და 14 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების მეორე ტურისა და ხელახალი ხმის მიცემის შედეგების შემაჯამებელი ოქმის“ VII პუნქტის იმ ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, რომელიც ეხება № 55 ხონის საარჩევნო ოლქის № 15 და № 22 საარჩევნო უბნებში არჩევნების მეორე ტურის შედეგების ბათილად ცნობას;

2. დაკმაყოფილდეს საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის – ვახტანგ ხმალაძის, ჰამლეტ ჭიპაშვილის, თენგიზ ჯგუმიასა და სხვების (სულ 52 დეპუტატის) მოთხოვნა და ცნობილი იქნეს არაკონსტიტუციურად და ბათილად (ა) არჩევნების შედეგები № 55 ხონის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, რაც იმით გამოიხატა, რომ 1999 წლის 15 ნოემბრის საოლქო მაჟორიტარული ოქმის მიხედვით „საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულია მებუკე ჯემალი“, (ბ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 18 ნოემბრის „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 7 და 14 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების მეორე ტურისა და ხელახალი ხმის მიცემის შედეგების შემაჯამებელი ოქმის“ V პუნქტის ის ნაწილი, რომელიც ეხება № 55 ხონის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრად ჯემალ მებუკის ცნობას;

3. არ დაკმაყოფილდეს საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის – დემურ გადელიას, დავით ქლენტის, იევერ ჭელიძისა და სხვების (სულ 111 დეპუტატის) მოთხოვნა, რომ არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ა) 1999 წლის 5 ნოემბრის № 181/1999 დადგენილება „№ 65 მარტვილის საარჩევნო ოლქის №№ 1-34 საარჩევნო უბნებში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ“ იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილია აღნიშნულ საარჩევნო უბნებში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების გაბათილება, (ბ) 1999 წლის 18 ნოემბრის „საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 7 და 14 ნოემბერს გამართული არჩევნების მეორე ტურისა და ხელახალი ხმის მიცემის შედეგების შემაჯამებელი ოქმის“ IX პუნქტი, რომლის მიხედვითაც მაჟორიტარული სისტემით ხელახალი არჩევნები უნდა გაიმართოს № 65 მარტვილის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში“;

4. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;

5. გადაწყვეტილება საბოლოოა, გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;

6. ამ გადაწყვეტილების პირი გაეგზავნოთ მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;

7. გადაწყვეტილება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში.

ავთანდილ დემეტრაშვილი
(სხდომის თავმჯდომარე),
ნიკოლოზ შაშკინი,
ავთანდილ აბაშიძე,
ოთარ ბენიძე,
ბესარიონ ზოიძე,
იაკობ ფუტკარაძე
(მომხსენებელი მოსამართლე),
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი,
ლამარა ჩორგოლაშვილი,
ზაურ ჯინჯოლავა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების: ბესარიონ ზოიძის, ზაურ ჯინჯოლავასა და ავთანდილ აბაშიძის

განსხვავებული აზრი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (1) ვახტანგ ხმალაძის, ჰამლეტ ჭიპაშვილის, თენგიზ ჯგუმიასა და სხვების შემადგენლობით (სულ 52 დეპუტატი) და (2) დემურ გადელიას, დავით ქლენტის, იევერი ჭელიძისა და სხვების შემადგენლობით (სულ 111 დეპუტატი) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“ – არსებითად გამოხატავს რა ჩვენი, როგორც მოსამართლეთა ნებას, ამასთან, თავს უფლებას ვაძლევთ, გამოვთქვათ განსხვავებული აზრი ამ გადაწყვეტილების ზოგიერთ სამოტივაციო დებულებაზე, რასაც ვფიქრობთ, რომ ექნება დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობა, როგორც კანონის განმარტების აზრით, ისე სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ საერთოდ კანონმდებლობაში და ამ შემთხვევაში საარჩევნო კანონმდებლობაში გამოხატული სამართლის ობიექტური ნების განმარტებისას, ეს ნება უნდა დადგინდეს მისი გონივრული განსჯისა და ნამდვილი შინაარსის საფუძველზე და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრიდან. კანონში გამოხატული სამართალი უნდა გავიგოთ როგორც ცოცხალი ძალა და არა როგორც მკვდარი სხეული. მხედველობაში გვაქვს № 55 ხონის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის № 15 ხიდის საარჩევნო უბანში არჩევნების ბათილად ცნობის საფუძველთა მიმართ ჩვენი დამოკიდებულება, კერძოდ ის, თუ როგორი უნდა იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება საარჩევნო კომისიის ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში. № 15 ხიდის საარჩევნო უბანში არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი იმის გამო, რომ არჩევნების დღეს, 14 ნოემბერს, 18 საათსა და 15 თუ 30 წუთზე, დაიკარგა საარჩევნო კომისიის ბეჭედი, რის გამოც საარჩევნო კომისიამ არჩევნების დამთავრებამდე ერთი საათითა და 45 წუთით ადრე შეწყვიტა მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის“ მიხედვით, „ბეჭედი“ მართლაც წარმოადგენს რიგი საარჩევნო პროცედურისა თუ დოკუმენტაციის დამოწმების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს, რაზედაც სპეციალურადაა მითითებული მის ცალკეულ მუხლებში (იხ. 51-ე მუხლის პირველი პუნქტი; 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ი“ ქვეპუნქტები და ა. შ.) ჩვენ მიგვაჩნია, რომ თავისთავად ბეჭდის დაკარგვის ფაქტი არ შეიძლება გახდეს საარჩევნო პროცესის შეწყვეტის საფუძველი.

საარჩევნო კომისიის ბეჭედი წარმოადგენს იმ ფორმალურ რეკვიზიტს, რომლითაც ხდება საარჩევნო პროცესის კანონით გათვალისწინებულ ამა თუ იმ მოქმედებისა თუ ცალკეული დოკუმენტაციის დამოწმება. საარჩევნო კომისიის ბეჭდით ხდება სხვადასხვა საარჩევნო უბნებსა თუ ოლქებში მიმდინარე საარჩევნო პროცესთა ერთმანეთისაგან იდენტიფიკაცია, საარჩევნო პროცესის ნამდვილობის უზრუნველყოფა და სიყალბისაგან თავის დაზღვევა. კომისიის ბეჭედი სამართლებრივი სინამდვილის ფორმალური მდგომარეობის მოწმობაა. საარჩევნო კომისიის ბეჭდითა და კომისიის წევრთა ხელმოწერით მოწმდება საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებული საარჩევნო ნება. კომისიის წევრთა ხელმოწერა წარმოადგენს ამ ნების ფორმალური გამოხატვის გაცილებით ძლიერ მტკიცებულებას, ვიდრე ესაა კომისიის ბეჭედი. თუ მარტოოდენ ბეჭედდასმული საარჩევნო ბიულეტენი არაფრის მტკიცებულებას არ წარმოადგენს, საუბნო საარჩევნო კომისიის ორი წევრის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენი არ შეიძლება არ ჩაითვალოს საარჩევნო ნების გამოხატვის მტკიცებულებად. ამდენად, თუ კომისიის ბეჭედი თავისთავად ვერ შეცვლის ხელმოწერას და ვერ დაიტვირთება ხელმოწერის ტვირთით, სამაგიეროდ ხელმოწერით შეიძლება გაბათილდეს და გამოსწორდეს ბეჭდის უქონლობით გამოწვეული ნაკლი. ბეჭედს იყენებენ სწორედ ის პირები, რომლებიც ახდენენ ხელმოწერას. რადგანაც დაიკარგა ბეჭედი, საუბნო საარჩევნო კომისიამ, ეტყობა, უკანონოდ მიიჩნია უბეჭდო ბიულეტენების გამოყენება და შეწყვიტა საარჩევნო პროცესი. როცა საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ ორგანული კანონი არავითარ ცნობას არ შეიცავს კომისიის ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში კომისიის მოქმედების შესახებ, მასში არსებულ ნორმათა სიტყვასიტყვითი განმარტებით, ამ შემთხვევაში ერთადერთი გადაწყვეტილება საარჩევნო უბანში არჩევნების გაბათილებაა. მაგრამ, თუკი ამოვალთ ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი მტკიცებიდან, საარჩევნო კომისიას არჩევნები უნდა გაეგრძელებინა.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ საარჩევნო უბანში არჩევნების ბათილად ცნობის საფუძველია საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ ორგანული კანონის უხეში დარღვევის ფაქტი, როგორც ამის შესახებ იტყობინება 54-ე მუხლის მე-9 პუნქტი. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ბეჭდის დაკარგვა ვერ ჩაითვლება ორგანული კანონის უხეშ დარღვევად. უხეშ დარღვევად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ ისეთი დარღვევა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული საარჩევნო უფლების განხორციელებაზე. ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიას მუშაობა კი არ უნდა შეეწყვიტა, არამედ უნდა მოეძებნა ამ მდგომარეობიდან სამართლებრივი გამოსავალი. კომისიას შეეძლო უბეჭდოდ გაეგრძელებინა არჩევნები და საკმარისად მიეჩნია კომისიის წევრთა ხელმოწერები, ანდა, დამატებითი ხელმოწერებითა და სხვა მტკიცებულებებით გაეძლიერებინა არსებული ფაქტების სამართლებრივი სანდოობა. არაპირდაპირ ამგვარად მოქმედების შესაძლებლობაზე უნდა მიგვეანიშნებდეს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საუბნო საარჩევნო კომისია „განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს“. ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში, არჩევნების გაგრძელების საკითხის გადაჭრა, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა, კენჭისყრის ორგანიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

თუკი ჩვენ სწორად მივიჩნევთ ბეჭდის დაკარგვის მოტივით საარჩევნო პროცესის შეწყვეტას, ეს იქნებოდა ის პრეცენდენტი, რომელიც ხელს შეუწყობდა ცალკეულ პირებს ადვილად მოეყვანათ სისრულეში საარჩევნო პროცესის ხელოვნურად ჩაშლის განზრახვა.

ამდენად, ბეჭდის დაკარგვა კი არ უნდა ჩაითვალოს „უხეშ დარღვევად“, არამედ ბეჭდის დაკარგვის მოტივით, საარჩევნო პროცესის შეწყვეტა. შესაბამისად, საარჩევნო უბანში არჩევნების გაბათილების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ არა ბეჭდის დაკარგვა, არამედ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო პროცესის შეწყვეტის ფაქტი, რასაც რეალურად ჰქონდა ადგილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ სასამართლოში წარმოდგენილ საარჩევნო კომისიათა ოქმების უმეტესობას გამოკვეთილად არც კი ატყვია ბეჭედი, მათგან ნაწილს ბეჭდის ფორმაც არა აქვს და იმის ამოცნობა, ესა თუ რისი ბეჭედია, ექსპერტის გარეშე შეუძლებელიც კია. ასეთ ვითარებაში, ბეჭდის დაკარგვის შემთხვევაში გაუმართლებელია მისთვის გადაჭარბებული სამართლებრივი მნიშვნელობის მინიჭება. საარჩევნო პროცესის უწყვეტობა და დროში შეზღუდულობა ავალდებულებს და უფლებამოსილს ხდის საუბნო საარჩევნო კომისიას უბეჭდოდაც გააგრძელოს საარჩევნო პროცესი. საარჩევნო კომისიის ამგვარი მოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ ორგანული კანონით ნაგულისხმევ მოქმედებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ სასამართლო გადაწყვეტილების დებულებებს, რომელიც იუწყება, რომ საარჩევნო კომისიის ბეჭედი „შეუცვლელი ატრიბუტია“ და მას „ალტერნატივა არ გააჩნია“. ამასთან, ბეჭდის სამართლებრივი მნიშვნელობის მიმართ ასეთ კატეგორიულ მიდგომას ჩვენ არ გამოვრიცხავთ, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

ერთი ჩინეთის პრინციპი და ტაივანის საკითხი

Formosa Strait
CHINA
TAIWAN (CHINA)
TAIPEI
Chilung
Hsinchu
T'aichung
Hualien
TAIWAN
Chiai
T'ainan
Kaohsiung
P'ingtung
T'aitung
PESCADORES
PACIFIC
OCEAN
Map from Encyclopedia Britannica

ტაივანის ხელისუფალთა მთელი მოსაზრებები და ე. წ. „არგუმენტები", კერძოდ, ლი დენჰუეის განცხადებები „ორი სახელმწიფოს" შესახებ მიზნად ისახავს „ორი ჩინეთის" სიტუაციის შექმნას და იმის მტკიცებას, ვითომდა 1949 წლის შემდეგ სრუტის ორი ნაპირი გაიყო, მათ აქვთ დამოუკიდებელი მმართველობა და არ ექვემდებარებიან ერთმანეთს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არასდროს არ ახორციელებდა ტაივანის მართვას. ხოლო 1991 წლის შემდეგ ტაივანში ჩამოყალიბდა მმართველობის ორგანოების სისტემა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს კონტინენტურ ჩინეთთან. მაგრამ ეს მტკიცებები ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, ვინაიდან, ჯერ ერთი, სახელმწიფო სუვერენიტეტი განუყოფელი რჩება. ტერიტორია — ეს არის სახელმწიფოს სუვერენიტეტის განხორციელების სივრცე, და ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიძლება იარსებოს მხოლოდ ერთმა ცენტრალურმა მთავრობამ. უცვლელი რჩება ის ფაქტი, რომ ტაივანი ჩინეთის ტერიტორიის ნაწილია და, მაშასადამე, უცვლელია ტაივანისადმი ჩინეთის სუვერენიტეტიც. მეორე, საერთაშორისო გაერთიანება ცნობს, რომ მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი, და ტაივანი მისი ტერიტორიის ნაწილია. მესამე, ტაივანის საკითხი ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ წყდებოდა, უმთავრესად, გარეშე ძალების ჩარევისა და ტაივანელ სეპარატისტთა მხრივ ხელის შეშლის შედეგად. ასეთი არანორმალური სიტუაციის შენარჩუნება ვერ მოუტანს ტაივანს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსს ტაივანელი სეპარატისტებისა და მთელ რიგ ქვეყნებში მოკალათებული ანტიჩინური ელემენტების ძალისხმევის მიუხედავად.

ტაივანელი სეპარატისტები იმეორებენ ლოზუნგს, რომ „სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის" და ამაოდ ცდილობენ შეუცვალონ სტატუსი ტაივანს, როგორც ჩინეთის ნაწილს. ამაოდ — იმიტომ, რომ არ არსებობს არავითარი წანამძღვარი თვითგამორკვევის საკითხზე რეფერენდუმის მოსაწყობად, მეორეც, სუვერენიტეტი ეკუთვნის მთელი ქვეყნის ხალხს, და არა ამ ერის რომელიმე ცალკეულ ნაწილს, ანდა ამ ქვეყნის რომელიმე ცალკეული რაიონის ხალხს. ტაივანისადმი სუვერენიტეტი ეკუთვნის ყველა ჩინელს, კერძოდ, ტაივანელ თანამემამულეებს, და არა მარტო იმ ნაწილს, რომლებიც ტაივანელებს შეადგენენ. მესამეც, მთელი ისტორიის მანძილზე ტაივანი არასდროს ყოფილა ცალკე სახელმწიფო. 1945 წლის შემდეგ მას არ ჰქონია არც კოლონიის და არც ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსი. ასე რომ, მის ეროვნულ თვითგამორკვევაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ზოგ-ზოგები ტაივანში წინადადებას აყენებენ, მოაგვარონ ორი ნაპირის ურთიერთობა ე. წ. „ორი გერმანიის" ფორმულით. ეს ისტორიისა და რეალობის მცდარი აღქმის გამოხატულებაა. უწინარეს ყოვლისა, განსხვავებულია ამ ორი სიტუაციის მიზეზები და ხასიათი. 1945 წელს, ომში დამარცხების შემდეგ გერმანია ოკუპირებული ჰყავდათ გამარჯვებულ სახელმწიფოებს კაპიტულაციის აქტის შესაბამისად. „ცივი ომის" წლებში გერმანიის გაერთიანების საკითხი ევროპაში აშშ-სა და სსრკ-ს კონფრონტაციის თავი და თავი იყო. ამის შედეგად შეიქმნა გფრ და გდრ, ანუ, გერმანიის საკითხი წამოიჭრა მხოლოდ და მხოლოდ საგარეო ფაქტორების შედეგად. მაშინ, როდესაც ტაივანის საკითხი სამოქალაქო ომის შედეგია და ჩინეთის საშინაო პრობლემებს განეკუთვნება.

ჩინეთის მთავრობის ინიციატივა ორი ნაპირის მოლაპარაკების გამართვის შესახებ, მიზნად ისახავს ქვეყნის მშვიდობიან გაერთიანებას. სწორედ ამიტომ მოითხოვს იგი, რომ ერთი ჩინეთის პრინციპი დაედოს საფუძვლად მოლაპარაკებას. ერთი ჩინეთის ფარგლებში შეიძლება განხილულ იქნეს ნებისმიერი, მათ შორის, ტაივანის ხელისუფლებისათვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხი.

ამ ბოლო წლებში ტაივანის ხელისუფალთ არაერთგზის განუცხადებიათ, რომ „დემოკრატიზაცია კონტინენტურ ნაწილში ჩინეთის ახალი გაერთიანების განხორციელების საკვანძო მომენტია"; და რომ საკითხის თავი და თავია სისტემათა შეჯიბრება. ორი ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების განსხვავება არ უნდა იყოს მშვიდობიანი გაერთიანების დაბრკოლება. უფრო მეტიც, ჩინეთის მთავრობა ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომლებიც ტაივანს განასხვავებს სიანგანისა და აომენისგან, და სწორედ ამიტომ დათანხმდა იმას, რომ მშვიდობიანი გაერთიანების შემდეგ ტაივანს მიეცეს უფრო ფართო შესაძლებლობანი „ერთი სახელმწიფო — ორი წყობილების" კურსის განსახორციელებლად. ის, რომ ტაივანის ხელისუფალნი „დემოკრატიისა და წყობილების შესახებ" კამათის საბაბით ცდილობენ, ხელი შეუშალონ სამშობლოს გაერთიანებას და თავს მოახვიონ კონტინენტური ნაწილის 1,2-მილიარდიან მოსახლეობას თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, სრულიად გაუმართლებელია და ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპს. არ შეიძლება დემოკრატიისათვის ლოზუნგი გაიხადო საბაბად გაერთიანებაზე უარის თქმისათვის. უთანხმოებანი არსებითად მომდინარეობს არა იქიდან, დემოკრატიის „მომხრენი" თუ „წინააღმდეგნი" არიან მხარეები, არამედ იქიდან, თუ რას ემხრობიან ისინი — ჩინეთის გაერთიანებას თუ გათიშვას.

ჩინეთის მთავრობა იწონებს მსოფლიო გაერთიანების ერთგულებას ერთი ჩინეთის პრინციპისადმი. „თეთრ წიგნში" ჩამოყალიბებულია ჩინეთის მთავრობის პოზიცია და პოლიტიკური დებულებები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობით დაკავშირებული ქვეყნების დამოკიდებულება ტაივანთან; საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობა კუნძულთან; ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობის მქონე ქვეყნების საჰაერო მიმოსვლა ტაივანთან; ტაივანისათვის იარაღის მიყიდვა იმ ქვეყნების მიერ, ვისაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ჩინეთთან, და ა. შ. ხაზი უნდა გაესვას ჩინეთის პოზიციას და პოლიტიკურ დებულებებს ამ საკითხში.

ტაივანს არა აქვს უფლება, მონაწილეობდეს გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა წევრებიც შეიძლება იყვნენ მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოები.

ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობის მქონე ქვეყნებმა არ უნდა მიჰყიდონ ტაივანს იარაღი და არ უნდა დაუდონ მას სამხედრო კავშირი არანაირი ფორმით.

ჩინეთის მთავრობა ტაივანთან საგარეო ურთიერთობას ეკიდება ერთი ჩინეთის პოზიციიდან გამომდინარე. ტაივანის ხელისუფალნი კი ცდილობენ საერთაშორისო ასპარეზზე გაატარონ ე. წ. „საქმიანი დიპლომატია", გააფართოონ ე. წ. „თანამშრომლობის საერთაშორისო სივრცე" და შექმნან, საბოლოო ანგარიშით, „ორი ჩინეთი". რა თქმა უნდა, ჩინეთის მთავრობა კატეგორიული წინააღმდეგია ამისა, მაგრამ ითვალისწინებს ტაივანელ თანამემამულეთა რეალურ ინტერესებს და არაფერი აქვს საწინააღმდეგო უცხოეთის სახელმწიფოებთან ტაივანის არაოფიციალური ეკონომიკური და კულტურული კონტაქტებისა. უფრო მეტიც, ერთი ჩინეთის ცნობის წანამძღვრიდან გამომდინარე, მან განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა გაეადვილებინა ტაივანის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. მაგალითად, ტაივანი დარჩა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში „ჩინეთის ტაიბეის" სახელით. მას, ფაქტობრივად, ფართო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან და რეგიონთან. ტაივანის საგარეო-სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ ყოველწლიურად 200 მილიარდ დოლარს აღემატება. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ერთი ჩინეთის პრინციპის დაცვას არ მოუხდენია არავითარი ნეგატიური გავლენა ტაივანის ნორმალურ საქმიანობაზე ეკონომიკის, ვაჭრობისა და კულტურის დარგში.

ტაივანელები ჩვენი ღვიძლი თანამემამულენი არიან, ჩინეთის საელჩოები და საკონსულოები თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ, განამტკიცონ კავშირი მათთან, უზრუნველყონ მათი ინტერესები, ხელი შეუწყონ სიძნელეთა დაძლევაში.

* * *

ჩინეთი ამაყობს თავისი უძველესი ისტორიით, რომელიც 5000 წელიწადს ითვლის. ამ ხნის მანძილზე იყო ომები, შემოსევები, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა აგრესიები, ქვეყნის გაყოფა, ახალ პერიოდში გაერთიანება მუდამ წარმოადგენდა ჩინეთის ისტორიული განვითარების მთავარ ტენდენციას. ყოველი გათიშვა, როგორც წესი, მთავრდებოდა ქვეყნის გაერთიანებით, რასაც შედეგად მოსდევდა სწრაფი პროგრესი პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში. ჩინეთის ხუთიათასწლოვანმა ისტორიამ და კულტურამ ღრმად ჩაუნერგეს ხალხს სულში დაუოკებელი სწრაფვა გაერთიანებისადმი.

ჩინეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ საერთაშორისო გაერთიანება თანამიმდევრულად გაატარებს ერთი ჩინეთის პრინციპს. სიანგანისა და აომენისადმი სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ მთელი ჩინელი ხალხი ისწრაფვის, რაც შეიძლება მალე გადაწყვიტოს ტაივანის საკითხი და განახორციელოს სამშობლოს სრული გაერთიანება. შეუწყნარებელია ტაივანის პრობლემის გადაწყვეტის სამომავლოდ გადადება. და მთელი ჩინელი ხალხის ერთობლივი ძალისხმევის მეოხებით, მათ შორის, სრუტის გაღმა-გამოღმა და საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების მეცადინეობის წყალობით ჩინეთის სრული გაერთიანება გარდაუვალად განხორციელდება.

ჩინური პრესის მასალების მიხედვით.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 160-163.

---

58 გვამი — ძარაში

ბრიტანეთის დუვრის ნავსადგურის პოლიციამ 58 გვამი აღმოაჩინა ჰოლანდიური სატვირთო ავტომობილის კონტეინერში, რომელიც 18 ივნისს საღამოს ჩამოჰყვა ლა-მანშის ბორანს.

მძღოლი დაპატიმრებულია. ხელისუფალთა აზრით, დაღუპულები ცდილობდნენ, არალეგალურად ჩაეღწიათ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფრის საძებნელად.

გასულ წელს ბრიტანეთის ხელისუფლებმა მიიღეს 71 ათასი განცხადება თავშესაფრის თხოვნით. გერმანიასთან ერთად ბრიტანეთი ყველაზე მიმზიდველი ევროპული ქვეყანაა თავშესაფრის მაძიებელთათვის.

ამერიკა ონლაინიც გატეხეს

მსოფლიოს ყველაზე დიდი, ყველაზე მდიდარი და ყველაზე იღბლიანი ინტერნეტ-კომპანია — ამერიკა ონლაინი ჰაკერთა მსხვერპლი გახდა. **AOL**-ის მოსარგებლეთა რიცხვი ამჟამად 23 მილიონს აღემატება. შაბათს კომპანიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჰაკერებმა შეაღწიეს კომპანიის ქსელში და გაავიდნენ ზოგიერთი კლიენტის ანგარიშზე. ისინი გახდნენ სხვათა საკრედიტო ბარათების ნომრების ბედნიერი მფლობელნი იმ ვირუსის მეშვეობით, რომელიც ელექტრონული ბარათების დანართებში იყო ჩადებული.

ეს ინციდენტი ერთხელ კიდევ წარმოაჩენს საფრთხეს, რომელსაც ჰაკერები წარმოადგენენ და რომლისგანაც მსოფლიოს უდიდესი ქსელიც კი არ არის დაზღვეული.

AOL-ი ხაზგასმით აღნიშნავს მიყენებული ზარალის სიმცირეს — ჰაკერებმა ვერ ჩაიგდეს ხელში მონაცემების ძირითადი ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კომპანიის 23-ვე მილიონი კლიენტის შესახებ.

AMERICA
Online

ბერეზოვსკის აზრით...

ორშაბათს გერმანულმა ყოველკვირეულმა „შპიგელმა" გამოაქვეყნა დეპუტატ ბორის ბერეზოვსკის ინტერვიუ, რომელიც ვლადიმერ პუტინის მმართველობის პირველი თვეების შეფასებას ეძღვნება.

მეწარმე კელავინდებურად თვლის, რომ 26 მარტს სწორი არჩევანი გააკეთა, როდესაც ხმა მისცა პუტინს, ვინაიდან „ყველა სხვა კანდიდატის გასვლა უკანდახევა ან გზიდან გადახვევაა". თუმცა, არჩევნების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე ბერეზოვსკიმ შეავსო ახალი პრეზიდენტის შეფასება: „მე ადრევე უნდა მივმხვდარიყავი, რომ იგი არ არის სტრატეგოსი. ელცინიც არ იყო სტრატეგოსი, მაგრამ მას სულ სხვა — ისტორიული ამოცანა უნდა გადაეწყვიტა, და ეს არც მოეთხოვებოდა. ხოლო პუტინს მისჯილი აქვს სტრატეგიული აზროვნება, თუ ჩვენ გვსურს სწრაფად და შედეგიანად ვიაროთ არჩეული გზით... მოკლე დროში პუტინმა დაუშვა ორი სტრატეგიული შეცდომა. ერთი, ეს არის ჩეჩნეთი, სადაც დღემდე არ ეძებენ პოლიტიკურ გადაწყვეტას, და მეორე, — სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირების გეგმები, სადაც პროვინციული მთავრებისათვის ძალაუფლების ჩამორთმევის გზით ინგრევა დემოკრატიული ფედერალური სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველი... დღეს პუტინს ცუდი მრჩევლები ჰყავს. მათ არ ესმით, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ააშენებ, თუ არ გექნა პოლიტიკური თავისუფლებანი, ვინაიდან მარტოოდენ ეკონომიკური თავისუფლება არ არის საკმარისი".

შეეხო რა გუსინსკის დაპატიმრებას, დეპუტატმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს იყო „უბრალოდ სპეცსამსახურების წინდაუხედავი აქცია. ჯგუფი „მოსტი" დღეს წარმოადგენს იმას, რაც იყვნენ კომუნისტები ელცინის დროს: არაკონსტრუქციულ ოპოზიციას. რაც უნდა გაეკეთებინა პუტინს — ისინი ყველაფერს მასხრად იგდებდნენ. გუსინსკი დროზე უნდა მიმხვდარიყო, რა მოჰყვებოდა ამას. არსებითად, სახელმწიფო ხელისუფლების რეაქცია სწორია, მაგრამ პრაქტიკული განხორციელებაა საშინელი", — განაცხადა მან.


Der Geld-Magnat
Firmenreich des Boris Beresowski
FERNSEHEN
ORT Anteile an dem einflussreichen öffentlich-rechtlichen Fernsehsender
TW 6 Moskwa Sender
HANDEL, BANKEN, INDUSTRIE
Logowas Autohandelskette
Objedinjonny Bank und ein weiteres Finanzinstitut
Immobilienfirmen

ამერიკელებს აბორტი აღარ მოსწონთ

გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსის" 18 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, შეერთებულ შტატებში განუხრელად კლებულობს აბორტების ლეგალიზაციის მომხრეთა რიცხვი. კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 43 პროცენტმა გამოთქვა იმ ფაქტის მოწონება, რომ 1973 წელს აშშ უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო ქალის უფლება, თავისი ნებით შეიწყვიტოს ორსულობა. 1991 წელს აბორტების ლეგალიზაციას მხარს უჭერდა რესპონდენტთა 56 პროცენტი.

ახლანდელ გამოკითხულთა 57 პროცენტმა განაცხადა, რომ აბორტი მკვლელობად მიაჩნია.

ამასთან, იმ ამერიკელებს შორისაც კი, რომლებიც გმობენ ორსულობის შეწყვეტას, უმრავლესობა იზიარებს იმ აზრს, რომ საბოლოო ანგარიშით, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს თვით ქალმა და მისმა მკურნალმა ექიმმა, ხელისუფალთა ჩაურევლად.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამერიკელთა „გულის აყრა" აბორტების კონსტიტუციურ თავისუფლებაზე — ეს არის ბუნებრივი პროცესი, ვინაიდან დღეს ბევრს უკვე აღარც კი ახსოვს, თუ რა პრობლემებს წარმოშობდა ქვეყანაში ორსულობის შეწყვეტის საკანონმდებლო აკრძალვა, რომელიც მთელ რიგ შტატებში არსებობდა 1973 წლამდე.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე. კახა ქორიძე.

განცხადება

ქ. თბილისში 15 წლის და ზემოთ ასაკის მოსახლეობის გადაუდებელი სტაციონარული სამედიცინო დახმარების 2000 წლის მუნიციპალურ სამედიცინო პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელი საკონკურსო პირობების შესახებ

● ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად, დედაქალაქში უნდა განხორციელდეს სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაცია-რაციონალიზაცია, რაც მიზნად ისახავს ზედმეტ საწოლთა ფონდისა და კადრების შემცირებას, რათა სამედიცინო მომსახურების სიმძლავრეები დაბალანსდეს არსებულ მოთხოვნებთან და რესურსებთან, ამაღლდეს სამედიცინო პროგრამების ხარჯთეფექტურობა და სამედიცინო მომსახურების ხარისხი. გამომდინარე აქედან, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური ახორციელებს სელექციურ კონტრაქტირებას იმ სტაციონარულ დაწესებულებებთან, რომლებიც შერჩეული იქნებიან კონკურსის წესით.

თბილისი პირობითად დაიყო 3 ზონად:

№ 1 ზონა მდებარეობს ქალაქის ჩრდილოეთით და მოიცავს გლდანს, მუხიანს, თემქას, სანზონას, დიღომს და დიდ დიღომს, სადაც განსახლებულია დაახლოებით 400.000 მცხოვრები. ამ ზონაში უნდა შეირჩეს ორი მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო;

№ 2 ზონა მდებარეობს თბილისის ცენტრში, იგი მოიცავს ნაძალადევს, ლოტკინის მთას, კუკიას, სვანეთის უბანს, დიდუბეს, ზემო ვეძისს, საბურთალოს, ვერას, ვაკეს, სოლოლაკს, მთაწმინდის უბანს, ბაგებს, დაბა წყნეთს, დელისს და ნუცუბიძის პლატოს. ეს ზონა მჭიდროდ არის დასახლებული 500.000 მოსახლით. მუნიციპალური პროგრამის უზრუნველსაყოფად საკმარისია ორი მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო;

№ 3 ზონა თბილისის სამხრეთით მდებარეობით ნაკლები სიმჭიდროვით არის დასახლებული, ვიდრე № 2 ზონა. ეს ზონა 500.000 მოსახლით მდინარისა და რკინიგზის საშუალებით ორ სექტორადაა დაყოფილი. აღმოსავლეთით მდებარეობს ელია, ვაზისუბანი, ვარკეთილი, ორხევი, თეთრიხევი, ფონიჭალა და ლილო. ზონის ცენტრში მდებარეობს ავლაბარი, ნავთლუღი 1, ნავთლუღი 2, ალექსეევკა და აეროპორტის დასახლება. ამ ზონის დიდ ტერიტორიაზე განფენილობის გამო მუნიციპალური პროგრამის უზრუნველსაყოფად საჭიროა ორი მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო.

● კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში მდებარე ყველა სტაციონარულმა დაწესებულებამ, რომელთაც საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით აქვს მინიჭებული უფლება (ლიცენზია) გაუწიოს მოსახლეობას პროგრამებით გათვალისწინებული სამკურნალო მომსახურება.

● საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას (პირადად ან რეგისტრირებული წერილით) არაუგვიანეს 2000 წლის 30 ივნისის 17.30 საათამდე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში (380060, მიცკევიჩის ქ. № 29 ა).

1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ — (სტანდარტული ფორმა გაიცემა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში) ივსება ხელით, ლურჯი მელნით, ხელს აწერს დაწესებულების უფლებამოსილი პირი და დამოწმებულია ორგანიზაციის ბეჭდით.
2. ცნობა დაწესებულების იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ (სასამართლოს დადგენილების ქსეროასლი, დაწესებულების დებულების ქსეროასლი).
3. სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია (ქსეროასლი).
4. სამედიცინო საქმიანობის პროფილთა სპექტრი (საწოლთა ფონდის მითითებით).
5. სამედიცინო დაწესებულების ჰიგიენური სერტიფიკატი (ქსეროასლი).
6. დაწესებულების რეგისტრაციის მოწმობის ასლი — გაცემული საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.
7. ცნობა 1999 წლის შემოსავლების შესახებ (სახელმწიფო მუნიციპალური პროგრამებით და შიდა სტანდარტებით).
8. 1999 წლის საფინანსო ანგარიშის (ბალანსი დანართებითურთ და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა დაწესებულების 1999 წლის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ) ქსეროასლი დამოწმებული შესაბამისი რაიონის საგადასახადო სამსახურის მიერ.
9. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 14.02.96 № 58/ო ბრძანებით დამტკიცებული ფორმებისა (ფორმა № 1, № 15) და 1999 წლის ჯანდაცვის საქალაქო პროგრამით გათვალისწინებული საფინანსო-სტატისტიკური ანგარიშების წარმოდგენის შესახებ (სათანადო აქტებით).
10. ცნობა მაკონტროლებელი სამსახურების მიერ 1999 წელს დაწესებულებაში ჩატარებული სამედიცინო საქმიანობის ხარისხისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შესახებ.
11. ინფორმაცია პროგრამის დაწყებისათვის სამკურნალო საშუალებების აუცილებელი მარაგის არსებობის შესახებ.
12. ინფორმაცია დაწესებულების სამედიცინო ტექნიკითა და აპარატურით უზრუნველყოფის შესახებ სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და პროფილის შესაბამისად დამოწმებული საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო ტექნიკისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ.
13. ინფორმაცია დაწესებულების სამედიცინო კადრებით (მათ შორის, ლიცენზირებული) უზრუნველყოფის შესახებ პროფილის მიხედვით.
14. მუნიციპალური სტაციონარული სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად 1999 წელს შესრულებული სამუშაოების (ურგენტული და სტანდარტზედა სამედიცინო დახმარების პროგრამით) დამადასტურებელი ურთიერთშედარების აქტი (აგრეთვე, აქტი 2000 წლის ხუთი თვის მდგომარეობით).
15. დაწესებულებების განვითარების პერსპექტიული გეგმა.
16. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ვალდებულია:
    - ა) უზრუნველყოს სამედიცინო დახმარების სათანადო ხარისხისა და საფინანსო დისციპლინის მკაცრი დაცვა;
    - ბ) დადგენილი წესით და პერიოდულობით წარმოადგინოს ინფორმაცია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში.
17. დოკუმენტაცია უნდა იყოს აკინძული საქაღალდეში, ყველა გვერდი უნდა იყოს ხელით დანომრილი თანამიმდევრულად და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით. განაცხადი ორგანიზაციამ უნდა შემოიტანოს სამ ეგზემპლარად (1 ორიგინალი და 2 ქსეროასლი).

საკონკურსო კომისია.

განცხადება

ქ. თბილისის მოსახლეობის სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამაში მონაწილეობისათვის საკონკურსო პირობების შესახებ

1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ — (სტანდარტული ფორმა, გაიცემა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ), ივსება ხელით, ლურჯი მელნით, ხელს აწერს დაწესებულების უფლებამოსილი პირი და დამოწმებულია ორგანიზაციის ბეჭდით.
2. ცნობა დაწესებულების იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ (სასამართლოს დადგენილების ქსეროასლი, დაწესებულების წესდების ქსეროასლი).
3. სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია (ქსეროასლი).
4. დაწესებულების ჰიგიენური სერტიფიკატი (ქსეროასლი), გაცემული სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ტერიტორიული ინსპექციის მიერ.
5. დაწესებულების რეგისტრაციის მოწმობის ასლი — გაცემული საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.
6. ცნობა 1999 წლის შემოსავლების შესახებ. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა დაწესებულების 1999 წლის საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.
7. 1999 წლის საფინანსო ანგარიშის (ბალანსი დანართებითურთ) ქსეროასლი დამოწმებული შესაბამისი რაიონის საგადასახადო სამსახურის მიერ.
8. ცნობა მაკონტროლებელი სამსახურების მიერ 1999 წ. დაწესებულებაში ჩატარებული რევიზიის შესახებ (აქტის ქსეროასლი).
9. ინფორმაცია პროგრამის დაწყებისათვის სამკურნალო საშუალებების აუცილებელი მარაგის არსებობის შესახებ.
10. ინფორმაცია დაწესებულების სამედიცინო ტექნიკითა და აპარატურით უზრუნველყოფის შესახებ, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და პროფილის შესაბამისად, დამოწმებული საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო ტექნიკისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ.
11. ინფორმაცია სანიტარიული ტრანსპორტის შესახებ.
12. ინფორმაცია დაწესებულების სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის შესახებ, პროფილის მიხედვით.
13. დაწესებულებების განვითარების პერსპექტიული გეგმა.
14. დაწესებულების 1999 წლის ძირითადი სამუშაო მაჩვენებლები (მოწოდებული სქემის მიხედვით — ფორმა გაიცემა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში).
15. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ვალდებულია:
    - ა. უზრუნველყოს სამედიცინო დახმარების სათანადო ხარისხისა და საფინანსო დისციპლინის მკაცრი დაცვა;
    - ბ. დაიცვას დადგენილი ანაზღაურების წესი, საკასო დისციპლინა;
    - გ. დადგენილი წესით და პერიოდულობით წარმოადგინოს ინფორმაცია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში.
16. დოკუმენტაცია უნდა იყოს აკინძული საქაღალდეში, ყველა გვერდი უნდა იყოს ხელით დანომრილი თანმიმდევრულად და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით. განაცხადი ორგანიზაციამ უნდა შემოიტანოს სამ ეგზემპლარად (1 ორიგინალი და 2 ქსეროასლი). საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 2000 წლის 30 ივნისის 17.30 საათისა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში (380060, მიცკევიჩის ქ. № 29 ა).

საკონკურსო კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენა

ლეგენდარული გუერას „ლეგენდები კინოზე"

(პირველი გვერდიდან)

მისი მთავარი თემაა კინოდრამატურგის პროფესია, საუბრები XX საუკუნის გამოჩენილ კინორეჟისორებზე და მათთან მუშაობის გამოცდილების გაზიარება. მასტერკლასის მუშაობაში მონაწილეობს სტუდენტების, ასპირანტების, დამწყები სცენარისტების, დრამატურგებისა და რეჟისორების 25-კაციანი ჯგუფი. „ლეგენდები კინოზე" — ასე ჰქვია მასტერკლასს, რომლის ორგანიზატორები არიან ნიდერლანდის სამეფოს საერთაშორისო კულტურული ფონდი „კავკასია", **IBCCP** (საქართველო) და იტალიის საელჩო საქართველოში.

გუშინვე **TMS** გალერეაში გაიმართა გუერას იმ ნამუშევრების გამოფენა, რომლებსაც იგი წლების განმავლობაში ჩუქნიდა თავის ქართველ მეგობრებს. ექსპოზიციაში ჩართულია პასტელით შესრულებული 50-მდე ნახატი.



ტონინო გუერა, უსათაუროდ.

ხვალ კინოთეატრ „რუსთაველში" იწყება ტონინო გუერას სცენარების მიხედვით გადაღებული ფილმების რეტროსპექტული ჩვენება. პირველად ძმები ტავიანების „სან ლორენცოს ღამეს" ვნახავთ (დასაწყისი 19 საათზე), 22 ივნისს ფრანჩესკო როზის „სამ ძმას", 23-ში — თეო ანგელოპულოსის „ულისეს მზერას", 24 ივნისს კი, რეტროსპექტივა დაიხურება ფედერიკო ფელინის ფილმით „და გემი მიცურავს" (დასაწყისი 16 საათზე).

ოთხმოცი წლის ტონინო გუერას „ლეგენდები კინოზე" სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს იმსახურებს. ჩვენ ვაპირებთ დავესწროთ პროგრამით გათვალისწინებულ ყველა აქციას და საგანგებო წერილით გამოვეხმაუროთ მასტერკლასის შედეგებს, შემოგთავაზებთ საუბარს თვით გუერასთან და მასტერკლასის მონაწილეებთან.

გუშინ TMS გალერეაში.

გიორგი ლალიაშვილი.

პრესკონფერენცია

ამიერიდან, ქართული კულტურის სტრატეგიის განსაზღვრაში საზოგადოებრიობაც აქტიურად ჩაერთვება

გუშინ პრესკონფერენცია გამართა საქართველოს კულტურის მინისტრმა **სესილი გოგიბერიძემ**. ეს გახლდათ მისი პირველი საჯარო ანგარიში ამ თანამდებობაზე დანიშვნიდან დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ.

ქალბატონმა სესილიმ რამდენიმე ძირითად საკითხზე ისაუბრა. უწინარესად, შეეხო სამინისტროში დაწყებულ რეორგანიზაციის პროცესს. პირველ ეტაპზე ეს ცვლილებები შეეხო საფინანსო-ეკონომიკურ და საორგანიზაციო სამსახურებს. მალე ამოქმედდება საფინანსო კონტროლის სამსახური, რომელიც დაუქვემდებარდება საფინანსო-ეკონომიკურ სამმართველოს, რაც მინისტრის აზრით, ალკვეთს თანხების არამიზნობრივი ხარჯვის პრეცედენტს.

1 ივლისიდან საქმიანობას იწყებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოც. ამ სამმართველოს მუშაობა არ იქნება ფორმალური, განყენებული — მასში გაერთიანდებიან საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი და სოციოლოგიური კვლევის ჯგუფი, რაც სამინისტროს დაეხმარება კულტურის სფეროს პრიორიტეტების განსაზღვრაში და საზოგადოებრივი აზრის უფრო ფართოდ გათვალისწინებაში, ეს კი, უფრო დინამიკურს გახდის ამ სამსახურის საქმიანობას და ამდენად, კულტურაში მიმდინარე პროცესები უფრო ხილული და ნათელი იქნება ფართო საზოგადოებრიობისთვის. მეტი საჯაროობისთვის სამსახური აქტიურად ითანამშრომლებს მასმედიასთან.

სესილი გოგიბერიძემ ისაუბრა კულტურის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობაზეც. მისი თხოვნით, ფინანსურ საკითხებს უკვე სწავლობს ფინანსთა სამინისტროს კონტროლის კომისია, რომლის მონაცემებით, დღეისთვის სამინისტროს ვალი თითქმის 1 მილიონ ლარს შეადგენს. აღინიშნა ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროს ქმედითი დახმარების მეოხებით, მოხერხდა ერთი თვის ხელფასის დავალიანების დაფარვა კულტურის სფეროს სასწავლო დაწესებულებების, მუზეუმების და მუსიკალური კოლექტივების თანამშრომლებისთვის.

— მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსების იმედად კულტურის სფერო ვერ დარჩება, ამიტომ, აქტიურად ვმუშაობთ პროგრამაზე ალტერნატიული გზების საძიებლად, — თქვა სესილი გოგიბერიძემ. მას დიდად აიმედებს კულტურის განვითარების ფონდის პერსპექტივა და უწინარესად ის ფაქტორი, რომ ფონდის ჩამოყალიბების პროცესში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

კულტურის სამინისტროში ადრეც არსებობდა მრჩეველთა საბჭო. ქალბატონი სესილი მიიჩნევს, რომ საბჭოს საქმიანობა სასწრაფოდ უნდა აღდგეს და იგი ჭეშმარიტად ქმედითუნარიანი უნდა იყოს. შესაძლოა, მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში რამდენიმე ბიზნესმენიც გაერთიანდეს, რადგან დღეისათვის კულტურისა და ბიზნესის ურთიერთობა ძალზე აქტუალურია.

კვლავაც ძალაშია სამინისტროს სფეროში დაწყებული დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და ამ მიმართებით აქტიური თანამშრომლობა მუნიციპალური, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რათა ზოგიერთი დაწესებულება ადგილობრივ დაფინანსებაზე გადაერთოს.

— ბოლო ხანს გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა კულტურის სფეროს უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანება, დეზინფორმაციაა, ასეთი ხმები სიმართლეს არ შეესაბამება, — ამბობს სესილი გოგიბერიძე.

კულტურის მინისტრმა ეროვნული საგანძურის დაცვის შესახებაც ისაუბრა და ყურადღება ორ მომენტზე გაამახვილა: შესაბამისი თანხების უქონლობის გამო უნდა შემცირდეს კულტურის ძეგლებისა და მუზეუმების საპოლიციო დაცვის ლეგიონის შემადგენლობა. ამ პრობლემას შეისწავლის საგანგებო კომისია, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი ჩაუდგა სათავეში. სასიამოვნო და იმავდროულად მნიშვნელოვანი სიახლე — ექსპერტებმა დაასრულეს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში შექმნილი მდგომარეობის შესწავლა და მათი დასკვნის შესაბამისად, უკვე შესაძლებელია ექსპოზიციის გახსნა.

როგორც ჩანს, მალე დაიწყება სერტიფიცირების პროცესიც, რაც ხელს შეუწყობს კულტურის სამინისტროს სწორი პოლიტიკის გატარებაში.

ქალბატონი სესილის ძალისხმევის შედეგად, ინგლისშიც გაიცნობენ პეტრე ოცხელის ნამუშევრებს, რომელთა გამოფენის გახსნა დაგეგმილია ლონდონში ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის დღეებისთვის, 18-19 ივლისს.

ამ ცოტა ხნის წინათ, ჩვენი გაზეთისთვის მოცემულ ინტერვიუში სესილი გოგიბერიძემ აღნიშნა, რომ აპირებს აქტიურ თანამშრომლობას მასმედიასთან, იმ მიზნით, რომ ქართულმა საზოგადოებრიობამ იცოდეს, რას საქმიანობს კულტურის სამინისტრო, რა მდგომარეობაშია ქართული კულტურა და როგორც მინისტრის პირველივე პრესკონფერენციამ ცხადყო, მისი ეს სიტყვები უკვე საქმედ იქცა, რაც გვაიმედებს, რომ ქალბატონი სესილის სიტყვა და საქმე მუდამ ასეთ მიმართებაში იქნება ურთიერთთან.

ზურაბ ოიკაშვილი,
გიორგი ლალიაშვილი.

ტაქსში დაიკარგა შემდეგი დოკუმენტები:

1. სს „კულტსამეურნეო საქონლის" საჯარო რეესტრის ამონაწერი, განაცხადის რეგისტრაციის ნომრით № 2426/99. მისამართი: გულიას ქ. № 1.
2. „ნოვამენეჯმენტ ინქ"-ის სახელზე რუსთავის საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერები განაცხადის რეგისტრაციის ნომრებით № 217/99 თარიღით 22.10.99 წელი, № 218/99 თარიღით 22.10.99 წელი, ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერები № 2848/99, გაცემის თარიღი 20.08.99 წელი, № 2849/99 თარიღით 20.08.99.
3. სს „ლმმმის"-ს სახელზე რუსთავის საჯარო რეესტრის მიერ გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერები: № 246/99-12.10.99 წ. № 248/99 – 12.10.99 წ. № 249/99-12.10.99 წ. № 247/99 12.10.99 წ. № 251/99 12.10.99 წ. № 250/99 12.10.99 წ.

მპოვნელი დასაჩუქრდება.

მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას № 32, ტელ: 94-27-66.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელმა შპს „პრესა-98"-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში – წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი - შპს „საქპრესის" საგაზეთო ჯიხურებში.

ევრო-2000

კომპრომისი რა საკადრისია

17 ივნისს ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის **„ა" ჯგუფში** აღსანიშნავი ფაქტი მოხდა: ინგლისმა 34-წლიანი შესვენების შემდეგ ნანატრი გამარჯვება მოიპოვა გერმანიასთან – 1:0. ამ ქვეყნების სპეციფიური ისტორიული დამოკიდებულების ფონზე პაწია ბელგიურ ქალაქ შარლერუას სტადიონზე დაფიქსირებულ ამ შედეგს, სატურნირო ცხრილის გათვალისწინებით, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. მეტოქეებმა ხომ წარუმატებლად აიღეს სტარტი ამ ფორუმში და შაბათის დუელი მათთვის ერთგვარად „ყოფნა-არყოფნის" დატვირთვასაც იძენდა. გადამწყვეტი გოლი 66-ე წუთზე ბექჰემის საჯარიმოს მოჰყვა, რომელიც შირერის ზუსტი თაურით დაგვირგვინდა. შესვენებამდე მიზანთან ახლოს ოუენიც იყო, მაგრამ მისი თაური სასწაულით მოიგერია კანმა. გერმანელები მხოლოდ მას შემდეგ შეუუცხუნდნენ, რაც მდევრის როლში აღმოჩნდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. იანკერის, ციგეს, შოლისა და რინკის ძალისხმევა საკმარისი არ გამოდგა შეხვედრის გადასარჩენად. დავძენთ, რომ ბუნდესნაკრებში ტრავმირებული კაპიტნის ბირჰოფისა და ჰესლერის ადგილი ამჯერად კირსტენმა და დაისლერმა დაიკავეს (ამ უკანასკნელმა მშვენიერი შთაბეჭდილებაც დატოვა). რაც შეეხება ბრიტანელებს, დაცვის ვეტერანი ბურჯის ადამსის ნაცვლად კიოუნი ირჯებოდა, თუმცა, წარმატებითო, უკვე ჩამოთვლილი მომენტების გამო, ვერ ვიტყვით. სამაგიეროდ, კვლავ ქების ღირსნი არიან ნახევარმცველები და წინა ხაზის მოთამაშენი, განსაკუთრებით – შირერი, რომელიც უნებელი გადაურჩა მასზე გაჩაღებულ ნადირობას. არ დაგავიწყდეთ, რომ კიგანის გუნდს ამ მატჩში მაკმანამანი აკლდა.

გერმანიასთან აღებულმა ქულამ დათვური სამსახური გაუწია რუმინეთის ნაკრებს. ყოველ შემთხვევაში, ის თამაში, რომელიც ბალკანელებმა პორტუგალიასთან აჩვენეს, ძნელად თუ შეიძლება დამაკმაყოფილებლად შეფასდეს. დასტურად მეტოქის კართან შექმნილი კინკილა ხელსაყრელი სიტუაციაც გამოდგება, რომელიც მოლდოვანმა გააცუდა. ისე, მაინცდამაინც, არც პირინეელები იკლავდნენ თავს, თუმცა, ფორტუნამ მსაჯის მიერ დამატებული დროის ბოლო წუთზე სწორედ მათ გაუღიმა – ამ საღამოს უჩვეულოდ პასიური ფიგუს საჯარიმო კოშტინიამ თავით გოლად აქცია – 1:0.

პორტუგალია – 6, ინგლისი – 3, გერმანია, რუმინეთი – თითო ქულა.

დღეს დასკვნით ტურში ითამაშებენ ინგლისი-რუმინეთი, პორტუგალია-გერმანია.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე ტურის შემდეგ მონასტერი **„ბ" ჯგუფშიც** აირია, რასაც ფავორიტების გამოფხიზლებამ შეუწყო ხელი. ეს უპირველესად ესპანეთზე ითქმის, რომელიც საგრძნობ უპირატესობას ფლობდა სლოვენიასთან, თუმცა, მოგება მოკრძალებული გამოუვიდა – 2:1. ეს სამი ქულა მწვრთნელ კამაჩოს დამსახურებაცაა, რომელმაც აღიარა სტარტზე დაშვებული „საკადრო" შეცდომები და კვირას ძირითად შემადგენლობაში დააყენა კანისარესი, მენდიეტა და ალფონსო. გოლები სლავებს რაულმა და ეჩებერიამ გაუტანეს, დამარცხებულთაგან კი თავი ზაჰოვიჩმა ისახელა.

ამდენივე – 3 გატანილი გოლი გაუხდა ბომბარდირთა კიდევ ერთ ლიდერ მილოშევიჩს, რომლის „ქუსლურმაც" იუგოსლავიელბს ნორვეგიასთან მოაგებინა – 1:0. ვუიადინ ბოშკოვის გუნდმა დისკვალიფიცირებული მიხაილოვიჩის გარეშეც შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, თუმცა, ხშირად არც აკრძალულ ილეთებს თაკილობდა (მინდვრიდან კეჟმანი გააძევეს).

იუგოსლავია – 4, ნორვეგია, ესპანეთი – 3-3, სლოვენია – 1 ქულა.

ხვალ ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან იუგოსლავია-ესპანეთი, სლოვენია-ნორვეგია.

გია პლატონიშვილი.

ძიუდო

ათენისთვის აქედანვე ემზადებიან

გასულ უქმეებზე დიღმის სპორტკომპლექსის საჭიდაო დარბაზში 145 ძიუდოისტი შეიკრიბა ქუთაისიდან, საგარეჯოდან, თერჯოლიდან, თბილისიდან, ვანიდან, მარნეულიდან, გარდაბნიდან, გორიდან, რათა გამოევლინათ გამარჯვებულები შვიდ წონით კატეგორიაში საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის.

18-19 წლის მოჭიდავეები 2004 წლის ათენის XXVIII ოლიმპიური თამაშების სავარაუდო მონაწილენი და, ვიმედოვნებთ, მომავალი ოლიმპიური მედალოსნებიც არიან...

საქართველოს 2000 წლის ახალგაზრდა ძიუდოისტთა პირველობის გამარჯვებულნი გახდნენ: ვახტანგ ხოსიტაშვილი (60 კგ. საგარეჯო), ზურაბ ბაბლუანი (66 კგ. მარნეული), დათო სეფისკვერაძე (73 კგ. ქუთაისი), გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ. თერჯოლა), იმედო იმედაშვილი (90 კგ.), ლაშა ფეიქრიშვილი (100 კგ.), დათო ხაბულიანი (+100 კგ. ყველა – თბილისი).

საქართველოს ახალგაზრდული პირველობის შესახებ ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **შოთა ხაბარელმა** გვითხრა:

– ყველა წონით კატეგორიაში ტექნიკურად საკმაოდ მომზადებული პრიზიორები გამოვლინდნენ, რაც ჩვენი ძიუდოს საიმედო მომავალზე მიგვანიშნებს. ამას გარდა, გამოვყოფდი თერჯოლელ გრიგოლ მამრიკიშვილს და 18 წლის თელაველ ზვიად ხანჯალიაშვილს (წონა – 130 კგ, სიმაღლე – 205 სმ.). ზვიადმა, თუმცა, მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა, მაგრამ ხვალ-ზეგ მისგან უკეთეს შედეგებს ველით...

ბესიკ გაბრიაძე.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

კენეთ კუპერი — თქვენი ჯანმრთელობისთვის

პუბლიკაცია მომზადებულია ფონდ „რეაბის" და საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების ხელშეწყობით. დასაწყისი იხ. „სრ" № 120, 128-129, 150.

აერობული პოტენციალის მქონე ვარჯიშთაგან, ეფექტიანობის მიხედვით, კენეთ კუპერი რამდენიმე სახეობას გამოყოფს. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს **ფეხით სიარულს**, რადგან მოსახერხებელია ნებისმიერ ადგილას და სპეციალური ჩაცმულობაც არ სჭირდება. მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ სათანადო ეფექტის მისაღწევად სამჯერ მეტი დროა საჭირო, ვიდრე, ვთქვათ, ცურვისას, თხილამურებით თუ ველოსიპედით ვარჯიშისას.

ფეხით სიარულთან შედარებით წრთვნის უფრო ეფექტიანი საშუალებებია **სირბილი და ძუნძული**. მოსახლეობის უმრავლესობა კი სიამოვნებით ირჩევს ვარჯიშის ამ სახეობებს.

სირბილთან დაკავშირებული ტრავმები, უმთავრესად, არასაკმარისი მოთელვის ან გადაჭარბებული ვარჯიშის შედეგია. კუპერს მიაჩნია, რომ სირბილი და ძუნძული საგრძნობლად ამცირებს ორგანიზმზე ბუნებრივი დაბერებით გამოწვეულ უარყოფით გავლენას.

დღემდე ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სპორტის სახეობების გარდა, ორგანიზმის გასაკაჟებლად სასურველ შედეგს იძლევა, მაგალითად, ჩოგბურთი, ხელბურთი, სახტუნელათი ვარჯიში, გორგოლაჭებიანი ციგურებით სირბილი, თქვენ წარმოიდგინეთ, კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლაც კი. მთავარია, ივარჯიშოთ სისტემატურად, მეტი სიამოვნების მისაღებად, პერიოდულად ცვალოთ სპორტის სახეობები გემოვნებისამებრ. ოღონდ, უნდა დაიცვათ შესასრულებელი სამუშაოს ის მოცულობა, რომელიც ცხრილშია მოცემული.

ამჯერად გთავაზობთ კუპერის წიგნიდან 30 წლამდე მოვარჯიშეთათვის კიბეებზე სიარულის ნორმატივებს:

კიბეებზე სიარულის პროგრამა

კვირა	საფეხურების მარშის რაოდ. წთ-ში	დრო წთ	მეცადინეობა კვირაში	ქულები კვირაში
1	5	10.00	3	0
2	5	10.00	3	0
3	5	10.00	3	0
4.	5	12.00	3	0
5.	5	12.00	3	0
6.	5	12.00	3	0
7	6	8.30	4	8.0
8.	6	9.30	4	9.0
9.	7	10.00	5	16.6
10.	7	10.30	5	17.5
11	8	11.30	5	26.2
12	8	13.00	5	29.5

1 მარში უდრის 10 საფეხურს, 1 საფეხურის სიმაღლე 10 სმ, კუთხე – 25-30 გრადუსი.

ყოველი მხრიდან

ისევ შუმახერი!

ტყუილად კი არ მიაჩნდათ „ფერარის" პილოტი მიხაელ შუმახერი „კანადის გრან-პრის" – „ფორმულა-1"-ის მსოფლიოს 51-ე ჩემპიონატის მერვე ეტაპის მთავარ ფავორიტად. ბოლო ექვსი წლის მანძილზე მან ხომ უკვე სამჯერ გაიმარჯვა აქაურ ავტორბოლებში.



მთავარი რბოლის წინ პირველ „მოთელვაში" თუ იგი რაღაც 0,009 წამის გამო მხოლოდ მეორე იყო, შაბათის კვალიფიკაციაში პირველობა არავის დაუთმო. დაძაბულ პაექრობაში 1.18.439 აჩვენა და უკან ჩამოიტოვა მთავარი მეტოქეები – „მაკლარენის" მრბოლელები დევიდ კულტჰარდი და მიკა ჰაკინენი, აგრეთვე თავისი თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო.

კვირას კი (როცა ჩვენთან ორშაბათი თენდებოდა) მონრეალში, ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე მთავარმა ფავორიტმა უკვე მეოთხე „კანადური" გამარჯვება იზეიმა.

ახლა საერთო ჩათვლაში გერმანელი პილოტი 22 ქულით უსწრებს დევიდ კულტჰარდს, მიკა ჰაკინენი კი 24 ქულით ჩამორჩება მთავარ მეტოქეს.

სურათზე: „ფორმულა-1"-ის კანადური რბოლის გმირი მიხაელ შუმახერი.

უეფას პროტესტი

კვირა საღამოს ლიეჟში გამართულ საგანგებო სხდომაზე ევროპული ფეხბურთის შტაბმა – **უეფამ** დიდი ბრიტანეთის მთავრობასა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მოუწოდა, დაუყოვნებელი ზომები მიიღონ საზღვარგარეთ საფეხბურთო ხულიგნების გასვლის აღსაკვეთად.

ისეთი სერიოზული ინციდენტების გამეორების შემთხვევაში, როგორიც ბოლო 48 საათის განმავლობაში მოხდა ბელგიაში, **უეფა** იტოვებს უფლებას, განიხილოს ევრო-2000-ში ინგლისის ნაკრების შემდგომი მონაწილეობის საკითხი.

როგორც მოელოდნენ, ძველი მეტოქეების – ინგლისისა და გერმანიის ნაკრებების შეხვედრა დიდ აურზაურს გამოიწვევდა. ასეც მოხდა – ჩალეწილი ვიტრინები, სისხლით მოსვრილი ქუჩებია ამის მოწმე. ბელგიური გაზეთების ცნობით, მხოლოდ პარასკევს ბრიუსელში დააპატიმრეს 374 ინგლისელი ფანი, ხოლო შარლერუაში – 98. აქვე გამოქვეყნებული ფოტო (ბოდიში მისი ხარისხის გამო!) მოწმობს, თუ როგორ აღნიშნეს ფეხბურთის სამშობლოს ფანატიკოსებმა 34 წლის შემდეგ გერმანიის ნაკრებზე პირველი გამარჯვება.

დამარცხება – 20 მილიონად

„ოქროს ბიჭუნად" წოდებული მოკრივე – მსოფლიოს ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში **WBC** ვერსიით ოსკარ დე ლა ჰოია, როგორც ეტყობა, თანდათან თმობს პოზიციებს. შარშან, 18 სექტემბერს იგი პუერტორიკოელ ფელიქს ტრინიდადთან დამარცხდა.

ახლა „ოქროს ბიჭუნა" თანამედროვე რინგის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს შეინ მოსლის შეხვდა. ეს უკანასკნელი მსუბუქ წონაში **IBF** ვერსიით იყო ჩემპიონი. მაგრამ ყველა ღონე იხმარა, რათა ოსკარს შეხვედროდა.

ბრძოლა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა პირველ ხანებში ოსკარი მაინც გამოირჩეოდა. მაგრამ მე-6 რაუნდის შემდეგ მოსლიმ ხელთ იგდო ინიციატივა, განსაკუთრებით იაქტიურა მე-7 და მე-9 რაუნდებში. მე-11 რაუნდში მდგომარეობა ისევ გათანაბრდა.

ყველაფერი მე-12 რაუნდს უნდა გადაეწყვიტა, სადაც მოსლის უპირატესობა აშკარა იყო, ერთმა მსაჯმა გამარჯვება მაინც ჰოიას არგუნა. რასაკვირველია, გადასწონა ორი მსაჯის აზრმა და მოსლიმ გაიმარჯვა.

კონტრაქტის თანახმად, გაიმართება მატჩი-რევანშიც. მართალია, „ოქროს ბიჭუნა" დამარცხდა, მაგრამ მისი ჰონორარი გაცილებით მაღალია. წინასწარი მონაცემებით, იგი 22 მილიონ დოლარს მიიღებს, გამარჯვებული კი მხოლოდ 8 მილიონით უნდა დაკმაყოფილდეს.

სპორტის რედაქცია.

ფეხბურთი

„ფეშეემი" ლიეჟშიც არსებობს

თავის დროზე ლიეჟის „სტანდარდს" მრისხანე თბილისის „დინამომ" ვერაფერი დააკლო და, ალბათ, მასთან გასულ კვირას ინტერტოტოს თასზე შინ გამოცხობილ ფრეს – 2:2, გარკვეულ წარმატებად მივიჩნევდით, რომ არა ერთი გარემოება: სტუმრები საქართველოს დედაქალაქში, კაცმა არ იცის, რომელი შემადგენლობით ჩამოვიდნენ (ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის ნამუსის მომწმენდი მეორე გუნდი დაგვიპირისპირდა). ყურადღებას იმსახურებს ბელგიელთა ჭაბუკური ასაკიც – უწვერულვაშო ყმაწვილებმა ვაჟკაცური ბრძოლა გაუმართეს ვეტერანებით შეკმაზულ მასპინძლებს და მორიგი სირცხვილი აჭამეს. შესვენებამდე რევაზ არველაძის ზუსტი გადაცემები გოლებად გოგოლაძემ და ზირაქიშვილმა აქციეს – 2:0, მაგრამ... მატჩის მიწურულს პასკუალინომ და ფლიორკინმა ტრიბუნებს გამი მოწყვიტეს. ისრაელის მსაჯთა ბრიგადის ლაფსუსები გამამართლებელ საბუთად არ გამოგვადგება. საპასუხო მეხვედრა 25 ივნისს გაიმართება.

გაუწყებთ პირველი რაუნდის სხვა შედეგებსაც:

„ფლორიანა" – „სტაბეკი" 1:1,
„ზაგლებე" – „ვილაში" 4:0,
„გლენავონი" – „სლავენი" 1:1,
„ლარნაკა" – „ელაჟნია" 4:1,
„დნეპრტრანსმაში" – „სილკებორგი" 2:1,
„სიბალია" – „ობილიჩი" 3:1,
„პელისტერი" – „პობშაიდი" 3:1,
„პრიმორიე" – „ვესტერლო" 5:0,
„დუკლა" – „დინაბურგი" 0:0,
„ქუიმბრანი" – „ნისტრუ" 0:1,
„არაქსი" – „სიგმა" 1:2,
„პაფნარი" – „ტატაბანია" 0:4,
„უნივერსიტი" – „კიუშტენდილი" 3:3,
„ნარვა" – „ჩახლაული" 1:4,
„ფრიოლუნდა" – „მოსტარი" 1:0,
„მიუპა" – „ქსამაქსი" 1:2,
„ქოჯაელისფორი" – „ატლანტასი" 0:1,
„ლეიფტური" – „ლიუცერნი" 2:2,
„ლინცერი" – „პაპოელი" 2:1.

თათია კობრეშვილი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ანონსი

იწყება გივი ჩოხელის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში

მიმდინარე წლის 21-27 ივნისს თბილისში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპორტულ კომპლექსში (სანდრო ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორია) გაიმართება სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ყოფილი წევრის, ევროპის 1960 წლის ჩემპიონის, ღირსეული მოქალაქის, პოლიციის პოლკოვნიკ **გივი ჩოხელის** სახელობის ტრადიციული ტურნირი მინი-ფეხბურთში.

ტურნირში მონაწილეობენ: შსს ცენტრალური აპარატის, ქალაქის მთავარი სამმართველოს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს, დაცვის პოლიციის მთავარი სამმართველოს, შსს აკადემიის, უნივერსიტეტ „აჭარის", შინაგანი ჯარებისა და თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები.

გათამაშებაში გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება გივი ჩოხელის სახელობის გარდამავალი თასით და პირველი ხარისხის დიპლომით. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები კი – შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და საჩუქრებით. გათამაშებაში დაწესებულია სხვადასხვა პრიზები.

გივი ჩოხელის სახელობის ტურნირის ორგანიზატორია საქართველოს შსს აკადემია.

მატჩების დასაწყისი 15 საათზე.

შსს აკადემიის პრესცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 164. სამშაბათი, 20 ივნისი, 2000 წელი

ალბომი

ყველას რამე აქვს სახსოვარი

ხულოს რაიონის მცხოვრები ინუს მახარაძე და მისი შვილიშვილი, ამჟამად პროფესორი, ფილოსოფოსი მიხეილ მახარაძე. სურათი გადაღებულია 1973 წელს თბილისში. მაშინ 80 წლის მოხუცი სპეციალურად ჩამოსულა დედაქალაქში მეტროს დასათვალიერებლად.

სურათი მოგვაწოდა ლევან მახარაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ღიმილის დოზა

— როგორ გაუკვირდება დედას! — ეუბნება შვილი მამას, რომელსაც კარი გაუღო, — ერთი საათის წინათ დედამ შენთან ლაპარაკი დაიწყო და ჯერაც არ დაუმთავრებია...

* * *

— ბეთაყვა, ხომ არა გყავთ ყვითელი კანარის ჩიტები? — ხანდაზმული ქალბატონი ეკითხება ზოომაღაზიის გამყიდველს.

— არა. სამაგიეროდ შემიძლია შემოგთავაზოთ მწვანე თუთიყუშები.

— მწვანე თუთიყუშები რად მინდა?



— მწვანე თუთიყუშები შეგიძლიათ წარმოიდგინოთ როგორც მკვახე კანარის ჩიტები, რომლებიც დამწიფებასდა ელიან.

* * *

ცოლ-ქმარი პარკში სეირნობს. ირგვლივ გოგოები ცქრიალებენ. ქმარი ნერწყვებს ყლაპავს.

ცოლი:

— მაღა გაგელევიძა, ხომ? ჭამა მაინც სახლში მოგიწევს.

შორს სიბერე!

სალამი ხანშიშესულ მამაკაცებს!

უდავოა, რომ ასაკის მიხედვით იცვლება ადამიანის მორფოლოგიური, ბიო-ფიზიოლოგიური, ენდოკრინული და ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

თუ მას ადრეულ ასაკში აქვს სწრაფი ზრდის ტენდენცია, ხანდაზმულობის პერიოდში, რომელიც იწყება 50-60 წლიდან და გრძელდება 80-100 წლამდე და ზოგჯერ მეტ ხანსაც, ადგილი აქვს ინვოლუციურ-მოხუცებულობის პერიოდის ბიო-მორფო, ენდოკრინულ და ფსიქოსექსუალურ ცვლილებებს.

ასაკის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ცვლილებები კლინიკურად და ფიზიკურად ყველა მოხუცებულში ერთდროულად და ერთნაირად არ მიმდინარეობს, ზოგი 70-80 წლის ასაკში, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოსექსუალურად, დამაკმაყოფილებლად გრძნობს თავს, ზოგს კი 50-60 წლის ასაკში სჭირდება სათანადო დახმარება.

ადამიანის — მომავალი მოქალაქის ჯანმრთელობა საერთოდ დამოკიდებულია თანდაყოლილ და შეძენილ გენეტიკურ, მორფო-ფიზიოლოგიურ, ენდოკრინულ, ფსიქოლოგიურ და ცხოვრებისეულ რეჟიმზე.

საერთოდ, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და ჯანმრთელ მოხუცებულობაზე დიდი ზეგავლენა აქვს, თუ როგორი იყო ადამიანის ზრდა-განვითარება და როგორ საყოფაცხოვრებო და შრომით რეჟიმში ცხოვრობდა.

ინვოლუციურ-მოხუცებულობის პერიოდში ხდება ბიოლოგიურად ორგანიზმის ყველა ფუნქციის, მათ შორის, სასქესო ორგანოების ცვლილებები. მოცულობაში მცირდება სათესლე ჯირკვლები, ქვეითდება კონსისტენცია და მგრძნობელობა, ასოს და სათესლე პარკის ტონუსი.

ამ დროს ხშირია დეპრესია, მელანქოლია, ემოციური ლაბილობა, მეხსიერების დაქვეითება, მხედველობის, სმენის და შრომის უნარის საგრძნობლად შემცირება. ირღვევა სისხლძარღვთა სისტემის ნორმალური მდგომარეობა...

ხანდაზმულობასა და სიბერეს შორის დიდი სხვაობაა, ხანდაზმულ-მოხუცებულ ადამიანში ასაკის შედეგად ბიო-ფიზიოლოგიური ცვლილებები ჯერ კიდევ ვერ იწვევს იმ ცვლილებებს, რომელიც დამახასიათებელია სიბერისათვის:

მეხსიერების, მეტყველების, აზროვნების, გარემოში ორიენტაციის, შრომის უნარის დაქვეითება, რასაც თან სდევს ასექსუალობა (თუმცა, იშვიათ შემთხვევაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს სკლეროზულ ჰიპერსექსუალურ გამოვლინებას).

ამგვარად, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ სიბერეს. დროს ვერ შევაჩერებთ. იგი ჩვენზე არ არის დამოკიდებული და ხანდაზმულობას ვერ გავექცევით, იგი სიცოცხლის თანამგზავრია, მაგრამ ვებრძოლოთ სიბერეს, ვიყოთ ხანდაზმული სრულყოფილი მოხუცი და არა ბებერი, ბევრადაა ჩვენზე დამოკიდებული.

მოხუცებულობის პერიოდში სიცოცხლეს თავისებური სილამაზე და ინტერესი აქვს. ადამიანი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ საჭიროა, მის გამოცდილებას, სითბოს, თავისებურ სიყვარულს. ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

ამიტომ ჩვენი მიზანია, ხანდაზმულობაში მოხუცებულობა-სიბერე მინიმუმამდე დავიყვანოთ.

მე, როგორც სპეციალისტს, ხშირად მაქვს საქმე მოხუცებულ პაციენტებთან და მათი კომპლექსური მკურნალობა და პაციენტის დამაჯერებელი რეჟიმი სრულ გარანტიას იძლევა შორს იყოს სიბერისაგან.

მოხუცებულში ბიოლოგიურად მცირდება სასქესო ჯირკვლების ფუნქცია — მისი ჰორმოპოსეკრეცია. ანდროგენებს — მამაკაცის ჰორმონებს დიდი მნიშვნელობა აქვს მამაკაცის ნორმალური ფიზიკური და ფსიქოსექსუალური მდგომარეობისათვის. სასქესო ჰორმონების საჭირო რაოდენობით ორგანიზმში არსებობა და ზომიერი სქესობრივი კავშირი ერთ-ერთი ანტისკლეროზული და სიბერის საწინააღმდეგო საშუალებაა.

ამიტომ სამკურნალოდ ჰორმონების ზომიერი გამოყენება სხვა სამკურნალწამლო საშუალებებთან ერთად იძლევა დამაჯერებელ დადებით შედეგს. დღეისათვის ბევრი ახალი სამკურნალწამლო საშუალებაა და მათი დროული და მიზნობრივი გამოყენება დაგვიცავს სიბერისაგან.

ამიტომ ხანდაზმულებს მოგესალმებით და მოგიწოდებთ, იცხოვროთ დღეგრძელად — გემრიელი მოხუცებულობა, შორს სიბერე!

გიორგი ფოფხაძე,
უხუცესი სექსოპათოლოგი,
რესპუბლიკის
დამსახურებული ექიმი,
მედიცინის მეცნიერებათა
კანდიდატი.

ცაციები

მათ უკეთესი კოცნა იციან და... კოცონზეც წვავენ

„ნატურალისტების დაკვირვებით ცნობილია, რომ ბუნებაში მოძრაობა მარჯვნიდან მარცხნივ მიიმართება. ყველა მნათობი და მათი თანამგზავრები წრიულ გზას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შემოხაზავენ. ადამიანს მარჯვენა ხელი უფრო განვითარებული აქვს, ვიდრე მარცხენა... ნიჟარის ხვეულები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მარჯვნიდან მარცხნივ ეხვევა და თუ შეხვდებათ „ცაცია" ნიჟარა, მკოდნენი მას ოქროს ფასს ადებენ" — წერდა ჟიულ ვერნი. კაცობრიობის ისტორიაში ცოტა როდი იყო ცაცია ადამიანი, რომელსაც შეიძლება ოქროს ფასი დაადოთ.

ბევრი გამოჩენილი მხედართმთავარი ცაცია იყო. მათ შორის არიან: იულიუს ცეზარი, ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონ ბონაპარტი. ჟანა დ' არკის ცხოვრებაში კი ცაციაობამ საბედისწერო როლი ითამაშა. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ იგი დაწვეს როგორც კუდიანი ძირითადად ამ მდგომარეობის გამო.

მარცხნიდან დარტყმა ცნობილი ჩოგბურთელი ქალის მარტინა ნავრატილოვას საფირმო ხერხია. მან 9-ჯერ მოიგო „უიმბლდონი" და 18-ჯერ „დიდი მუზარადი". ხოლო მეორე ცაცია ჩოგბურთელს როდ ლეივერს ინგლისურმა ჟურნალმა „ეისმა" უწოდა „ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო ჩოგბურთელი".

არცთუ ცოტა გამოჩენილი პოლიტიკოსიც ცაცია იყო. მაგალითად, ბენჟამინ ფრანკლინი, დედოფალი ვიქტორია, ჰარი ტრუმენი, ფიდელ კასტრო, ბენიამინ ნეთანიაჰუ. ხოლო 80-იანი წლებიდან მოყოლებული შეერთებული შტატების სათავეში მხოლოდ ცაციები დგანან — ჯორჯ ბუში, რონალდ რეიგანი, ბილ კლინტონი. იმაზე ჩაფიქრებაც ღირს, რომ ალბერტ გორი, რომელსაც პოლიტიკური ანალიტიკოსები საუკეთესო შედეგებს უწინასწარმეტყველებენ მომავალ შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნებში, ისევ და ისევ ცაციაა.

აზროვნების ხატოვნება, აღრეული შემოქმედებითი საწყისები, რაც ცაციებისთვისაა დამახასიათებელი, ხელს უწყობდა იმას, რომ მათგან გამოსულიყო შესანიშნავი მსახიობების მთელი არმია; ჩარლი ჩაპლინი, გრეტა გარბო, რობერტ დე ნირო, ჯულია რობერტსი, რობერტ რედფორდი, ვუპი გოლდბერგი, სილვესტერ სტალონე, ბრიუს უილისი, ტომ კრუზი, დემი მური. ცაცია მერილინ მონროს ეკუთვნის საინტერესო დაკვირვება ცაციავე თვისტომებზე. XX საუკუნის სექს-სიმბოლოს მიაჩნდა, რომ ცაციები გაცილებით უკეთ კოცნიან, ვიდრე „მემარჯვენეები".

ცაციათა პოეტურმა ნატურამ მსოფლიოს მისცა უამრავი „მემარცხენე" ხელოვნების ოსტატი (ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, რუბენსი, პაბლო პიკასო), მწერალი (ლუის კეროლი და ფრანც კაფკა) და მუსიკოსი (მოცარტი, ბეთჰოვენი, ჯიმი ჰენდრიქსი, პოლ მაკარტნი, რინგო სტარი, პოლ საიმონი).

გამოჩენილ მეწარმეთა მორის კი ცაციები არცთუ ბევრია. როგორც ჩანს, აქ გავლენას ახდენს „მემარცხენე" ხალხში ლოგიკური აზროვნების უქონლობა ამ სიტყვის საერთოდ მიღებული მნიშვნელობით. ბიზნესი ვითარდება თავისი კანონებით, ძირითადად „მემარჯვენეებისაგან" რომაა მოფიქრებული. სხვათა შორის, არასტანდარტული ნაბიჯები, რაც ცაციებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, აქ აკრძალული არაა და როგორც გამოჩენილი ცაცია მდიდრების — ჯერალდ და ჰენრი ფორდები, როკფელერი, ბილ გეიტსი — სახელები მოწმობს, მას ზღაპრული მოგება მოაქვს.

ალბათ, ლოგიკასთან მწყრალად იყვნენ ცაცია სწავლულებიც. ეს სიაც ერთობ მოკლეა, მაგრამ, ნახეთ, რა სახელებია: აინშტაინი და მეიცერი.

სხვათა შორის, იმის გამო, რომ ვლადიმერ პუტინი საათს მარჯვენა ხელზე ატარებს, ბევრმა დაასკვნა, რომ ისიც ცაციაა. ტყუილი გამოდგა, უბრალოდ „მემარჯვენე" ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ასე ურჩევნია დროზე დაკვირვება. საწყენი კია — იქნებ ამერიკული აყვავების გზაზე რუსეთიც დამდგარიყო.

სურათებზე: სახელოვანი ცაციები.

გამოიწერეთ გაზეთი
მშვიდობა ყოველთა
თქვენი და თქვენი ოჯახის
ყველაზე მშვიდობიანი მეგზური
დღევანდელობასა და წარსულში;
პოლიტიკასა და ეკონომიკაში;
ლიტერატურასა და ხელოვნებაში;
მოდის სამყაროსა და, ასე განსაჯეთ, სამზარეულოშიც კი...
სამი თვით — 1,80,
ექვსი თვით — 3,60,
ერთი წლით — 7,20.

ყველა ქართველი პოეტია

გრძნობაც უნდა ააგორო

ფიქრი უნდა ააგორო,
ფიქრი უნდა აწვალო,
ფიქრი უნდა დაალევინო
და ბოლომდე დაცალო.

წიგნად უნდა გადაშალო,
გადაფურცლო ველებად,
ხან მარცვლებად უნდა დაჰყო,
ხან კი ხმოვან ბგერებად.

გააცოცხლო ხელის გულზე,
ვერ ძღებოდე ყურებით,
ლექსად უნდა გამოაცხო,
როგორც დედას პურები.

იქნებ გრძნობად გადაიქცეს,
იქნებ გახდეს ზიარი,
რომ სურვილი არ გაგიქრეს,
კვლავაც ფიქრის ტრიალის.

გრძნობაც უნდა ააგორო,
გრძნობაც უნდა აწვალო,
გრძნობაც უნდა დაალევინო
და ბოლომდე დაცალო.

თამაზ მაზმიშვილი.

კონკურსი

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები გიწვევთ აუქციონებსა და კონკურსებზე

რაიონი	ობიექტი	საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ) დოლარებში
თბილისი	ს/ს "ტრანსმშენის" ბალანსზე რიცხული დ. გურამიშვილის გამზ. №70-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 15 კვ.მ. არასაცხ. ფართი	500
	ს/ს "საქტრაქტორის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებ. აქციათა პაკეტის (3098070 ცალი აქცია, საწესდებო კაპიტალის 50, 23%)	1600000
	საქ-ს თავდაცვის სამინისტროს ბალ. რიცხ. ქ. თბილისის მთაწმინდის რ-ის სტალინის საზ. სანაპირო №6-ში მდებ. შენობა (პნევმატური ტირი 31,68)	645,4
	შ.პ.ს. "რევმატოლოგიური ცენტრის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი (100%), უზნაძის ქ. №51	54900
	შ.პ.ს. " №1 სამშობიარო სახლის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი (100%), ცოტნე დადიანის ქ. №254	226930
	შ.პ.ს."კარდიოლოგიური საავადმყოფოს" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი (100%), უზნაძის ქ. №49	80790
	შ.პ.ს."საქმედტექნიკის" საწესდებო კაპიტალის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი (51,96%), ლალიძის ქ. №12	4251
	შ.პ.ს. "ბავშვთა №1 პოლიკლინიკის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი (100%), ხუდადოვის ქ. №10	19255
თეთრიწყარო	ასურეთის სახელმწიფო საწარმოს მეწველი საქონლის ბინა	1304
	თეთრიწყაროს სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი ძველი ფერმა	145
	თეთრიწყაროს სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი ფარდული არნაუთში	905
	ორბეთის სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი შხამქიმიკატების საწყობი	243,2
	ორბეთის სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი ხორბლის საწყობი	393
	ორბეთის სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი კარტოფილის საწყობი	2403
	ორბეთის სახ. მეურნეობის კუთვნილი კომბ. საკვების საწყობი (ავარიული)	242
	ორბეთის სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი საშრობი ფარდული კალოზე	1122,4
	ორბეთის სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი ავეჯის საამქრო	489
	ორბეთის სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი მუშათა სასადილო	502
	ორბეთის სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი ფინური სახლი	400
	ორბეთის სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი რძის მიმღები პუნქტი	292,3
	თეთრიწყაროს მეფრინველეობის სანაშენე ქ-ნის კუთვნილი ძვ. საფრინველე	567,3
	თეთრიწყაროს საგზაო სამმართვ. კუთვნილი ასფალტ-ბეტონის ქარხანა	6006
	ასურეთის სახ. საწარმოს კუთვნილი მოზარდის ორი ფერმა	683
	ასურეთის სახ. საწარმოს კუთვნილი საკვების დამამუშავებელი საამქრო	230,5
	პ/თონეთის სახ. მეურნ. კუთვნილი სალორე 32 დ/ლორზე	504
	პ/თონეთის სახ. მეურნ. კუთვნილი საყარაულო ოთახი	22
	პ/თონეთის სახ. მეურნ. კუთვნილი საძროხე 200 სულზე	1927
	თეთრიწყაროს მტპ საწარმოს კუთვნილი ასურეთის სახ. საწ. კუთვნილი ცხვრის ბინა იალღუჯაზე №29 ნაკვეთში	267
	თეთრიწყაროს მტპ საწარმოს კუთვნ. თ/წყაროს სახ. მეურნეობის საქვაბე	182
	თ/წყაროს მტპ საწარმოს კუთვნ. სამშვილდის სახ. მეურნ. მეღორეობის გ-ბა	1144,2
	თ/წყაროს მტპ საწარმოს კუთვნ. ღოუბნის სახ. მეურნ. მესაქონლეობის გ-ბა	636
დედოფლისწყარო	მელიორაციისა და წყალთამეურნეობის სამმ. ფიროსმანის დამხმარე მეურნეობა	17639
ახალციხე	ყოფილი საწყობის შენობა (ივ. ახალციხელის ქუჩა)	128
	საწყობი ქ. ვალეში (9 აპრილის ქ. №2)	1965
	"სანკვანძის" შენობა (ივერიელის ქუჩა)	101
	ახალციხის სტომატოლოგ. პოლიკლ.-ის ქონების(აქტ-რი და პას-რი ნაწ.) 66%	2720
	სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს შენობა	137
	შ.პ.ს. "ახალციხეტრანსის" კუთვნ. სათაო შენობა, საყარ-ო ჯიხურთან ერთად	480
	შ.პ.ს. "ახალციხეტრანსის" კუთვნილი სამექანიკოსო	152
	შ.პ.ს. "ახალციხეტრანსის" კუთვნილი სარემონტო ფარდული	202
	შ.პ.ს. "ახალციხეტრანსის" კუთვნილი ფარდული №1	126
	შ.პ.ს. "ახალციხეტრანსის" კუთვნილი ფარდული №2	152
	შ.პ.ს. "ახალციხეტრანსის" კუთვნილი ფარდული №3	101
	შ.პ.ს. "ახალციხეტრანსის" კუთვნილი ფარდული №4	101
	"ქალაქვაჭრობის" სალორე	114
	შ.პ.ს. "სხვილისი 2000"-ის კუთვნილი საძროხე 200 სულზე	9587
ჭიათურა	სახელმწიფო საწარმო "პასიეთი"	5461,5
	შ.პ.ს. "ანარეკლის" ბალ. რიცხ. №2 კომბ-ტის შენობა და საწარმოო კომბ-ტი	5522
	ჭიათურის ავტოტექმომსახურება საჩხერის გზატკეცილზე	232,2
	არასაცხოვრებელი ფართები: თხელიძის ქ. №43-ში, ტაბიძის ქ. №7, 8, 12-ში, გოგებაშვილის ქ. №31-ში, ბარათაშვილის ქ. №4-ში, ნიკოპოლის ქ. №12-ში, 9 აპრილის ქ. №30, იაშვილის ქუჩაზე	172,4-დან 2334,8-მდე
	მაღაზია №40 (ფრანგიშვილის ქ. №40)	331,3
	თონის შენობა (ჭავჭავაძის ქუჩა)	293,8
	სადურგლო საამქრო (ჭავჭავაძის ქუჩა)	187,4
გარდაბანი	შ.პ.ს. "გარდაბნის პურის საცხობის" სახელმწიფო წილი 66,49%	1772
	ქ. გარდაბნის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაუმთავრებელი მშენებლობა	1831
	შ.პ.ს. "მარტყოფის მებოსტნ. მეურნ." საწესდებო კაპიტ. სახელ. წილი (49%)	16515
	ვარკეთილის მევ. სახ. მეურნეობის ბალანსზე რიცხული საძროხე (ფიცრის)	335
	ა/სამგორის მერძ.-მებოსტნ-ს საზ. მეურნ. ბალ.რიცხ. ბოსტნ. შესანახი საწყობი	448
	ვარკეთილის მევენახეობის საზ. მეურნ. ბალანსზე რიცხული ტარის საწყობი	1210
	შ.პ.ს. "ნორიოს" ბალანსზე რიცხული საყოფაცხ. მომსახურების სახლი	201
	შ.პ.ს. "ნორიოს" ბალანსზე რიცხული საძროხე №4	2409
	ვარკეთილის საზ. მეურნეობის ბალანსზე რიცხული საძროხე სოფ. ქვიშიანში	2342
	ა/სამგორის მერძ.-მებოსტნ-ს საზ. მეურნ-ს ბალ. რიცხ. მინერ. სასუქ. საწყობი	2065
	შ.პ.ს. " ახალი სამგორის" ბალანსზე რიცხული საბრიგადო სახლის შენობა	616
თიანეთი	საგზაო სამმართველო	3680
	ერწოს სახ. მეურნეობის კანტორის შენობა	1240
გურჯაანი	სახ. საწ. კოლაგის მეფრინველეობის ფერმა	664
	საწ. გაერთ. "წყალმშენის" გურჯაანის სამრეწველო საწარმოს სათაო შენობა	3372,7
	საწ. გაერთ. "წყალმშენის" გურჯაანის სამრეწ. საწარმოს ცემენტის საწყობი	2598,9
	საწ. გაერთ. "წყალმშენის" გურჯაანის სამრეწვ. საწარმოს საწყობის შენობა	4971,8
	საწ. გაერთ. "წყალმშენის" გურჯაანის სამ. საწარმოს სადურგლო საამქრო	3650,6
	საწ. გაერთ. "წყალმშენის" გურჯაანის სამ. საწარმოს საყარაულო ოთახი და საწვავის რეზერვუარი	355,4
	საწ. გაერთ. "წყალმშენის" გურჯაანის სამრეწვ. საწარმოს საყოფაცხ. ბლოკი	2045
	გურჯაანის საგზაო სამმართველო	26102
	სოფ. ჩუმლაყის მექანიკური საამქრო	493
	სასტუმრო გურჯაანის დაუმთავრებელი შენობა	125839
	ქ. გურჯაანში (სარაჯიშვილის ქ.№1) განლაგებ. არასაცხოვრებელი ფართი	1337
	კაჭრეთის ავტო-ტექ. მომსახურების სადგური	24169
	კაჭრეთის სამკერვალო ფაბრიკა	12034
	კაჭრეთის საყოფ. მომსახურების სახლი	7484
	ბაკურციხის ს/მ №1 სათბური	4608
	ბაკურციხის ს/მ №2 სათბური	7427
ლენტეხი	ლიკვიდირებული ავტოფარეხის შენობა (სოფ. ლექსურა)	20
	ლენტეხის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინირებული სახლის გამოთავისუფლებული ფართი 260კვ.მ.	7860
	ს/მ სახლის სახერხი საამქრო (სოფ. მელეში)	392
	ს/ს "ტრანსპორტის" №8 ავტოგასამართი სადგური	272
	ლენტეხის ყოფილი ს/მ მეურნეობის საწყობი	155
	საგზაო სამმართველო	7296
	სოფ. წანაშის ყოფილი ბაგა-ბაღის გამოთავ. შენობა	60

შენიშვნა: ნუსხაში მოყვანილი ობიექტების ღირებულების დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით.

კონკურსისა და აუქციონის წესით პრივატიზებული იქნება თეთრიწყაროს, ახალციხის, ჭიათურის, გარდაბნის და ლენტეხის რაიონებში განლაგებული სახელმწიფო ქონება.

აუქციონი ნულოვანი საწყისი ფასით, რომელზეც გამოტანილი იქნება ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტები მოეწყობა ახალციხეში, გარდაბანსა და დედოფლისწყაროში.

აღნიშნულ საპრივატიზებო ობიექტებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს" 2 ივნისის №22-ში.

ტელევიზია

სამშაბათი, 20 ივნისი

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.45 „ტელემაღაზია" 09.55, 20.55 „შავი მარგალიტი" 10.45 „ვიდეოპატრული-02" 10.55 მუს. პაუზა 11.00, 12.10 ფეხბურთი. თურქეთი - ბელგია 12.00, 15.00, 20.00, 22.55 მოამბე 14.30 „სპა" 14.50 „ჩვენი ენა ქართული" 15.10 ფეხბურთი. იტალია - შვეცია 17.00 „იქ, სადაც ჩვენ ვართ" 17.25 „მუსიკა ეთერში" 18.00 „ვესტნიკი" 18.15 „პრეს-ზონა" 18.40 „ჯანმრთელობა" 19.00 „არტეფაქტი" 19.20 „წონასწორობა" 19.40 „ბასტი-ბუბუ" 20.45 „ვიდეოპატრული-02" 21.45 „მოსკოვი-თბილისი" 22.00 „2X2=4" 22.30 „კომუნიკატორი" 23.35 ფეხბურთი. ინგლისი - რუმინეთი. შესვენებისას „მაესტრო".

19.00 ინფორმაცია 19.30 „სენ-ტროპე" 20.20 ოქროს მართვე 20.50 ჰოროსკოპი 21.25 „პარიზის საიდუმლოებანი" 23.25 ჰიტ-პარადი 23.35 „ევრო-2000".

07.00 მუსიკა 07.30 მულტფილმები 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.05 „ლაბირინთი" 09.55 „სასწრაფო" 10.40 „ალფი" 11.10 „სიყვარულის სახელით" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფ. 18.00, 21.00, 22.50, 02.20 კურიერი 18.20 აკუნა მატატა 19.00 „გზაჯვარედინი" 19.30 „ალფი" 19.55 „სიყვარულის სახელით" 21.50 „სასწრაფო" 23.50 „იარაღის არჩევანი" 02.30 კლასიკა.

იმერია 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი" 09.15 „სტუდია-დიალოგი" 09.55, 18.35 „ქალაქი" 10.20 ქართული ჰანგები 10.30, 21.15 „ყველა ჩემი შვილი" 11.40 დოკ. ფილმი 12.05 მხ. ფ. 18.00 ნახ. ფ. 18.10 დოკ. ფ. 19.20 მულტსერიალი 19.00, 22.00 „ახალი ამბები" 19.40 მუს. ტალღა 20.45 „მედ-ინფო" 21.05 „გვარიშვილობა" 22.30 „ჯიმი ჰოლივუდი" 23.55 „ნოსტალგია" 00.00 „ძალაუფლების კანონი", „ოვაცია".

14.00, 21.30 „მილედი" 14.45 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 15.15 „მისტიკური პიცა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს" 18.00 „მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია „სპექტრი" 21.00 „ვარსკვლავები" 22.15 „ხაფანგში".

ევრიკა 11.00, 18.00 მულტფილმები 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.00 პროგრამა „სალონი" 13.30, 21.00 ტელესერიალი „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" 14.15 „მიფრინავენ წეროები" 18.30 დოკ. ფ. 19.00 „საუბრები მწვანე ბუხართან" 20.30 მუსიკალური კოლაჟი 22.15 თეატრალური შეხვედრები 23.30 „სულელი და უფრო სულელი".

08.00 „ტონიკი" 10.30 „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს" 12.30, 20.50, 22.35, 00.35 კლიპმიქსი 14.00 კონცერტი 18.00 დოკ. ფ. 19.00 „ალიასკის საიდუმლო" 21.05 „რუსი ქილერი" 22.50 „სრული დაბნელება" 00.50 მხ. ფ., დასასრულს ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.15, 18.15 მულტფილმი 09.40 „გაქცეული პატარძალი" 11.30, 16.40, 21.50, 00.20 მუსიკა 11.45 დოკ. ფ. 12.15, 21.00 „საფეხბურთო მიმოხილვა" 12.30 „საჯარისო ნაწილი" 14.30, 18.45 „დისქავერი" 16.50 „დათა თუთაშხია" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.15 დოკ. ფ. 22.10 „ბორტს მიღმა" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.40 „ზღვის კატები".

09.30 „დღეს" 10.10, 18.30 მულტფილმები 11.00 სატ. ფ. 12.00 მუსიკალური პროგრამა 13.00 „თამაში მილიონზე" 14.30 დოკ. ფ. 15.00 „შინაგანი საშიშროება" 16.20, 20.20 მუსიკა 16.30 „ღრმა ზღვა" 18.00 მუსბოქსი 19.10 „აკაკის აკვანი" 20.30 „ციხეში მინდა" 22.00 „დღეს" 23.00 დოკ. ფ. 23.45 ფეხბურთი 01.45 „სადაც გენეგოს, ოღონდ სახლში არა".

ხსოვნა

შოთა გურაბანიძე



გარდაიცვალა დამსახურებული ადამიანი, თერჯოლის ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **შოთა გურაბანიძე.**

დაიბადა 1918 წელს, თერჯოლის რაიონის სოფელ ახალ თერჯოლაში.

1941-45 წლებში იბრძოდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ ხელმძღვანელ სამუშაოზე, სიცოცხლის ბოლომდე იყო ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე...

ადამიანი — ავტორიტეტი, ასეთად იცნობდნენ რაიონში ბატონ შოთას. და მართლაც, სადაც კი უმუშავნია, ყველგან სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, პატივისცემითა და სიყვარულით. ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, საპატიო სიგელით.

სამაგალითო მოქალაქის, მეოჯახის, ახალგაზრდა თაობათა აღმზრდელის, ბატონ შოთა გურაბანიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება თერჯოლის რაიონის მოსახლეობის გულში.

თერჯოლის რაიონის საკრებულო; რაიონული გამგეობა; ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი
„საქართველოს რესპუბლიკა"
შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი — რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, — 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით — 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოჩულია, ბექა ჩადია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა —
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.